ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ირაკლი გაბრიაძე

# ინსტიტუციური ფაქტორები ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მოდელებში (პოსტსაბჭოთა სივრცის მაგალითზე)

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი იური ანანიაშვილი

თბილისი

2021

# აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს ჰქონდათ განსხვავებული ეკონომიკური განვითარების ტრაექტორია რაც აისახა მათი ზრდის ტემპებში. ეს ქვეყნები ამჟამად ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონით. წინამდებარე კვლევაში განხილულია ინსტიტუციების როლი და მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროცესში. ნაშრომში თეორიულად და ემპირიულად მიმოვიხილავთ სხვადასხვა ინსტიტუციების და, ზოგადად, ინსტიტუციური გარემოს როლს ქვეყნების შემოსავლების დონის განსაზღვრაში. შედეგები აჩვენებს, რომ არაფორმალური ინსტიტუციები სტატისტიკურად შედარებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნების განვითარებისთვის, ვიდრე ფორმალური ინსტიტუტები. ამის ახსნა შეიძლება იყოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არცერთი ქვეყნის ფორმალური ინსტიტუციები არ შეესაბამებოდა გლობალიზებულ სამყაროში საჭირო სტანდარტებს, მათმა ნაწილმა, რომლებსაც ჰქონდათ კარგი არაფორმალური ინსტიტუციები, შეძლო ეკონომიკური განვითარების გზას სწრაფად დადგომოდა. საბოლოოდ ეს მათი ფორმალური ინსტიტუციების განვითარებაშიც აისახა.

ნაშრომში ასევე განხილულია ინსტიტუციების ეკონომიკური ზრდაზე გავლენის პოტენციური გადაცემის მექანიზმი - ფინანსური სექტორის განვითარების დონე - და მისი დეტერმინანტები. ანალიზმა აჩვენა რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ შეძლო და გააუმჯობესა ფინანსური ინსტიტუტების ხარისხი. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით ფინანსური ბაზრების განვითარების ხარისხი შედარებით დაბალია. გარდა ამისა, შერჩევაში შემავალ ქვეყნებში ფიქსირდება ფინასური სიღრმის დაბალი დონე, რომელიც დროთა განმავლობაში უცვლელად ნარჩუნდება. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ხარისხი დამოკიდებულია სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხსა და ფინანსური ლიბერალიზაციის დონეზე.

სრულყოფილი სურათის მისაღებად გამოვიკვლიეთ თავად ინსტიტუციური განვითარების დეტერმინანტებიც. შევაფასეთ საბჭოეთამდე პერიოდის

ინსტიტუციური გამოცდილების როლი გარდამავალი ეკონომიკების დღევანდელი ინსტიტუციური ხარისხის განსაზღვრაში. ინსტიტუციურ გამოცდილებას ვზომავთ გასაბჭოებამდე  ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის წლების რაოდენობით. ემპირიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური გამოცდილების შემოთავაზებულ საზომს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა აქვს როგორც გარდამავალი პერიოდის საწყისი ეტაპის, ასევე დღევანდელობის ინსტიტუციურ ხარისხზე. დიდი ალბათობით ის ფორმალურ ინსტიტუციებში დაფიქსირებული განსხვავების ერთერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. უფრო მეტიც, რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციური გამოცდილება, როგორც ამხსნელი ფაქტორი, წარმოადგენს  პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ინსტიტუციების ხარისხების მნიშვნელოვან განმსაზღვრელს.  მისი როლი განსაკუთრებით ძლიერია  პოლიტიკური ინსტიტუციების ხარისხთან მიმართებაში.

ამ ყველაფერმა  კომბინაციაში მოგვცა საკმარისად სრული სურათი, იმისათვის, რომ ჩამოგვეყალიბებინა რეკომენდაციები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთათვის. მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაციები  დაეხმარებათ მათ არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ინსტიტუციები, ეკონომიკური განვითარება, პოსტსაბჭოთა სივრცე, ფინანსური განვითარება

## Abstract

After the dissolution of the Soviet Union, the countries of the post-Soviet space had different economic development trajectories. As a result, today these countries differ substantially in their economic development. The present study discusses the role and importance of institutions in the process of economic development of post-Soviet countries. We theoretically and empirically review the role of various institutions and, in general, the institutional environment in determining the level of income of these countries. The results show that informal institutions were statistically relatively more important for the development of countries than formal institutions. Potentially the explanation could be as follows: Although almost no country's formal institutions met the standards required in a globalized world, some who had good informal institutions were able to embark on a path of rapid economic development. Eventually this was reflected in the development of their formal institutions as well.

In addition, the paper discusses the mechanism of potential channel through which institutions effect economic growth - the level of development of the financial sector - and its determinants. The analysis showed that after the collapse of the Soviet Union, almost all post-Soviet countries were able to improve the quality of financial institutions. At the same time, it should be noted that the degree of development of financial markets in these countries is relatively low compared to financial institutions. In addition, low financial depth is observed in the selected countries, which remains unchanged over time. We have also seen that legal institutions and financial liberalization are positively determinants of the quality of financial institutions.

To get a complete picture, we have examined the determinants of institutional development itself. We assessed the role of institutional experience of the pre-Soviet period in determining the current institutional quality of transition economies. Institutional experience is measured by the number of years the country has existed independently before the Soviet Union. Empirical analysis reveals that the proposed measure of institutional experience has a statistically significant positive impact on institutional quality. Potentially institutional experience is one of the main determinants of the difference observed in formal institutions.

Regression analysis has shown that institutional experience as an explanatory factor is an important determinant of the quality of political, legal, and administrative institutions. But its role is particularly strong in relation to the quality of political institutions.

All this in combination gave us a complete picture to formulate recommendations for political decision-makers in post-Soviet countries. We believe that these recommendations will help them deal with their current challenges.

**Key Words:** Institutions, Economic Development, Post-Soviet Space, Financial Development

**შესავალი** .......... **9**

**თავი I. ინსტიტუციები და განვითარება: პოსტსაბჭოთა სივრცის გამოცდილება** .......... **20**

1.1 ინსტიტუციების არსი და კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან .......... 20

*1.1.1 ინსტიტუციების არსი და ტიპები* .......... *21*

*1.1.2 ინსტიტუციების გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე: ლიტერატურის მიმოხილვა* .......... *24*

1.2 მონაცემები და შედარებითი ანალიზი .......... 31

*1.2.1 პოსტ საბჭოთა სივრცის განვითარების ტენდენციები* .......... *31*

*1.2.1 ინსტიტუციური განვითარების საზომები და ქვეყნების შედარებითი ანალიზი* .......... *37*

1.3 ინსტიტუციების ხარისხის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე: რეგრესიული ანალიზი 51

*1.3.1 ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: საბაზისო სპეციფიკაციები* .......... *51*

*1.3.2 ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით* .......... *57*

*1.3.3 პანელური მონაცემების რეგრესია* .......... *63*

**თავი II. სამართლებრივი ინსტიტუციები, ფინანსური ლიბერალიზაცია და ფინანსური განვითარება პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში** .......... **67**

2.1 ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტები .......... 67

2.2 ფინანსური სექტორის განვითარების ინდიკატორები: მონაცემები და შედარებითი ანალიზი 72

2.3 ფინანსური ინსტიტუტების განვითარების რეგრესიული მოდელების ანალიზი .......... 83

**თავი III. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინსტიტუციური განვითარება - ინსტიტუციური გამოცდილების როლი** .......... **90**

3.1 ინსტიტუციების ცვლილება და ინსტიტუციური გამოცდილება .......... 90

*3.1.1 ინსტიტუციების ცვლილება* .......... *90*

*3.1.2 ინსტიტუციური გამოცდილების როლი* .......... *96*

3.2 მონაცემები და შემაჯამებელი სტატისტიკა .......... 101

3.3 ინსტიტუციების განმსაზღვრელი ფაქტორები: ჯვარედინი მონაცემების ანალიზი 108

3.4 ინსტიტუციების განმსაზღვრელი ფაქტორები: პანელური მონაცემების ანალიზი .. 114

**დასკვნები და რეკომენდაციები** .......... **122**

**გამოყენებული ლიტერატურა** .......... **126**

**დანართი** .......... **137**

**გამოქვეყნებული ნაშრომები** .......... **168**

## დიაგრამების სია

დიაგრამა 1. 1: მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (ათასი დოლარი) ...32
დიაგრამა 1. 2: საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპი მოსახლეობის ერთ სულზე (1991-2019) 33
დიაგრამა 1. 3: მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალოს დინამიკა წევრ და სატელიტ ქვეყნებში ...34
დიაგრამა 1. 4: ბუნებრივი რესურსების ექსპორტის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის საშუალო პერიოდის ტრანსფორმაციის პერიოდის მანძილზე ...35
დიაგრამა 1. 5: მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტისა და ვენამდე მანძილის გაბნევის გრაფიკი ...36
დიაგრამა 1. 6: ინსტიტუციების ხარისხი ...42
დიაგრამა 1. 7: სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციების განვითარების დინამიკა ...44
დიაგრამა 1. 8: ინსტიტუციების ხარისხის ცვლილება 1996-2019 წლების შუალედში ...45
დიაგრამა 1. 9: ინსტიტუციების ხარისხის განვითარების დინამიკა წევრ და სატელიტ ქვეყნებში ...46
დიაგრამა 1. 10: ზოგადი ინსტიტუციების ხარისხი და ეკონომიკური განვითარება ...47
დიაგრამა 1. 11: კანონის უზენაესობა და ეკონომიკური განვითარება ...48
დიაგრამა 1. 12: ძალაუფლების შეზღუდვის ხარისხი და ეკონომიკური განვითარება ...49
დიგრამა 2. 1: ფინანსური განვითარების საზომები ...73
დიგრამა 2. 2: ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ტენდენცია (1996-2017) ...76
დიგრამა 2. 3: ფინანსური განვითარების ინდიკატორები დინამიკა ...76
დიგრამა 2. 4: ფინანსური განვითარება საბჭოთა კავშირის წევს და არაწევრ ქვეყნებში ...78
დიგრამა 2. 5: ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ინდექსის ცვლილება (1992-2018) ...79
დიგრამა 2. 6: სამართლებრივი ინსტიტუციებისა და ფინანსური ინსტიტუტების განვითრების კავშირი ...80
დიგრამა 2. 7: ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსური ლიბერალიზაციის კავშირი ...81
დიგრამა 2. 8: ინფლაცია, ვაჭრობის ღიაობა და ფინანსური ინსტიტუტები განვითარება ...82

## ცხრილების სია

ცხრილი 1. 1: კორელაციური მატრიცა ........................................................................................50
ცხრილი 1. 2: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: ინსტიტუციების ზოგადი ხარისხი .............53
ცხრილი 1. 3: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: კანონის უზენაესობა ......................................55
ცხრილი 1. 4: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: ძალაუფლების შეზღუდვა ............................56
ცხრილი 1. 5: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით: ზოგადი ინსტიტუციების ხარისხი ........................................................................................60
ცხრილი 1. 6: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით: კანონის უზენაესობა ........................................................................................61
ცხრილი 1. 7: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით: ძალაუფლების შეზღუდვა ........................................................................................62
ცხრილი 1. 8: რეგრესიის შედეგები პანელური მონაცემებით..........................................................65
ცხრილი 2. 1: კორელაციური მატრიცა ........................................................................................75
ცხრილი 2. 2: პანელური მონაცემების რეგრესიის შედეგები ..........................................................84
ცხრილი 3. 1: ემპირიულ ანალიზში გამოყენებული ცვლადების შემაჯამებელი სტატისტიკა106
ცხრილი 3. 2: კორელაციის მატრიცა........................................................................................109
ცხრილი 3. 3: ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები ......................................................111
ცხრილი 3. 4: პანელური მონაცემების რეგრესიის შედეგები ........................................................118

# შესავალი

**თემის აქტუალობა:** პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების[1] ბოლო სამი ათწლეულის ეკონომიკური განვითარების ტენდენციას თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ მიუხედავად მსგავსი სასტარტო პირობებისა, დღეს ეს ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ერთი მხრივ, ვხედავთ ქვეყნებს რომლებმაც ამ პერიოდის მანძილზე სწრაფი პროგრესი განიცადეს და მაღალ განვითარებულ ქვეყნებად იწოდებიან. მეორე მხრივ, გვხვდება სახელმწიფოები, სადაც რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირის დაშლამდე არსებულ დონეს ვერ ასცდა. ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და განვითარების ტრაექტორიაში არსებული დიდი განსხვავება აჩენს კითხვებს ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ. უფრო კონკრეტულად: რატომ მოახერხა ქვეყნების მეტნაკლებად ჰომოგენური და მსგავსი სასტარტო პირობების მქონე ჯგუფიდან ნაწილმა, მიეღწია სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის, მაშინ როცა მეორე ნაწილმა ეს ვერ შეძლო?

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მრავალი მეცნიერი ცდილობდა განესაზღვრა ეკონომიკური განვითარების დეტერმინანტები, თუმცა კვლევის შედეგები კვლავ იწვევს უთანხმოებას ეკონომისტებს შორის. როგორც ასამოღლუ, ჯონსონი და რობინსონი (Acemoglu, Johnson, and Robinson 2005b) აღნიშნავენ, ნეოკლასიკურ ზრდის მოდელებში (Solow 1956; Cass 1965; Koopmans 1963) საწარმოო ფაქტორების აკუმულირებაში განსხვავება ქვეყნებს შორის შემოსავლების უთანაბრო განაწილების ძირითადი მიზეზად განიხილება. ამ მოდელებში ფაქტორების აკუმულირება დამოკიდებულია დანაზოგებზე, ინვესტიციებზე, უპირატესობებსა ან სხვა რომელიმე ენდოგენურ პარამეტრზე, როგორიცაა, მაგალითად, სოლოუს ფაქტორების ერთობლივი პროდუქტიულობა (Total Factor Productivity). ნორტი და ტომასი (Douglass C. North and Thomas 1973) აღნიშნავენ, რომ ზრდის ფაქტორები,

[1] პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებად ნაშრომში განხილულია 15 ყოფილი წევრი და 10 სატელიტი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპიდან. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, მოლდოვა, ალბანეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, უნგრეთი, მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია.

რომლებიც ნეოკლასიკურ მოდელებშია განხილული, წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის შედეგს და შეცდომაა მათი ეკონომიკური განვითარების გამომწვევ მიზეზად განხილვა. იმავე ნაშრომში ავტორებმა ჩამოაყალიბეს ჰიპოთეზა, რომ ქვეყნებს შორის განსხვავების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ამ ქვეყნების ინსტიტუციურ გარემოს შორის არსებული სხვაობა.

ეს ჰიპოთეზა საფუძვლად დაედო უამრავ ემპირიულ თუ თეორიულ კვლევას (Douglass C North 1990; 1991; Knack and Keefer 1995; Acemoglu 1995; Acemoglu, Johnson, and Robinson 2001; Glaeser et al. 2004). ამ კვლევების შედეგად, მიუხედავად მრავალ საკითხზე უთანხმოებისა, ეკონომისტებმა მიაღწიეს კონსენსუსს, რომ ინსტიტუციების სწორი ნაკრები ეხმარება ქვეყნებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში, მაშინ როცა ცუდი ინსტიტუციები ხელს უშლიან ამ პროცესს. ინსტიტუციები წარმოადგენენ ჩარჩოს ეკონომიკური საქმიანობისთვის და ეს ჩარჩო უზრუნველყოფს სტიმულებს ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის აკუმულირებისთვის, რაც შემდეგში ფაქტორების საერთო პროდუქტიულობას განსაზღვრავს. შედეგად საჭიროა სიღრმისეული კვლევა, რათა დადგინდეს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესში რა როლი ითამაშეს ინსტიტუციებმა. მოყვანილ მსჯელობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ ქვეყნებში, რომლებმაც მიაღწიეს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, არსებობს კარგი ინსტიტუციური გარემო, ხოლო ქვეყნების მეორე ჯგუფში ინსტიტუციები ნაკლებად განვითარებულია.

თუ ჩავთვლით, რომ ინსტიტუციებს შორის სხვაობას შეუძლია ახსნას ქვეყნების განვითარების დონეებს შორის სხვაობა, მაშინ ბუნებრივად ჩნდება დამატებითი კითხვები: 1) რატომ შეძლო ზოგიერთმა ქვეყანამ ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუციების ჩამოყალიბება, მაშინ როცა სხვა ქვეყნებმა ეს ვერ შეძლეს? 2) რატომ არ გაიზიარეს წარმატების მაგალითები წარუმატებელმა ქვეყნებმა და მოახდინეს ინსტიტუციური გარემოს რეპლიკაცია? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავიგოთ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ამა თუ იმ ტიპის ინსტიტუციების ჩამოყალიბებაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციები ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ თვითონაც განიცდიან ცვლილებას და მუდმივი განახლების პროცესში არიან. მათი რაღაც ნაწილი ნარჩუნდება, მეორე

ნაწილი კი ქრება ან განიცდის ჩანაცვლებას. სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის შესწავლილი ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები. კერძოდ, დასადგენია რა ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორებია ამ პროცესში და როგორ ხდება საზოგადოებაში შეთანხმება იმაზე, თუ რა ტიპის ინსტიტუციების პირობებში უნდათ მათ ცხოვრება.

მაშასადამე, იმისათვის რომ შევძლოთ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არსებული ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ახსნა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ კავშირი ინსტიტუციების ხარისხსა და ეკონომიკური განვითარებას შორის და დავადგინოთ გზები, რითაც ინსტიტუციები გავლენას ახდენენ ეკონომიკურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, შესაბამისი პოლიტიკის რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად, აუცილებელია, გვესმოდეს ინსტიტუციების ხარიხის განმსაზღვრელი დეტერმინანტები. ეს საშუალებას მისცემს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს, გავლენა მოახდინონ ინსტიტუციების ფორმირების პროცესზე და, შესაბამისად, ეკონომიკურ განვითარებაზე.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მიზანია, განისაზღვროს ინსტიტუციების როლი და მნიშვნელობა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროცესში. ნაშრომში, თეორიულად და ემპირიულად გამოვიკვლევთ სხვადასხვა ინსტიტუციების და, ზოგადად, ინსტიტუციური გარემოს როლს ქვეყნების შემოსავლების დონის განსაზღვრაში. დავადგენთ არხებს, რომლის გავლითაც ინსტიტუციური განვითარება გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. სრულყოფილი სურათის მისაღებად, დამატებით გამოვიკვლევთ თავად ინსტიტუციური განვითარების დეტერმინანტებს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

1. ინსტიტუციების არსის განსაზღვრა და მათი ტიპების მიმოხილვა;
2. ინსტიტუციების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შესაძლო არხების მიმართულებით არსებული ლიტერატურის დამუშავება;
3. ეკონომიკურ განვითარებასა და ინსტიტუციებს შორის არსებული კავშირის დასადგენად მოდელის შემუშავება, ემპირიულ ანალიზში გამოსაყენებელი ცვლადების იდენტიფიცირება და მონაცემების შეგროვება;

4. ინსტიტუციებისა და ეკონომიკური განვითარების კავშირის თეორიული ანალიზი და ემპირიული ტესტირება;
5. ინსტიტუციების დეტერმინანტების იდენტიფიცირება და მათი ემპირიული გამოკვლევა;
6. დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

**კვლევის საგანი და ობიექტი:** კვლევის საგანია პრობლემა, რომელიც უკავშირდება ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში ინსტიტუციური ფაქტორების როლის ახსნას. კვლევის ფარგლებში დამატებით გათვალისწინებულია თავად ინსტიტუციების ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა. კვლევის ობიექტია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების გამოცდილება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:** კვლევა გულისხმობს სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით საკვლევი თეორიული დამოკიდებულებების ემპირიულ ტესტირებას. ამ პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს მიღებული შედეგების საიმედოობა. კერძოდ, უნდა შეირჩეს შესაბამისი ინდექსები, რომლებიც გაზომავენ ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების ჩვენთვის სასურველ ასპექტს. შერჩევისას გასათვალისწინებელია მონაცემთა შეგროვების და დამუშავების მეთოდოლოგიური დეტალები. მაგალითად, სისტემური მშვიდობის ცენტრის პოლიტი (Polity IV) პროექტის ფარგლებში მოცემული ინდიკატორები ძირითადად ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინსტიტუციებს (ანუ დე იურე ინსტიტუციებს) შორის განსხვავებას ასახავს. ამისაგან განსხვავებით, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების შეგროვება ხდება ექსპერტების გამოკითხვით და იმის გაგებით, თუ როგორ აღიქვამენ ისინი ამა თუ იმ ინსტიტუციის ფუნქციონირებას. ცვლადების შერჩევისას გასათვალისწინებელია ასევე დროის ხანგრძლივობა, რომლისთვისაც დაკვირვების მონაცემები არსებობს. როგორც წესი, დაკვირვებათა რიცხვი ემპირიული შედეგების ხარისხისა და სანდოობის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია.

კვლევის პროცესში გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი ეკონომეტრიკული სტრატეგიის და მეთოდოლოგიის შერჩევა. ემპირიულ ანალიზში გამოვიყენებთ როგორც ჯვარედინი რეგრესიის მოდელებს, რომელთაც უმცირეს კვადრატთა მეთოდით შევაფასებთ, ასევე, აკუმულირებული ინფორმაციის სრულად უტილიზაციისთვის, ცვლადებს შორის კავშირს შევისწავლით პანელური რეგრესიების მეშვეობით. რადგანაც პანელური რეგრესიის განტოლებაში, როგორც წესი, შედის დროში ვარიაციის არმქონე რეგრესორები, შეფასებისას მივმართავთ ე.წ. ფიქსირებული ეფექტებისა (Fixsed Effects) და შემთხვევითი ეფექტების (Random Effects) მეთოდებს. შესაბამისი დაშვებების პირობებში, ასეთი რეგრესიის შეფასების კარგი საშუალება შეიძლება აღმოჩნდეს ხელმისაწვდომი განზოგადებული უმცირესი კვადრატების მეთოდი (FGLS).

რეგრესიული ანალიზისას გასათვალისწინებელია რამდენიმე გავრცელებული პრობლემა. კერძოდ, როგორც გლაეზერი (Glaeser et al. 2004) ამტკიცებს, ინსტიტუციური ცვლადები შედეგობრივი ცვლადებია, რომლებიც დამოკიდებულია მთლიანი სამამულო პროდუქტის დონეზე. ფაქტობრივად ეს იმას ნიშნავს, რომ რეგრესიებში მაღალი ალბათობით გვექნება შებრუნებული მიზეზშედეგობრიობა რაც ენდოგენურობის პრობლემას იწვევს. შესაბამისად, რეგრესიული მოდელის შეფასებისას ჩვენ გავზომავთ კორელაციის და არა მიზეზშედეგობრიობის ხარისხს. ენდოგენურობის პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა კარგი ინსტრუმენტული ცვლადების შერჩევა. ინსტრუმენტული ცვლადის სიკარგეს კი განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ეს ცვლადი კორელაციაში უნდა იყოს მოდელში ჩართულ ენდოგენურ ცვლადთან, მაგრამ არ უნდა იყოს კორელაციაში მოდელის შეცდომის წევრთან. სხვა სიტყვებით, ინსტრუმენტული ცვლადი მხოლოდ ამხსნელი ცვლადის გავლით უნდა ახდენდეს გავლენას შედეგობრივ ცვლადზე. ასეთი ცვლადის შერჩევა წარმოადგენს კვლევის გამოწვევას. მის გადასაჭრელად გამოვიყენებთ მეთოდოლოგიას რომელიც ჰაუსმანის და ტეილორის მიერაა (Hausman and Taylor 1981) შემოთავაზებული. მიდგომა გამოიყენება პანელურ რეგრესიებში და ითვალისწინებს მოდელში ჩართული ცვლადების დაყოფას ენდოგენურ და ეგზოგენურ კატეგორიებად.

რეგრესიულ მოდელებში ასევე შეიძლება წავაწყდეთ გამოტოვებული ცვლადებისა და გაზომვის შეცდომის პრობლემებს, რომლებიც კოეფიციენტების

შეფასებების გადაადგილებას იწვევს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად გამოვიყენებთ გასაკონტროლებელი ცვლადების სხვადასხვა ნაკრებს, რათა მოვახდინოთ საკმარისი რაოდენობის ამხსნელი ცვლადის ტესტირება და დავრწმუნდეთ, რომ მოდელში ჩართულია ყველა რელევანტური ცვლადი. პრობლემის თავიდან აცილების კიდევ ერთი გზაა შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა და არსებული ემპირიული სტრატეგიების შესწავლა. ეს გზა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ცვლადების ჩამონათვალი, რომელთა შესაბამისობა დადგენილი და აღიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

მონაცემთა შერჩევის ფორმირების, რეგრესიის მოდელების სპეციფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცესში ძირითადად გამოყენებულ იქნა სპეციალიზებული სტატისტიკური პროგრამა STATA.

**კვლევის ძირითადი მეცნიერული სიახლეები:**

- ინსტიტუციების მიმართულებით კვლევის განხორციელებისას პირველ რიგში აუცილებელია გვესმოდეს ინსტიტუციების არსი, რაზეც დიდწილადაა დამოკიდებული კვლევის შედეგების რელევანტურობა და გამოყენებადობა. თუმცა, ლიტერატურაში არაა კონსენსუსი ინსტიტუციების რაობასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ინსტიტუციების განმარტება და მოცემულია მათი კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით. შედეგად, ნაშრომი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ საკმარისად სრულყოფილი ინფორმაცია ინსტიტუციების რაობის შესახებ.
- კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ინსტიტუციური და ეკონომიკური განვითარების პროცესის აღწერა. ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში დაწვრილებითაა მიმოხილული ეკონომიკური განვითარების გზა, რომელიც ამ ქვეყნებმა განვლეს. გაანალიზებულია მათი ფინანსური განვითარების ტრაექტორია და არსებული ფინანსური სექტორის ძირითადი მახასიათებლები. წარმოდგენილია ინსტიტუციური განვითარების ძირითადი თავისებურებები და გარდამავალი პერიოდის შედეგები. ანალიზი ასევე მოიცავს ამ ქვეყნების შესახებ ისტორიული წყაროების შესწავლას.

შედეგად, დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია და შეიქმნას საკმარისად სრული წარმოდგენა პოსტსაბჭოთა სივრცის განვითარების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით.

- კვლევის ფარგლებში მოხდა ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით არსებული მონაცემთა ბაზების და სხვადასხვა კვლევაში გამოყენებული საზომების დამუშავება (ეკონომიკური განვითარების საზომები, ინსტიტუციური ხარისხის საზომები, ფინანსური განვითარების საზომები, გეოგრაფიული ფაქტორების საზომები, კულტურული ასპექტების საზომები და ა.შ.) და მათი კლასიფიკაცია ინსტიტუციების ტიპების მიხედვით. შედეგად კვლევა დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნოს ამ მიმართულებით არსებულ მონაცემებს, გაიგოს მათი თავისებურებები რაც გააადვილებს შემდგომი კვლევების ჩატარების პროცესს.
- ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი ცვლადები, რომელთა გამოყენებაც მსგავსი საკითხის შესწავლისას მანამდე არ მომხდარა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური გამოცდილების ცნების შემოღება და მისი საზომის შექმნა. ინსტიტუციური გამოცდილება არის საბჭოთა კავშირამდე ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება, რომელიც მრავალ ნიუანსს ითვალისწინებს. მაჩვენებელი გამოიყენება ინსტიტუციების დღევანდელი ხარისხის ერთერთ დეტერმინანტად. მის შესაქმნელად დამუშავდა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრისათვის არსებული ისტორიული მონაცემები. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ავტორის მიერ შედგენილი ქვეყნების ბუნებრივი რესურსების არსებობის მაჩვენებელი. ის დათვლილია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით და, ინსტიტუციური გამოცდილების ცვლადთან ერთად, წარმოადგენს მნიშვნელოვან საზომს ემპირიული ანალიზისთვის.

- კვლევის ფარგლებში გამოყენებული მეთოდოლოგია ასევე წარმოადგენს სიახლეს. ენდოგენურობის პრობლემის მოსაგვარებლად შემოთავაზებულია ახალი ინსტრუმენტული ცვლადები. პანელური მონაცემების მოდელის შეფასებისას კი დავეყრდენით ჰაუსმან-ტეილორის მიდგომას, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის კონტექსტში მანამდე არ გამოყენებულა.
- კომპლექსური ეკონომეტრიკული ანალიზით მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების განვითარების პროცესთან დაკავშირებით გავაკეთოთ ემპირიულად დასაბუთებული დასკვნები და შევიმუშაოთ რეკომენდაციები პოლიტიკისთვის.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:** კვლევის შედეგად მოხდა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების განვითარების ახლებური გააზრება და მათ ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებული განსხვავებების ფუნდამენტური გამომწვევი მიზეზების დადგენა. პირველ რიგში, შეფასდა როლი, რომელიც ინსტიტუციებმა ითამაშეს ამ ქვეყნების განვითარების პროცესში. ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა განსხვავება ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების მნიშვნელობას შორის. იმისათვის რომ ფორმალურ ინსტიტუციებში განხორციელებულმა ცვლილებებმა რეალურად იმუშაოს პრაქტიკაში, მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ არსებული არაფორმალური ინსტიტუციები. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეს ორი ინსტიტუცია ერთმანეთზე გამუდმებით ზემოქმედებს და ამ ურთიერთკავშირით განისაზღვრება ინსტიტუციების საბოლოო სახე.

ნაშრომში ასევე დადგინდა არხები და მექანიზმები, რომელთა გავლითაც ინსტიტუციები ზემოქმედებენ ეკონომიკურ აქტივობაზე. განვიხილეთ ფინანსური ინსტიტუციების განსაკუთრებული როლი აღნიშნულ პროცესში და მისი განვითარების ფაქტორები. ვნახეთ რომ ფინანსური განვითარება აუცილებლად მოითხოვს ჯანსაღ სამართლებრივ სისტემას. ეს დასკვნა ხაზს უსვამს მრავალ გარდამავალ ეკონომიკაში არსებულ რთულ ვითარებას. კერძოდ დასკვნის მიხედვით გარდამავალ პერიოდში აუცილებელია როგორც ფინანსური ასევე სამართლებრივი სისტემის ტრანსფორმაცია.

ბოლოს, გამოვიკვლიეთ თავად ინსტიტუციების განვითარების მიზეზები. აღმოჩნდა რომ საბჭოთა პერიოდამდე არსებული ინსტიტუციური გამოცდილება ფორმალურ ინსტიტუციებში დაფიქსირებული განსხვავების ერთერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციური გამოცდილება, როგორც ამხსნელი ფაქტორი, წარმოადგენს პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ინსტიტუციების ხარისხების მნიშვნელოვან განმსაზღვრელს. მისი როლი განსაკუთრებით ძლიერია პოლიტიკური ინსტიტუციების ხარისხისთან მიმართებაში.

ამ ყველაფერმა კომბინაციაში მოგვცა საკმარისად სრული სურათი, იმისათვის, რომ ჩამოგვეყალიბებინა რეკომენდაციები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთათვის. მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაციები დაეხმარებათ მათ არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში.

**კვლევის შედეგების აპრობაცია:** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო სტატიების სახით:

“ინსტიტუციები და განვითარება: პოსტ-საბჭოთა სივრცის გამოცდილება” გამოქვეყნებულია ჟურნალში „ეკონომისტი“ 2018 წელს;

„ინსტიტუციური განვითარება გარდამავალ ეკონომიკებში - ინსტიტუციური გამოცდილების როლი“ (Institutional development in transition economies – the role of institutional experience) გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში პოსტ-საბჭოთა ამბები (Post-Soviet Affairs), 2020 წელი;

„სამართლებრივი ინსტიტუციები, ფინანსური ლიბერალიზაცია და ფინანსური განვითარება პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში“ (Legal Institutions, Financial Liberalization and Financial Development in Transition Economies) გამოქვეყნებულია წიგნში „საჯარო პოლიტიკა საქართველოში“ გამომცემლობა იბიდემის მიერ (ibidem, Stuttgart, Germany) 2021 წელი.

„საკუთრების უფლება, ინსტიტუციების ხარისხი და ფინანსური სექტორის განვითარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ 2020 წელს წარდგენილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე

"გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" და გამოქვეყნდა კონფერენციის შრომების კრებულში.

სადისერტაციო ნაშრომი განხილულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომეტრიკს კათედრის სხდომაზე.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე დაბეჭდილი 168 გვერდისგან. იგი მოიცავს შესავალს, სამ თავს, ათ ქვეთავს დასკვნას და დანართს.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ინსტიტუციების არსი და მათი ტიპები. წარმოდგენილია მსჯელობა იმის შესახებ თუ როგორ ასტიმულირებენ ინსტიტუციები ეკონომიკურ აქტივობას. მიმოხილულია ინსტიტუციების და ეკონომიკური განვითარების გაზომვის მიმართულებით მიღწეული პროგრესი. შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების ზოგადი ტენდენციები. ჯვარედინი მონაცემების ანალიზის გამოყენებით გამოკვლეულია საბაზისო დამოკიდებულება ინსტიტუციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. პირველი თავის ბოლო ნაწილში პანელური რეგრესიის გამოყენებით შეფასებულია ეკონომიკურ განვითარებაზე ინსტიტუციების ხარისხის გავლენის მიმართულება და მაგნიტუდა.

მეორე თავში გამოკვლეულია კონკრეტული არხი, რომლის გავლითაც ინსტიტუციური განვითარება გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. კერძოდ, მიმოხილულია ფინანსური სექტორის როლი და განვითარების ტენდენციები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ასევე წარმოდგენილია ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტები და, რეგრესიული ანალიზის გამოყენებით, შეფასებულია მათი როგორც ინდივიდუალური, ასევე პირობითი მნიშვნელოვნება და გავლენის ხარისხი.

ბოლოს, მესამე თავში გაანალიზებულია თავად ინსტიტუციების დეტერმინან-ტები. დახასიათებულია ინსტიტუციების ჩამოყალიბების პროცესზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი. შემოთავაზებულია ინსტიტუციების ხარისხის განმსაზღვრელი ახალი ცვლადი და დეტალურადაა მიმოხილული ამ ცვლადის შედგენისას

გამოყენებული მეთოდოლოგია. ცვლადებს შორის შესაძლო კავშირის დასადგენად სტანდარტულად მივმართავთ  კორელაციური მატრიცის ანალიზს. ჯვარედინი მონაცემებისა და პანელური რეგრესიების სხვადასხვა სპეციფიკაციების გამოყენებით დეტალურად არის გაანალიზებული სხვადასხვა ფაქტორის როლი ზოგადად ინსტიტუციებისა და მისი ცალკეული სახეობების ფორმირებაში.

# თავი I. ინსტიტუციები და განვითარება: პოსტსაბჭოთა სივრცის გამოცდილება

## 1.1 ინსტიტუციების არსი და კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან

საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებმა[2] განსხვავებული გზა გაიარეს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად მსგავსი სასტარტო პირობებისა, ქვეყნების ნაწილმა აჩვენა სწრაფი ეკონომიკური ზრდა და შედარებით სტაბილური გადასვლა ინკლუზიური პოლიტიკური სისტემაზე, ზოგიერთმა ქვეყანამ კი ეს ვერ შეძლო. შედეგად, ტრანსფორმაციის პერიოდის დაწყებიდან სამი დეკადის თავზე ვხედავთ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებულ დიდ განსხვავებებს. ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და განვითარების ტრაექტორიაში არსებული დიდი განსხვავება აჩენს კითხვებს ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ. უფრო კონკრეტულად, რატომ მოახერხა ქვეყნების მეტნაკლებად ჰომოგენური და მსგავსი სასტარტო პირობების მქონე ჯგუფიდან ნაწილმა მიეღწია სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის მაშინ როცა მეორე ნაწილმა ეს ვერ შეძლო?

განვითარების ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური დისციპლინის ჩამოყალიბებების შემდეგ, ქვეყნებს შორის შემოსავალების უთანასწორობის ახსნის მცდელობა არაერთ ნაშრომშია მოცემული. ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელთა ჯგუფი (Solow 1956; Cass 1965; Koopmans 1963) ქვეყნებს შორის შემოსავლების განსხვავების ძირითად გამომწვევ მიზეზად განიხილავენ ფაქტორთა აკუმულირებას. ამ მოდელებში, ფაქტორების აკუმულირება დამოკიდებულია დანაზოგებზე, ინვესტიციებზე, უპირატესობებზე ან სხვა რომელიმე ენდოგენურ პარამეტრზე, როგორიცაა მაგალითად სოლოუს ფაქტორების ერთობლივი პროდუქტიულობა (Total Factor Productivity). თუმცა ეს მოდელები უძლურია უპასუხონ კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ ახერხებს ქვეყნების ერთი ნაწილი სხვებთან შედარებით მეტი რესურსის

---

[2] პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებად ნაშრომში განხილულია 15 ყოფილი წევრი და 10 სატელიტი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპიდან. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, მოლდოვა, ალბანეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, უნგრეთი, მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია.

გამოყოფას საწარმოო ფაქტორებში ინვესტირებისთვის. ნორტი და ტომასი (Douglass C. North and Thomas 1973) აღნიშნავენ, რომ ზრდის ფაქტორები, რომლებიც ნეოკლასიკურ მოდელებშია განხილული, წარმოადგენენ ეკონომიკურ ზრდის შედეგს და არა მის გამომწვევ მიზეზს. იმავე ნაშრომში ავტორებმა ჩამოაყალიბეს ახალ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც საწარმოო ფაქტორებში ინვესტირებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის სხვაობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ამ ქვეყნების ინსტიტუციურ გარემოს შორის არსებული სხვაობა. წინამდებარე თავში გამოკვლეულია სწორედ ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელობა და წვლილი პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრაში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ (ეგზოგენურმა შოკმა) ბიძგი მისცა ამ ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას. გეგმიური ეკონომიკა და ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემა ვეღარ პასუხობდა გლობალიზებულ სამყაროში არსებულ გამოწვევებს და საჭირო იყო მათი ტრანსფორმაცია. გამოწვევების საპასუხოდ დაიწყო ფართო მასშტაბიანი რეფორმების განხორციელება. შედეგად, სამი ათწლეულის თავზე მივიღეთ ის, რომ ერთ დროს მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნები განსხვავდებიან როგორც ეკონომიკური ასევე ინსტიტუციური განვითარების დონით. ამ ქვეყნების გამოცდილება წარმოადგენს ბუნებრივ ექსპერიმენტს. ერთის მხრივ, გვაქვს ეგზოგენური შოკი, რომელმაც გამოიწვია ინსტიტუციური ცვლილებები მეორე მხრივ კი ვხედავთ განსხვავებულ შედეგებს. შესაბამისად, გავქვს კარგი საშუალება დავაკვირდეთ ინსტიტუციების დროში ცვლილებას და მის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, სანამ ამ ცვლადებს შორის კავშირის კვლევაზე გადავალთ, მანამდე მნიშვნელოვანია სწორად გვესმოდეს ინსტიტუციების არსი და ის გზები რითაც ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესება იწვევს ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

### *1.1.1 ინსტიტუციების არსი და ტიპები*

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ბევრმა მეცნიერმა და მკვლევარმა სცადა განემარტა ინსტიტუციების რაობა, მაგრამ 100 წლის შემდეგაც არაა საყოველთაოდ შეთანხმებული განსაზღვრება. ერთ-ერთი პიონერი ამ მიმართულებით იყო რობინსი (H. W. Robbins 1934), რომელმაც ინსტიტუციები განმარტა როგორც რესურსების

განკარგვის და ალოკაციის მექანიზმი. კომონსი (Commons 1934) კი ამბობს, რომ ზოგჯერ ინსტიტუციები გავს შენობას, კანონების და რეგულაციების ჩარჩოთი, რომელიც არეგულირებს მასში მყოფი ინდივიდების ქცევას, თუმცა ზოგჯერ ინსტიტუციები თავად ინდივიდების ქცევაა.

მსგავსი შეხედულებაა შენარჩუნებული ინსტიტუციების ყველაზე გავრცელებულ განმარტებაში, რომელიც ეკუთვნის დუგლას ნორთს (Douglass C North 1990). მისი განმარტებით, ინსტიტუციები არის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული თამაშის წესები (rules of the game), უფრო ფორმალურად კი - საზოგადოების მიერ თავის თავისთვის დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ინტერაქციას. შედეგად, ისინი ქმნიან სტიმულებს ადამიანებს შორის ტრანზაქციების განხორციელების პროცესში. თამაშის წესების ქვეშ ავტორი გულისხმობს ჩარჩოს და შეზღუდვებს, რომელსაც ინსტიტუციები აწესებენ მოთამაშეების ქცევაზე. ავტორის შეხედულებით სწორედ ეს შეზღუდვები განსაზღვრავენ ტრანზაქციების დანახარჯსა და სარგებლიანობას, რომლის გათვალისწინებით ეკონომიკური აგენტები იღებენ გადაწყვეტილებებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომონსის განმარტებისგან განსხვავებით, ნორტის განმარტება ხაზს უსვამს თამაშის წესებს (ინსტიტუციები) და ადამიანების ან საზოგადოების ქცევას შორის განსხვავებას, და არ აიგივებს მათ. ავტორი ამბობს, რომ თამაშის წესები (ინსტიტუციები), და ის თუ როგორ ვთამაშობთ ამ თამაშს (ქცევა), განსხვავებული ცნებებია. მაგალითად, როდესაც მოთამაშეები საზოგადოებაში დამკვიდრებული წესების გათვალისწინებით აფასებენ დანახარჯს და სარგებლიანობას, შეიძლება აღმოაჩინონ, რომ მოცემული წესების პირობებში არაა მომგებიანი ფიზიკური თუ ადამიანური კაპიტალის აკუმულირება შემდეგი ეკონომიკური აქტივობისთვის. შედეგად, თამაშის წესები ახდენს გავლენას ქცევაზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ მოთამაშეებად ავტორი აღიქვამდა ორგანიზაციებს, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ტიპის. ასევე, როგორც ჰოდგსონი (Hodgson 2006) აღნიშნავს, ეს განმარტება და მასში ნახსენები შეზღუდვები არ უნდა აღვიქვათ ისე თითქოს ინსტიტუციები აუცილებლად ნიშნავს ქცევის შეზღუდვას. უფრო მეტიც, პრაქტიკაში არსებობს მაგალითები, სადაც ინსტიტუციები არათუ ზღუდავენ ქმედებას, არამედ ახალისებენ მათ იმ შესაძლებლობების შექმნით, რომელიც მათ გარეშე არ იარსებებდა.

ჯერარდ როულანდი (Roland 2004) ინსტიტუციებს ჰყოფს 2 ჯგუფად: არა-ფორმალური და ფორმალური ინსტიტუციები. არაფორმალური ინსტიტუციების ქვეშ იგულისხმება კულტურა, ჩვევები, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები და ნორმები, საზოგადოების მსოფლმხედველობა. ფორმალურ ინსტიტუციებში კი იგულისხმება კონსტიტუცია, კანონები ნორმატიული აქტები და სხვადასხვა სამთავრობო უწყებების ფუნქცია-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტები. სიმარტივისთვის ინსტიტუციებს ვუწოდებთ ფორმალურს თუ ისინი მთავრობების მიერაა შემოღებული დანარჩენი კი არის არაფორმალური. განვითარებულ ქვეყნებში მოქალაქეები ტრანზაქციების განხორციელებისას ძირითადად ეყრდნობიან ფორმალურ წესებს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი უფრო მეტად გამოიყენება არაფორმალური ინსტიტუციები იმიტომ, რომ ფორმალური ინსტიტუციები ან არ არსებობს, ან არაეფექტურია (Jütting 2003). აღსანიშნავია, რომ ამ ორი ტიპის ინსტიტუციებს შორის არსებობს მჭიდრო ორმხრივი კავშირი რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ინსტიტუციურ გარემოს. როგორც ჯეფრი ჰოდგსონი (Hodgson 2006) აღნიშნავს, ასევე გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში ხშირად არის სიტუაციები, როდესაც ფორმალურად ჩამოყალიბებული კანონები არ მუშაობს, რადგანაც ისინი არათავსებადია არაფორმალურ ინსტიტუციებთან. მსგავსი მოსაზრებებია გამოთქმული პაპავასა და ხადურის ( Papava and Khaduri 1997) მიერ. ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ ორი ტიპის ინსტიტუციების ინტერაქციით საბოლოოდ ვიღებთ ფორმალურ ინსტიტუციურ გარემოს, რომელიც შედგება ბუნებრივი და არაბუნებრივი ნაწილისგან. ბუნებრივია სწორედ ის ნაწილი რომელიც ასახვას საზოგადოებაში არსებულ არაფორმალურ ინსტიტუციებს. მაშასადამე, რომ გავიგოთ თუ როგორ ყალიბდება ქვეყნის ინსტიტუციური გარემო და როგორ განისაზღვრება მისი შესაბამისი ცხოვრების დონე, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ინსტიტუციების ორივე ჯგუფი.[3]

პრაქტიკაში ასევე ხშირად განასხვავებენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუციებს. ეკონომიკური ინსტიტუციების ქვეშ იგულისხმება საკუთრების უფლების დაცვისა და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციები, ხოლო

---

[3] დეტალური მსჯელობა ინსტიტუციების ჩამოყალიბების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ იხილოთ ნაშრომის მესამე თავში.

პოლიტიკური ინსტიტუციების ქვეშ იგულისხმება ქვეყნების პოლიტიკური მოწყობა და ის ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროს არსებულ მოტივაციებზე და ძალაუფლების განაწილებაზე.

ინსტიტუციების განმარტებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ასევე ის, რომ ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ინსტიტუციები რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას. განმარტების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია, თავი ავარიდოთ ტავტოლოგიას. ანუ არ განვმარტოთ „კარგი“ ინსტიტუციები ისე, როგორც ინსტიტუ-ციები რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. ასამოღლუს, ჯონსონის და რობინსონის (Acemoglu, Johnson, and Robinson 2005a) განმარტებით, კარგი ეკონომიკური ინსტიტუციები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს, სადაც დაცულია საკუთრების უფლება და საზოგადოების ფართო მასებისთვის უზრუნველყოფილია ეკონომიკურ რესურსებზე მეტნაკლებად თანაბარი წვდომა. ასევე პრაქტიკაში გამოიყენება საერთა-შორისო სტანდარტის ინსტიტუციების ცნება. ფართო გაგებით ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ ინსტიტუციებს, რომლებიც ბაზრის თავისუფლების მაქსიმალურ ხარისხს და საკუთრების უფლების დაცვას უზრუნველყოფენ. თუმცა, როგორც ჩანგი (Chang 2011) აღნიშნავს, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს მაქსიმალური თავისუფლების ხარისხის განსაზღვრებას. ასევე მაქსიმალური თავისუფლების ინსტიტუციები შეიძლება ეფექტიანი არ იყოს საზოგადოების პერსპექტივის თვალთახედვიდან, რადგან ამ შემთხვევებში ჩნდება გარეგანი ეფექტები. მაქსიმალური თავისუფლების მქონე ინსტიტუციებმა შეიძლება მოკლევადიან პერიოდში მოგვიტანოს კარგი შედეგები მაგრამ გრძელვადიან პერიოდში შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

### *1.1.2 ინსტიტუციების გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე: ლიტერატურის მიმოხილვა*

ინსტიტუციების არსთან ერთად აუცილებელია გვესმოდეს ძირითადად რა გზით შეუძლიათ მათ ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის მოხდენა. 1937 წელს რონალდ კოაზმა (Coase 1937) თავის გავლენიან ნაშრომში, „ფირმის ბუნება“, პირველმა

განიხილა ტრანზაქციული დანახარჯების[4] კონცეფცია და აჩვენა, რომ კონკრეტულ სიტუაციებში ფირმებს შეუძლიათ შეამცირონ ამ ტიპის დანახარჯები გაურკვევლობის შემცირებით, რომელიც თან ახლავს ტრანზაქციებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში. მოგვიანებით, ნორთმა და ტომასმა (Douglass C. North and Thomas 1973) ტრანზაქციული დანახარჯების იდეა გადაიტანეს მთლიან ეკონომიკაზე და ჩამოაყალიბეს ჰიპოთეზა, რომ ტრანზაქციული დანახარჯების ზომა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ნორტის (Douglass C North 1990) აზრით კლასიკური სკოლის ბევრი ეკონომისტი, ადამ სმიტიდან მოყოლებული, ხაზს უსვამს ეფექტიანი ბაზრის არსებობის მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარებისთვის. თუმცა ეფექტური ბაზარი, როგორც წონასწორული შედეგი, არის შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ნეოკლასიკური თეორიის დაშვებით ეკონომიკურ აგენტებს შორის ტრანზაქციებს არ ახლავთ დანახარჯები. რეალობაში კი ტრანზაქციებს თან ახლავს დანახარჯები, რომელის არსებობას ნეოკლასიკური მოდელების მიხედვითაც მივყავართ ბაზრის არასრულყოფილებამდე ან სულაც ბაზრის არ არსებობამდე. შედეგად, შეიძლება მივიღოთ რესურსების არასწორი ალოკაცია და ეკონომიკური არაეფექტიანობა, რაც შემდეგ გარედან ჩარევას ითხოვს. გარედან ჩარევაში კი იგულისხმება ინსტიტუციების ცვლილება, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ტრანზაქციული დანახარჯების განსაზღვრაში და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში (Cheung 1983). ამის ერთ-ერთი მაგალითი განხილულია ასამოღლუს მიერ და უკავშირდება სიღარიბის ხაფანგს, საიდანაც თავის დაღწევა გარედან ჩარევის გარეშე ძალიან რთულია (Acemoglu, Johnson, and Robinson 2005a). ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ინსტიტუციები ქმნიან გარემოს, რომელიც სწორედ ტრანზაქციული დანახარჯების შემცირების გზით ზრდის ეკონომიკური აქტივობის მომგებიანობას და ასტიმულირებს ტექნოლოგიებში და ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციას.

ნორტი (Douglass C North 1990) ასევე ხაზს უსვამს ტრანზაქციული დანახარჯების როლს ვაჭრობასა და სპეციალიზაციაში. მისი შეხედულებით

[4] ტრანზაქციული დანახარჯები არის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია, ინფორმაციის მოპოვებასთან, მოლაპარაკებების წარმოებასთან, კონტრაქტის შედგენასთან და სხვადასხვა წესების და რეგულაციები აღსრულებასთან.

ტრანზაქციულ დანახარჯებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი სპეციალიზაციაში რადგან ისინი გავლენას ახდენენ ვაჭრობისგან მიღებულ პოტენციურ მოგებაზე. მსგავსი იდეა ჩამოყალიბებულია ბეივათერისა და მლოდკოვსკის (Bywaters and Mlodkowski 2012) მიერ, რომლებიც თვლიან რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი ტრანზაქციული დანახარჯები იყო ერთ-ერთი მიზეზი დიდ ბრიტანეთში მომხდარი ინდუსტრიული რევოლუციისა. ბრიტანეთში ხალხს ქონდა შესაძლებლობა მოეხდინათ სპეციალიზაცია და შემდგომ წარმოებული საქონელი გაეცვალათ (ევაჭრათ) შედარებით დაბალ ფასად. ამ იდეის მხარდასაჭერად ავტორები ასევე განიხილავენ გერმანიის მაგალითს, სადაც საბაჟო ბარიერების შემცირებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ვაჭრობასთან დაკავშირებული ტრანზაქციული დანახარჯები და ბიძგი მისცა სწრაფ ეკონომიკურ განვითარება.

მენარდის და შირლის (Ménard and Shirley 2014) მტკიცებით, ეკონომიკური აქტივობისას ტრანზაქციული დანახარჯები ძირითადად წარმოიშვება საკუთრების უფლების დაცვისა და კონტრაქტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას. როცა საკუთრების უფლება არაა დაცული და კონტრაქტის აღსრულება რთულია, ტრანზაქციული დანახარჯები იმდენად იზრდება, რომ ეკონომიკური აგენტები ამჯობინებენ არ ჩაერთონ ეკონომიკურ აქტივობაში და არა აიღონ გაუმართლებლად მაღალი რისკი საკუთარ თავზე.

საკუთრების უფლების დაცვის ინსტიტუციების მნიშვნელობა მოდის ეკონომიკური მეცნიერების გულიდან. ეკონომიკური მეცნიერება სხვა არაფერია თუ არა, შეხედულებათა მწყობრი სისტემა შეზღუდული რესურსების განაწილებით მაქსიმალური შედეგის მიღების შესახებ. განაწილების პროცესი თავისთავად გულისხმობს კონფლიქტებს შეზღუდულ რესურსებთან დაკავშირებით (A.A. Alchian 1965; Armen A. Alchian and Demsetz 1973). როგორც მრავალი კვლევა ცხადყოფს (Acemoglu, Johnson, and Robinson 2001; 2005a; Leblang 1996; Angeles 2011), ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰქონდეს სათანადოდ განსაზღვრული და დაცული საკუთრების უფლება. ნათლად განსაზღვრული და აღსრულებადი საკუთრების ინსტიტუციები ქმნიან ეკონომიკური აქტივობისთვის სტაბილურ და პროგნოზირებად გარემოს. ეს ყველაფერი ამცირებს რისკებს, რომელიც

დაკავშირებულია ეკონომიკურ აქტივობასთან და, შედეგად, ქმნის სტიმულებს საწარმოო ფაქტორებში მეტი ინვესტიციის განხორციელებისთვის.

როდესაც საკუთრების უფლების ინსტიტუციების ხარისხსა და დაცულობაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საკუთრების უფლების დარღვევის ძირითადი წყაროა პოლიტიკური სიტემა და პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ადამიანები. შესაბამისად, საკუთრების დაცვის ინსტიტუციები მეტწილად არეგულირებენ ურთიერთობას პოლიტიკურ სისტემასა და კერძო სექტორს შორის. სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის გავლენის შეფასებისას ლებლანდმა (Leblang 1996) გამოიყენა ქვეყნის დემოკრატიის საზომი. ემპირიულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ავტორიტარულ ქვეყნებშიც შეიძლება იყოს საკუთრების უფლების დაცვის კარგი ხარისხი. ასეთი ტიპის ქვეყნების მმართველებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება და ჩამოაყალიბონ საკუთრების უფლების დაცვის კარგი ინსტიტუციები. მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, დემოკრატიული სისტემა დამატებით კონტროლს აწესებს ინსტიტუციებზე და ისინი აღარ არიან დამოკიდებულნი ერთი ადამიანის კეთილ ნებაზე. დემოკრატიულ ქვეყნებში თუ ხალხი ხედავს, რომ მთავრობა არღვევს საკუთრების უფლებას მათ შეუძლიათ შეცვალონ მთავრობა ან აიძულონ არსებული მთავრობა, დაიცვას საკუთრების უფლება.

რაც შეეხება კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციებს, აქ ძირითადი საკითხებია ორ სუბიექტს შორის არსებული შეთანხმების არასრულყოფილება და შეთანხმების სრულყოფილად აღსრულების სირთულე. ეს არასრულყოფილება ტოვებს ოპორტუნისტული ქმედების რისკს კონტრაქტის ორივე მხრიდან. კერძოდ, შეიძლება არსებობდეს ძლიერი მოტივაცია კონტრაქტის მხარეებისთვის, უარი თქვან კონტრაქტის შესრულებაზე (Kähkönen and Meagher 2002). ეს ფენომენი შეიძლება ძალიან ცუდი იყოს სოციალური გადმოსახედიდან, რადგანაც ეკონომიკური ტრანზაქციები ძირითადად დაფუძნებულია კონტრაქტებზე და ამ კონტრაქტების რისკის ზრდა უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკური აქტიურობაზე (Stone, Levy, and Paredes 1992).

კონტრაქტის არასრულყოფილების გამო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა რთულია განსაზღვრო რამდენად იცავენ მხარეები კონტრაქტის პირობებს, რადგან მასში ნათლად არაა გაწერილი მოვლენების ყველა შესაძლო განვითარების სცენარი.

ასევე, როგორც ნორტი (Douglass C North 1984) აღნიშნავს, კონტრაქტის დარღვევის დადგენის შემდეგაც რთულია ზიანის ზუსტი მოცულობის დაანგარიშება, რომელიც მიადგა კონტრაქტის ერთ მხარეს მეორე მხარის შეთანხმების ჩარჩოებიდან გასვლის გამო. შედეგად, სასამართლოს მიერ ვერ ხდება ზარალის მოცულობის ზუსტად ანაზღაურების დაკისრება კონტრაქტის დამრღვევ მხარისთვის დაზარალებული მხარის სასარგებლოდ.

კონტრაქტის არასრულყოფილებასთან ერთად მისი აღსრულების პროცესშიც გვაქვს ჩავარდნები. ერთი მხრივ, ამის მიზეზი ისაა რომ ძალიან რთული და ძვირია კონკრეტულ სიტუაციებში იმის შეფასება, თუ რამდენად არიან მხარეები ხელშეკრულების ფარგლებში. გარდა ამისა, კიდევ უფრო სერიოზული პრობლემაა ის, რომ გადაწყვეტილების მიმღები ოფიციალური პირები თავად არიან ეკონომიკური აგენტები, საკუთარი სარგებლიანობის ფუნქციებით და სამართლიანობის სუბიექტური აღქმით. ამრიგად, გადაწყვეტილებაში ისინი არ არიან სრულად შეზღუდულები და მათი გადაწყვეტილებებზე შეიძლება გავლენა იქონიოს მათმა პერსონალურმა შეხედულებებმა.

საკუთრების უფლებების ინსტიტუტებისგან განსხვავებით, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთობებს, კონტრაქტის ინსტიტუციები ძირითადად არეგულირებს კერძო სექტორის წარმომადგენელთა ურთიერთობას. ეს ფაქტი, საკუთრების უფლების დაცვისგან განსხვავებით, საშუალებას აძლევს ეკონომიკურ აგენტებს, შეამცირონ ოპორტუნიზმის და გაურკვევლობის რისკი ოფიციალური ინსტიტუტების გარეშე. კაჰკონენი და მეგერი (Kähkönen and Meagher 2002) ამტკიცებენ, რომ ხელშეკრულების ოფიციალურ (ფორმალურ) ინსტიტუტებთან ერთად ასევე არსებობს არაფორმალური შეზღუდვები (არაფორმალური ინსტიტუციები), რომლებიც ხელს უწყობენ კონტრაქტის აღსრულებას. მაგალითის სახით შეგვიძლია განვიხილოთ საზოგადოებაში არსებული ნდობა. განზოგადებული ნდობა ყალიბდება საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობით და ემყარება მათ შორის ინტენსიურ ურთიერთქმედებას. როგორც დინსერი, უსლანერი და როტი (Dincer and Uslaner 2010; Roth 2009) ამტკიცებენ, საზოგადოებაში არსებული ნდობის მაღალი ხარისხი ნიშნავს, რომ შემცირებულია კონტრაქტებთან დაკავშირებული ოპორტუნიზმის რისკი. შედეგად, მცირდება

ტრანზაქციული დანახარჯები და იზრდება ეკონომიკური აქტივობა. აქედან გამომდინარე, არსებობს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციები, რომლებიც ხელს უწყობენ ხელშეკრულების შესრულებას. კაჰკონენი და მეგერის (Kähkönen and Meagher 2002) მიხედვით გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომელ ინსტიტუციებს გამოიყენებენ ეკონომიკური აგენტები, დამოკიდებულია ხელშეკრულების ძირითად მახასიათებლებზე (ხელშეკრულების საგანი) და კონკრეტული დაწესებულების მიმართ არსებული ნდობის ხარისხზე. ავტორების აზრით, საკუთრების უფლების დაცვისგან განსხვავებით, უფრო მეტი შანსია იმისა, რომ ეკონომიკური აგენტი შეძლებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას. ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მინიმუმ მოკლევადიან პერიოდში საკუთრების უფლების დაცვის მყარი ინსტიტუციების ჩამოყალიბება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონტრაქტის ინსტიტუციების.

ასამოღლუმ და ჯონსონმა (Acemoglu and Johnson 2005) სცადეს ეპოვათ პასუხი კითხვაზე თუ რომელი ინსტიტუციებია - საკუთრების უფლების თუ კონტრაქტის აღსრულების - შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდისთვის. ძირითადი გამოწვევა ამ პროცესში იყო შესაბამისი საზომების მოძიება, რომელთა გამოყენებითაც მოხერხდებოდა ინსტიტუციების ამ ორი ტიპის გაზომვა. ამ კვლევის შედეგებმა დაადასტურა ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა, რომ ეკონომიკური ზრდისთვის საკუთრების უფლების დაცვის ინსტიტუციები კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუტებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. კონტრაქტის აღსრულებისას მხარეებს არაფორმალური ინსტიტუციების გამოყენებასთან ერთად შეუძლიათ კონტრაქტის პირობების შეცვლა და არსებულ გარემოსთან ადაპტაცია. ფერნანდესმა და კრეიმ (Fernandes and Kraay 2005) ეკონომიკურ ზრდაზე სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტების გავლენა შეაფასეს განსხვავებული ცვლადების გამოყენებით. კვლევამ დაადასტურა არსებული შედეგები.

როდესაც ინსტიტუციების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის არხებს ვიხილავთ, არ უნდა დაგვავიწყდეს შებრუნებული მიზეზ შედეგობრიობის არსებობის შესაძლებლობა. ჩანგი (Chang 2011) ავითარებს მოსაზრებას, რომ ცვლადებს შორის მიზეზ შედეგობრიობის მიმართულება პირიქითია და ეკონომიკური განვითარება გავლენას ახდენს ინსტიტუტის ხარისხზე. ის გამოყოფს სამ არხს, რომელთა

მეშვეობითაც ეკონომიკური ზრდა იწვევს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას. პირველი, როდესაც ქვეყნის შემოსავლები იზრდება, ამ ქვეყნის მოქალაქეები, როგორც წესი, ითხოვენ უკეთეს ინსტიტუციებს. მეორე, კარგი ინსტიტუტები ძალიან ძვირი ჯდება და ქვეყანას შეუძლია მათი ჩამოყალიბება და შენახვა მხოლოდ საკმარისი სიმდიდრის აკუმულირების შემდეგ. მესამე, როდესაც ეკონომიკა ვითარდება, ჩნდება თვისობრივად ახალი სააგენტოების საჭიროება, რითაც ინსტიტუციური გარემო უმჯობესდება. გარდა ამისა, ჰი (He 2008) სვამს კითხვას კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის მიმართულებაზე. ავტორი იყენებს ჩინეთის სოფლისა და ქალაქის მონაცემებს. ჩინეთის მაგალითის განხილვით ავტორი აჩვენებს, რომ სიმდიდრის ზრდასთან ერთად მოხერხდა ინსტიტუციების გაუმჯობესება. აღნიშნული მსჯელობის შედეგად, ჩვენს ანალიზში აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში შებრუნებული მიზეზ შედეგობრიობის არსებობის შესაძლებლობა და ემპირიულ ანალიზში გამოვიყენოთ შესაბამისი მიდგომები.

შეჯამების სახით, ზემოთ მოცემულ მსჯელობაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუციები, რომლებსაც განვმარტავთ როგორც საზოგადოებაში დამკვიდრებულ თამაშის წესებს, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია. ძირითადი არხი, რომლის საშულებითაც კარგ ინსტიტუციებს შეუძლიათ ქონდეთ პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე, არის მათი უნარი, შეამცირონ ტრანზაქციული დანახარჯები. ეკონომიკაში ტრანზაქციული დანახარჯები წამოიქმნება საკუთრების უფლების დაცვის რისკთან და კონტრაქტის და მისი აღსრულების არასრულყოფილებასთან ერთად. შედეგად, ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა ისეთი ინსტიტუციების არსებობა, რომლებიც ეკონომიკური აქტივობისათვის ქმნიან პროგნოზირებად და უსაფრთხო გარემოს.

## 1.2 მონაცემები და შედარებითი ანალიზი

საბჭოთა კავშირის დაშლამ ბიძგი მისცა პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნების სწრაფ ტრანსფორმაციას გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე. ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დღემდე მიმდინარეობს არ იყო ყველა ქვეყნისთვის ერთნაირად წარმატებული და დროში შეუქცევადი. მოცემულ ქვეთავში განხილულია ტრანსფორმაციის ინსტიტუციური და ეკონომიკური განვითარების ასპექტების საზომი მაჩვენებლები და წარმოდგენილია შედარებითი და კორელაციური ანალიზი. შედეგად შევძლებთ დავინახოთ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ბოლო სამი ათწლეულის განვითარების ტენდენციები, რაც საფუძველს მოამზადებს შემდგომი რეგრესიული ანალიზისთვის.

### *1.2.1 პოსტ საბჭოთა სივრცის განვითარების ტენდენციები*

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საზომად ფართოდ გამოყენებული მაჩვენებელია რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორების მონაცემთა ბაზებიდან[5]. როგორც დიაგრამიდან ჩანს (იხ. დიაგრამა 1. 1) მიუხედავად იმისა, რომ სასტარტო პირობები ყველასათვის თანაბარი იყო, ქვეყანების ნაწილმა (ბალტიის პირეთის ქვეყნები, სლოვაკეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, პოლონეთი) მიაღწია სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, მაშინ როცა მეორე ნაწილი განიცდის სტაგნაციას. შედეგად მივიღეთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები ტრანსფორმაციიდან 30 წლის შემდეგ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს ეკონომიკური განვითარების დონით. კერძოდ, თუ დასაწყისში საშუალო შემოსავალი ამ ქვეყნებში 4,6 ათასი დოლარი იყო და მისი სტანდარტული გადახრა 3,9 ათასი, დღეს საშუალო მაჩვენებელი 10,7 და სტანდარტული გადახრა თითქმის ორმაგი, 7,3 ათასი. 2019 წლის მონაცმებით სლოვენიას ჰქონდა ყველაზე მაღალი რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში (27,5 ათასი დოლარი), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ყირგიზეთში (1,1 ათასი დოლარი). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი რომელსაც ვხედავთ გრაფიკზე არის

[5] წყარო: მსოფლიო ბანგის განვითარების ინდიკატორები (https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators)

ქვეყნების ნაწილში საწყის ეტაპზე დაფიქსირებული დიდი ეკონომიკური ვარდნა. მაგალითად საქართველოში 1991 წლიდან 1994 წამდე რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 70%-ით შემცირდა, რუსეთში - 30%, სლოვენიაში 12%. ამ ქვეყანებიდან ზოგიერთმა მალევე შეძლო ეკონომიკის აღდგენისკენ ნაბიჯების გადადგმა და დაადგა სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის გზას, ხოლო მეორე ნაწილმა ეს ან საერთოს ვერ შეძლო ან ძალიან დიდი დრო დასჭირდა.

*დიაგრამა 1. 1: მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (ათასი დოლარი)*




ქვეყნების ეკონომიკური პროგრესი ასევე კარგად ჩანს თუ დავაკვირდებით მათ საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპს გარდამავალი პერიოდის მანძილზე. აქაც ვხედავთ (იხ. დიაგრამა 1. 2) დიდი ვარიაციას. ერთი მხრივ, ვხედავთ ქვეყნებს, რომლებსაც ჰქონდათ 5%-იანი საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 10-12 წელიწადში მათი რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ

სულზე ორმაგდებოდა. მეორეს მხრივ, შერჩევაში წარმოდგენილია საქართველო, მაკედონია, რუსეთი, ყირგიზეთი, რომელთა რეალური ზრდის ტემპი 1%-ზე დაბალია. უფრო მეტიც, ტაჯიკეთში და უკრაინაში, იმავე პერიოდის მანძილზე მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლები შემცირდა კიდეც.

*დიაგრამა 1. 2: საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპი მოსახლეობის ერთ სულზე (1991-2019)*[6]




როდესაც ქვეყნების ამ ჯგუფზე ვსაუბრობთ მხედველობიდან ასევე არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ 25-დან 15 ქვეყანა საბჭოთა კავშირის წევრი იყო. მიუხედავად დარჩენილ 10 სატელიტ ქვეყანასთან მათი მსგავსებისა, საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც არსებობდა საგრძნობი განსხვავებები. შესაბამისად, ანალიზში მნიშვნელოვანია ამ ფაქტის გათვალისწინება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 1. 3-ზე წარმოდგენილია მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალოს დინამიკა ქვეყნების ამ ორი ჯგუფისთვის ცალ-ცალკე. როგორც დიაგრამა აჩვენებს, ცხოვრების დონე ქვეყნების ამ ორ ჯგუფს შორის საწყის ეტაპზევე განსხვავდებოდა, თუმცა რაც უფრო მნიშვნელოვანია, არაწევრ ქვეყნებს ქონდათ უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა წევრ ქვეყნებთან შედარებით.

[6] წყარო: მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორები (https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators)

*დიაგრამა 1. 3: მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალოს დინამიკა წევრ და სატელიტ ქვეყნებში*




პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც ისინი შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ, არის ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შერჩევაში მოცემული ზოგიერთი ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაშინ როცა მეორე ნაწილს ის თითქმის არ აქვს. რესურსების სიჭარბეს შეუძლია გავლენა მოახდინოს როგორც ქვეყნის ეკონომიკური ასევე მის ინსტიტუციური განვითარების დონეზე.[7] ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის საზომად ვიყენებთ საწვავის, მადნებისა და ლითონის ექსპორტის წილს მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში.[8] ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 1. 4-ზე წარმოდგენილია აღნიშნული მაჩვენებლის პერიოდის საშუალო. გრაფიკზე ჩანს რესურსებიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით ქვეყნებს შორის არსებული დრამატული განსხვავებები. მიღებული შემოსავლით ლიდერობს თურქმენეთი, რომელიც წლიდან-წლამდე საკუთარი მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალოდ 43%-ს აგენერირებდა რესურსების ექსპორტის შედეგად. მას მოჰყვება აზერბაიჯანი 35%-ით და ყაზახეთი 30%. 10%-ზე მაღალი მაჩვენებელი აქვს

---

[7] ინსტიტუციებსა და ბუნებრივი რესურსების სიჭარბის კავშირზე დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მესამე თავში.

[8] ცვლადი აგებულია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემთა ბაზაში მოცემული დეტალური საექსპორტო სტატისტიკის საფუძველზე.

ასევე ტაჯიკეთს, რუსეთს, ბელარუსიას, ბულგარეთს და ლიეტუვას. მეორეს მხრივ, ვხედავთ მოლდოვას რომელიც შემოსავლების მხოლოდ 1%-ს აგენერირებდა რესურსებიდან მიღებული რენტის შედეგად.

*დიაგრამა 1. 4: ბუნებრივი რესურსების ექსპორტის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის საშუალო პერიოდის ტრანსფორმაციის პერიოდის მანძილზე*




ლიტერატურაში, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების კონტექსტში ხშირად განიხილავენ მათ გეოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორც ეკონომიკურ განვითარებაში არსებული განსხვავებების ერთ-ერთ პოტენციურ ამხსნელ ფაქტორებს. მაგალითად, იმისათვის რომ გავაკონტროლოთ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვისთვის არსებული ბარიერი ვიყენებთ ქვეყანაში არსებულ ზღვაზე გასასვლელს. ჩვენი შერჩევის ქვეყნებიდან 13 ქვეყანაა ისეთი რომელსაც არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. მათ შორის აღსანიშნავია ყაზახეთი, რომელიც არის მსოფლიოში ზღვაზე გასასვლელის არ მქონე ყველაზე დიდი სახელმწიფო. პოტენციურად ზღვაზე გასასვლელის არ ქონა ხელს უშლის ვაჭრობის ინტენსიფიკაციას და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას.

*დიაგრამა 1. 5: მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტისა და ვენამდე მანძილის გაბნევის გრაფიკი*




კიდევ ერთი პოტენციურად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მახასიათებელია ევროპასთან სიახლოვე. იდეა ისაა, რომ ევროპულ ბაზართან ახოს მდებარე ქვეყნებს აქვთ უფრო მაღალი შანსი, მოახდინონ მასთან ინტეგრაცია. შედეგად, მათ უჩნდებათ წვდომა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მსყიდველობითუნარიან ბაზარზე რაც ბევრ ეკონომიკურ შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ, ევროპასთან სიახლოვე მაღალი ალბათობით ნიშნავს ევროკავშირში ინტეგრაციის დაჩქარებულ ტემპს. შედეგად, უმჯობესდება ქვეყნის ინსტიტუციები და ზოგადი ბიზნეს გარემო უფრო სტაბილური ხდება. დიაგრამა 1. 5-ზე წარმოდგენილია გაბნევის გრაფიკი რომელიც ასახავს ვენამდე მანძილსა[9] და ერთ სულ მოსახლეზე მთლიან სამამულო პროდუქტს შორის არსებულ დამოკიდებულებას. როგორც გრაფიკიდან ჩანს, გვაქვს საკმაოდ მკაფიო უარყოფითი დამოკიდებულება. ქვეყნებს რომლებიც ევროპასთან ახლოს

[9] ვენამდე მანძილი გამოყენებულია როგორც ევროპასთან სიახლოვის საზომი. მონაცემები აღებულია მაიერი და ზიგნაგოს ნაშრომიდან (Mayer Soledad Zignago 2011)

მდებარეობენ აქვს უფრო მაღალი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, შორს მდებარე ქვეყნებთან შედარებით.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნებს ჰქონდათ განსხვავებული ეკონომიკური განვითარების ტრაექტორია რაც აისახა მათი ზრდის ტემპებში. შედეგად, ეს ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონით. ასევე აღსანიშნავია სხვა მახასიათებლებიც, რომლებზეც ზევით ვისაუბრეთ. კერძოდ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩვენი შერჩევიდან ქვეყნების ნაწილი იყო საბჭოთა კავშირის წევრი, ხოლო მეორე ნაწილი სატელიტი ქვეყანა, რაც გარკვეულ განსხვავებებს წარმოქმნის ამ ქვეყნებს შორის. ასევე, როდესაც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებზე ვსაუბრობთ, საინტერესოა ამ შემოსავლების წყარო. კერძოდ, იყო ეს უბრალოდ ბუნებრივი რესურსების რენტიდან მიღებული თუ ქვეყნებმა რეალურად შეძლეს შეექმნათ ხელსაყრელი გარემო ბიზნესისათვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე გეოგრაფიული ფაქტორები, როგორც პოტენციური ეკონომიკური განვითარების დეტერმინანტები. მსჯელობიდან გამომდინარე აუცილებელია რეგრესიულ ანალიზში აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება.

### *1.2.1 ინსტიტუციური განვითარების საზომები და ქვეყნების შედარებითი ანალიზი*

სანამ ინსტიტუციების განვითარების შედარებით ანალიზზე გადავალთ, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ცვლადები რის მიხედვითაც მოხდება ინსტიტუციური განვითარების დონის გაზომვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციების ზემოთ წარმოდგენილი განმარტება კარგად გადმოსცემს მათ არსს, თუმცა საკმაოდ ფართოა იმისათვის, რომ მოხდეს ერთი რაოდენობრივი საზომით მათი ხარისხის გაზომვა. ამ პრობლემის გადასაჭრელად მკვლევარები ცდილობენ, რომ ინსტიტუციური გარემო დაყონ უფრო ვიწრო კომპონენტებად და მოახდინონ ამ კომპონენტების გაზომვა. ამ მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებლობა გვაქვს დავაკვირდეთ ინსტიტუციური გარემოს სხვადასხვა კომპონენტის განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ინდექსების კომბინირებით და აგრეგირებით გავაანალიზოთ ზოგადი ინსტიტუციური გარემო. ინსტიტუციური

ეკონომიკის ჩამოყალიბებიდან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინსტიტუციების გავლენის შეფასების მიმართულებით არსებული კვლევების უმრავლესობა, როგორც წესი, ძირითადად ყურადღებას ფორმალურ ინსტიტუციებზე ამახვილებდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო არაფორმალური ინსტიტუციების განსაზღვრა და შემდეგ მათი ხარისხის რაოდენობრივი გამოსახვის სირთულე.

1999 წელს ინსტიტუციების გაზომვაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოხდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების (World Bank Worldwide Governance Indicators) მონაცემთა ბაზა[10] (Kaufmann, Kraay, and Mastruzzi 2010). ავტორების განმარტებით, მმართველობა არის ტრადიციების და ინსტიტუციების ერთობა, რომლის მიხედვითაც ხდება ძალაუფლების გამოყენება ქვეყანაში. იგი მოიცავს მთავრობების არჩევის, მათი მონიტორინგის და ჩანაცვლების პროცესებს და ასახავს მთავრობის უნარს ეფექტიანად შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა. ასევე ასახავს საზოგადოების ნდობას და დამოკიდებულებას იმ ინსტიტუციების მიმართ, რომელიც მათი ინტერაქციის ჩარჩოს განსაზღვრავს. მონაცემთა ბაზა მოიცავს 6 ინდიკატორს, რომელიც აჯამებს შეხედულებებს მთავრობის ხარისხის შესახებ. მონაცემები შეგროვებულია საწარმოების, მოქალაქეების და ექსპერტების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. მონაცემების მომწოდებლები არიან კვლევითი ინსტიტუციები, არასამთავრობო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. კვლევებში ხშირად ასევე გამოიყენება არსებული 6 ინდიკატორის აგრეგირება, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ზოგადი ინსტიტუციური გარემოს განვითარების დინამიკას. ბაზაში შემავალი ინდიკატორებია:

1. მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა (Voice and Accountability). ეს ინდიკატორი ზომავს აღქმას იმის შესახებ თუ რამდენად არიან ქვეყნის მოქალაქეები ჩართულნი საკუთარი მთავრობის არჩევაში. ასევე ზომავს გამოხატვის და მედიის თავისუფლებას. ინდექსის შედგენისას გამოყენებულია ისეთი ცვლადები როგორიცაა: დემოკრატიის ხარისხი, ადამიანის უფლებების

[10] წყარო: მსოფლიო ბანკი (https://info.worldbank.org/governance/wgi/Home/Documents)

დაცვა, გამოხატვის თავისუფლება, პოლიტიკური უფლებები, სამოქალაქო თავისუფლებები, არჩევნებისადმი ნდობა, არჩევნების ჩატარების ხარისხის სხვადასხვა მაჩვენებლები, პოლიტიკური ინსტიტუციების მიმართ ნდობა.

2. პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა (Political Stability and Absence of Violence/Terrorism). ინდიკატორი ზომავს პოლიტიკური არასტაბილურობის ალბათობის აღქმას საზოგადოებაში. ინდექსის შედგენისას გამოყენებულია შემდეგი მაჩვენებლები: შეიარაღებული კონფლიქტების არსებობა, ძალადობრივი დემონსტრაციები, სოციალური არასტაბილურობა, უსაფრთხოების რისკები, შიდა კონფლიქტები სხვადასხვა ნიშნით, მთავრობის სტაბილურობა, ტერორიზმის რისკი.

3. მთავრობის ეფექტურობა (Government Effectiveness) - ზომავს საჯარო სერვისების ხარისხის აღქმას და მათ პოლიტიკური წნეხისგან თავისუფლების ხარისხს. ინდიკატორი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: ბიუროკრატიის ხარისხი და სიჭარბე, ინფრასტრუქტურის ხარისხი, პირველადი განათლების ხარისხი, საჯარო ტრანსპორტის ხარისხი, საჯარო სკოლების და საბაზისო ჯანდაცვის სერვისების ხარისხი.

4. რეგულირების ხარისხი (Regulatory Quality) - ზომავს აღქმას იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს მთავრობას უნარი შეიმუშაოს და განახორციელოს გამართული პოლიტიკა და რეგულაციები კერძო სექტორის განვითარების ხელშესაწყობად. ინდიკატორი შედგება შემდეგი მაჩვენებლებისგან: არასამართლიანი კონკურენციის პრაქტიკა, ფასების კონტროლი, დისკრიმინაციული ტარიფები და გადასახადები, სახელმწიფო რეგულაციების ტვირთის ზომა, არა სატარიფო ბარიერების გავრცელება, საინვესტიციო და ფინანსური თავისუფლება, ბიზნესის დაწყების სიმარტივე ადგილობრივი და უცხოური კომპანიისთვის.

5. კანონის უზენაესობა (Rule of Law) - ზომავს აღქმას იმის შესახებ, რამდენად აქვთ ნდობა ეკონომიკურ აგენტებს და რამდენად ემორჩილებიან საზოგადოებაში არსებულ წესებს. კერძოდ, კონტრაქტის აღსრულების, საკუთრების უფლების დაცვის, პოლიციის და სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ინდექსში ასევე ასახულია კრიმინალის და ძალადობის ალბათობაც. ინდექსი მოიცავს შედეგ მაჩვენებლებს: ძალადობრივი და ორგანიზებული დანაშაულის გავრცელების

ხარისხი, სასამართლო პროცესების სამართლიანობა, კონტრაქტის აღსრულება-დობა, სასამართლო პროცესების სიჩქარე, კონფისკაციის და ექსპროპრიაციის რისკები, ინტელექტუალური და კერძი საკუთრების დაცვა, პოლიციის სანდოობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა.

6. კორუფციის კონტროლი (Control of Corruption) - ზომავს აღქმას იმის შესახებ, თუ რამდენად ხდება საჯარო ძალაუფლების გამოყენება კერძო სარგებლის მისაღებად. მაჩვენებელი ზომავს როგორც მცირე ასევე დიდი ზომის კორუფციას ასევე იმას, რამდენადაა ძალაუფლება კონცენტრირებული მცირე ჯგუფის ხელში. ინდექსი მოიცავს შედეგ მაჩვენებლებს: საჯარო მოხელეები კორუფციის დონე, საზოგადოების მხრიდან პოლიტიკოსებისადმი ნდობა, ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის მცირე კორუფციის დონე, ადმინისტრაციასა და ადგილობრივ და უცხოურ ბიზნესებს შორის კორუფციის დონე.

თითოეული ინდიკატორი იღებს მნიშვნელობას -2,5-დან 2,5-მდე შუალედში, სადაც ზრდა ნიშნავს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას. ზოგადი ინსტიტუციური გარემოს ხარისხის გასაზომად გამოვიყენებთ ამ ექვსი მაჩვენებლის არითმეტიკულ საშუალოს. ასევე, როგორც განმარტებიდან ჩანს, ინდექსები ზომავენ საზოგადოებაში არსებულ აღქმას ამათუ იმ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასახავენ ქვეყანაში არსებულ არაფორმალურ ინსტიტუციურ გარემოსაც.

კიდევ ერთი მონაცემთა ბაზა, რომელიც შექმნილია ინსტიტუციების გასაზომად არის სისტემური მშვიდობის ცენტრის (Centre for Systemic Pease) პოლიტი (Polity IV)[11] პროექტის მონაცემები. ეს მონაცემთა ბაზა მკვლევარების მიერ გამოიყენება მეტწილად მაშინ როცა მათ სურთ გამოიკვლიონ ფორმალური პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. მონაცემთა ბაზა აერთიანებს მრავალ ინდიკატორს, თუმცა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ძალაუფლების შეზღუდვის მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი ზომავს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე საზოგადების სხვადასხვა ჯგუფის და

[11] წყარო: სისტემური მშვიდობის ცენტრი (https://www.systemicpeace.org/polityproject.html)

რეგულაციების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს. მაგალითად, დემოკრატიულ საზოგადოებებში ასეთი შეზღუდვები დაწესებულია კანონებით, მაშინ როცა მონარქიაში და ავტორიტარულ ქვეყნებში ასეთი შეზღუდვები შეიძლება დაწესებულ იქნას მრჩეველთა ვიწრო წრის ან სპეციალური ინტერესების მქონე ადმიანების (ოლიგარქები, ლობისტები და ა.შ.) მხრიდან. მაჩვენებელი იღებს მნიშვნელობებს 1-დან 7-მდე. 1 ნიშნავს შეუზღუდავ აღმასრულებელ ძალაუფლებას, როცა კონსტიტუციური შეზღუდვებიც კი იგნორირებულია. 7 აღწერს სიტუაციას, სადაც ძალაუფლება შეზღუდულია სამოქალაქო საზოგადოების და კანონების მიერ. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს საზომი თავისი შინაარსით მიეკუთვნება ფორმალური ინსტიტუციების საზომს, რადგან მეტწილად დაფუძნებულია ოფიციალური დოკუმენტების შესწავლაზე და ასახავს ქვეყნებში ჩამოყალიბებულ საკანონმდებლო ბაზას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ქვეყანა ცდილობდა სწრაფად ცვალებადი ფორმალური ინსტიტუციების შეცვლას, რათა მოეხდინათ ქვეყნის გეგმიური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა. დონორი ორგანიზაციებისა თუ სხვა ქვეყნის მთავრობების მხარდაჭერით მეტ ნაკლები წარმატებით მოხერხდა ახალი კანონმდებლობის შემუშავება. მაგრამ იმ ქვეყნებს, სადაც ახლად დანერგილი ფორმალური ინსტიტუციები თავსებადი არ იყო არსებულ არაფორმალურ ინსტიტუციებთან, მოუწიათ მტკივნეული გარდამავალი პროცესის გავლა. ქვეყნების მეორე ნაწილში კი აღნიშული ინსტიტუციები თავსებადი აღმოჩნდა ქვეყანაში არსებულ არაფორმალურ ინსტიტუციებთან და მათი ინტერაქციით ეფექტური ინსტიტუციური გარემო ჩამოყალიბდა.

*დიაგრამა 1. 6: ინსტიტუციების ხარისხი*




დიაგრამა 1. 6 აჯამებს ინსტიტუციური განვითარების ტენდენციებს. დიაგრამაზე გამოსახულია 1996 წლიდან 2019 წლამდე ზოგადი ინსტიტუციური გარემოს ხარისხის[12] განვითარების ტენდენციები ქვეყნების მიხედვით. მთლიანი სამამულო პროდუქტისგან განსხვავებით (იხ. დიაგრამა 1.1), ამ შემთხვევაში ვხედავთ ვარიაციის საკმაოდ მაღალ ხარისხს როგორც პერიოდის ბოლოს, ასევე მის დასაწყისში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნების ნაწილმა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან საკმაოდ სწრაფად მოახერხა ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესება. ასევე ვხედავთ ქვეყნებს, რომლებიც განიცდიან ინსტიტუციების ხარისხის სტაგნაციას ან უძრაობას. 1996 წელს ზოგადი ინსტიტუციების ხარისხის საშუალო მაჩვენებელი ამ ქვეყნებში იყო -0,21 და სტანდარტული გადახრა შეადგენდა 0,76-ს. 2019 წლამდე საშუალო მაჩვენებელი 0,04-მდე გაუმჯობესდა და სტანდარტული გადახრა თითქმის იმავე 0,71 ნიშნულზე

[12] ექვსივე ინდიკატორის არითმეტიკული საშუალო. საწყის წლად აღებულია 1996 რადგან ინდექსის გაზომვა სწორედ ამ წლიდან იწყება.

შენარჩუნდა. 2019 წლის მონაცმებით ამ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი ხარისხის ინსტიტუციები ჰქონდა ესტონეთს (1,24), მას მოჰყვება სლოვენია (0,99) და ლიეტუვა (0,96). ყველაზე დაბალი ინსტიტუციური განვითარება ფიქსირდება თურქმენეთში (-1,38), ტაჯიკეთსა (-1,17) და უზბეკეთში (-0,91).

დიაგრამა 1. 7-ზე ასევე მოცემულია თითოეული ინდექსის საშუალოს განვითა-რების ტენდენცია 1996 წლიდან დღემდე. როგორც გრაფიკიდან ჩანს, პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში ყველაზე განუვითარებელია კორუფციის კონტროლის ინსტიტუციები. ეს იმას ნიშნავს რომ ქვეყნებს ბევრი აქვთ სამუშაო რათა აღმოფხვრან როგორც მცირე ასევე დიდი ზომის კორუფცია. აღსანიშნავია რომ მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობის მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა მთელი ამ პერიოდის მანძილზე, რაც ამ მიმართულებით არსებულ პრობლემაზე მიუთითებს. მთავრობის ეფექტურობა და კანონის უზენაესობის ინსტიტუტები საკმაოდ მაღალი ტემპით ვითარდებოდნენ დაკვირვების პერიოდის მანძილზე, თუმცა კანონის უზენაესობის საშუალო მაჩვენებელი ჯერ კიდევ უარყოფითია. საინტერესო და მოსალოდნელი ტენდენცია აქვს პოლიტიკურ სტაბილურობას. ვხედავთ რომ საუკუნის მიწურულს მაჩვენებელი მკვეთრად გაუარესდა, შემდეგ კი ისევ მკვეთრად გაუმჯობესდა. მსგავსი სიტუაცია გამეორდა 2003-2008 წლებში, როცა ამ მაჩვენებელმა პიკს მიაღწია. მას შემდეგ შედარებით დასტაბილურდა თუმცა დაღმავალი ტრენდი აქვს. ეს ტენდენცია აჩვენებს, რომ ქვეყნებს აქვს პოლიტიკური სტაბილურობის სერიოზული პრობლემა. პოლიტიკური არასტაბილურობა, თავის მხრივ, ზრდის ქვეყანაში ბიზნესის კეთების რისკებს. შედეგად, იკლებს საწარმოო ფაქტორებში ინვესტიციების განხორციელების მსურველი, იქნება ეს ქვეყნის შიგნიდან თუ ქვეყნის გარედან. ასევე ქვეყნებს ექმნებათ საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან სასესხო რესურსის მოზიდვის პრობლემა. დაბოლოს, ყველაზე მაღალი ხარისხის ინსტიტუციები ამ ქვეყნებში ფიქსირდება რეგულირების ხარისხის მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სურვილის შემთხვევაში ქვეყნების მთავრობებს შესწევთ უნარი შეიმუშაონ და განახორციელონ კერძო სექტორის განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკა.

*დიაგრამა 1. 7: სხვადასხვა ტიპის ინსტიტუციების განვითარების დინამიკა*[13]




ინსტიტუციების ხარისხის ცვლილების დასანახად დიაგრამა 1. 8-ზე წარმოდგენილია სხვაობა 1996 წლის და 2919 წლის მაჩვენებელს შორის თითოეული ქვეყნის მიხედვით. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ამ დროის მანძილზე ყველაზე დიდი პროგრესი საქართველომ განიცადა და საშუალო მაჩვენებელი 1,5 პუნქტით გაუმჯობესდა. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით ხაზგასასმელია რადგან ცვლილებამ თითქმის ორი სტანდარტული გადახრა შეადგინა. თუმცა შერჩევაში არის ექვსი ქვეყანა სადაც ინსტიტუციების ხარისხი არათუ გაუმჯობესდა არამედ საგრძნობლად გაუარესდა კიდეც. ამ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი ვარდნა უნგრეთს ჰქონდა, სადაც გაუარესებამ სტანდარტული გადახრის თითქმის 65% შეადგინა.

[13] სადაც, VA- არის მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა, PS - პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა; GE- მთავრობის ეფექტურობა; RQ - რეგულირების ხარისხი, RL - კანონის უზენაესობა, CC - კორუფციის კონტროლი

*დიაგრამა 1. 8: ინსტიტუციების ხარისხის ცვლილება 1996-2019 წლების შუალედში*




როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის დროს აქაც ყურადღება უნდა მივაქციოთ განსხვავებას ყოფილ წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის. დიაგრამა 1. 9-ზე ნაჩვენებია, რომ ქვეყნების ამ ორ ჯგუფს შორის საშუალო ინსტიტუციების ხარისხში არსებული სხვაობა გარდამავალი პერიოდის დაწყებისთანავე ცხადია. განვითარების ტენდენცია ორივე ჯგუფისთვის მეტნაკლებად მსგავსია. თუმცა, აქაც შეიმჩნევა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია. კერძოდ, საუკუნის ბოლოდან 2003 წლამდე არაწევრმა ქვეყნებმა მოახერხეს ინსტიტუციების ხარისხის მკვეთრი გაუჯობესება. ეს შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეულია ამ პერიოდში მათი ნაწილის ევროკავშირთან ინტეგრაციის ტემპის დაჩქარებით.[14]

[14] ევროკავშირში ინტეგრაციის ინსტიტუციების ხარისხზე გავლენის შეფასების შესახებ იხილეთ ნაშრომის მესამე თავში.

*დიაგრამა 1. 9: ინსტიტუციების ხარისხის განვითარების დინამიკა წევრ და სატელიტ ქვეყნებში*




იმისათვის რომ ჯვარედინ მონაცემებზე დაყრდნობით დავადგინოთ კავშირი ინსტიტუციების ხარისხსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, დიაგრამა 1. 10-ის მაჯვენა პანელზე წარმოდგენილია ზოგადი ინსტიტუციების და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის გაბნევის გრაფიკი. მარცხენა პანელი კი გვიჩვენებს ზოგადი ინსტიტუციების საშუალოს განვითარების ტენდენციას ჩვენი დაკვირვების ქვეყნებისთვის. როგორც გაბნევის გრაფიკიდან ჩანს გვაქვს ძლიერი პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ამ ცვლადებს შორის და არ გვაქვს ამოვარდნილი დაკვირვების (outliers) პრობლემა. ასევე მარცხენა პანელზე ვაკვირდებით, რომ ინსტიტუციების ხარისხის განვითარებას ბევრი გამოწვევა ჰქონდა ამ ქვეყნებში დროთა განმავლობაში და მიუხედავად აღმავალი ტრენდისა მისი განვითარება არ ყოფილა ერთგვაროვანი.

*დიაგრამა 1. 10: ზოგადი ინსტიტუციების ხარისხი და ეკონომიკური განვითარება*




რადგან ტრანზაქციული დანახარჯების განსაზღვრაში ერთ-ერთ ძირითად როლს თამაშობს საკუთრების დაცვის და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციები, როგორც შედარებითი ასევე კორელაციური და რეგრესიული ანალიზისას ყურადღებას გავამახვილეთ კანონის უზენაესობის ინდექსზე[15]. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდექსი ზომავს ნდობას და მორჩილებას კონტრაქტის აღსრულების, საკუთრების უფლების დაცვის, პოლიციის და სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ. დიაგრამა 1. 11 გვიჩვენებს ამ ცვლადის ზოგად განვითარებას და მის ეკონომიკურ ზრდასთან დამოკიდებულებას პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ისევე როგორც ზოგადი ინსტიტუციური გარემოს შემთხვევაში, დიაგრამის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილ გაბნევის გრაფიკზე ვხედავთ პოტენციურად ძლიერ დადებით დამოკიდებულებას კანონის უზენაესობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ასევე მარცხენა გრაფიკზე ჩანს, რომ ამ მიმართულებით განვითარების ტენდენცია არ

[15] კანონის უზენაესობა (Rule of Law) მსოფლიოს მმართველობის ინდიკატორთა ბაზიდან.

ყოფილა შეუქცევადი და იყო პერიოდები როდესაც ამ ტიპის ინსტიტუციების ხარისხი უარესდებოდა ჩვენი შერჩევის ქვეყნებში.

*დიაგრამა 1. 11: კანონის უზენაესობა და ეკონომიკური განვითარება*




ემპირიულ ანალიზში ფორმალური ინსტიტუციების ხარისხის გასათვალისწინებლად ასევე გამოვიყენებთ ძალაუფლების შეზღუდვის ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ მაჩვენებელს. დიაგრამა 1. 12 აჯამებს მისი განვითარების ტენდენციას და ეკონომიკურ ზრდასთან ასოციაციას. როგორ დიაგრამის მარჯვენა პანელზე ვხედავთ, წინა ორი შემთხვევისგან განსხვავებით გავაქვს გაბნევის გრაფიკი, რომელიც მიუთითებს საკმაოდ დიდ ვარიაციაზე და ამოვარდნილი მონაცემების პრობლემაზე, განსაკუთრებით დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში (ქვეყნებში სადაც მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 10 ათას დოლარზე ნაკლებია). წინა ორი შემთხვევის მსგავსად, აქაც გვაქვს განვითარების ტენდენციის დროს უკან დახევის მონაკვეთები, რომლებიც ასახულია დიაგრამის მარცხენა პანელზე.

*დიაგრამა 1. 12: ძალაუფლების შეზღუდვის ხარისხი და ეკონომიკური განვითარება*




ცხრილი 1. 1 აჩვენებს ზემოთ განხილულ ცვლადებს შორის არსებულ კორელაციის ხარისხს. როგორც პირველი სვეტიდან ჩანს, მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ძლიერ დადებით კორელაციაშია ზოგადი ინსტიტუციების და კანონის უზენაესობის საზომებთან და ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე. დადებითი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა მთლიან სამამულო პროდუქტსა და ძალაუფლების შეზღუდვას შორის, თუმცა კოეფიციენტი შედარებით მცირეა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბუნებრივ რესურსების არსებობასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის დამოკიდებულება ძლიან სუსტი და სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. ცხრილიდან აღსანიშნავია ინსტიტუციების საზომების სხვადასხვა ბაზიდან აღებულ ინდიკატორებს შორის კავშირი. როგორც ვხედავთ, ინსტიტუციების ზოგად საზომს (რომელიც აღებულია მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების ბაზიდან) და ძალაუფლების შეზღუდვას (აღებულია სისტემური მშვიდობის ცენტრის პოლიტი პროექტიდან) შორის გვაქვს ძლიერი დადებითი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

დამოკიდებულება. იგივე ფიქსირდება კანონის უზენაესობასა და ძალაუფლების შეზღუდვას შორის.

*ცხრილი 1. 1: კორელაციური მატრიცა*

| | GDP | GDP-ს ზრდა | ზოგადი ინსტ. | კანონ. უზენაეს. | შეზღუდვა | ბუნ. რესურსები | მანძ. ვენიდან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| GDP | 1 | | | | | | |
| GDP-ს ზრდა | 0.4623* | 1 | | | | | |
| ზოგადი ინსტ. | 0.8056* | 0.5606* | 1 | | | | |
| კანონ. უზენაეს. | 0.8279* | 0.5509* | 0.9823* | 1 | | | |
| შეზღუდვა | 0.4352* | 0.2812 | 0.7600* | 0.7223* | 1 | | |
| ბუნ. რესურსები | 0.0926 | 0.2176 | 0.1553 | 0.1092 | -0.1239 | 1 | |
| მანძ. ვენიდან | -0.6225* | -0.3921 | -0.7109* | -0.6783* | -0.6741* | 0.1379 | 1 |
| ჩაკეტილი | -0.3453 | -0.2061 | -0.4555* | -0.4565* | -0.3939 | 0.2096 | 0.3893 |

## 1.3 ინსტიტუციების ხარისხის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე: რეგრესიული ანალიზი

წინა ქვეთავში წარმოდგენილმა შედარებითმა და კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეკონომიკური განვითარების ხარიხის მჭიდრო კავშირშია ინსტიტუციების განვითარების ხარისხთან პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში. შემდეგი ნაბიჯია ამ ცვლადებს შორის მიზეზ შედეგობრივი კავშირის გამოკვლევა. ამისათვის პირველ რიგში გამოვიყენებთ ჯვარედინ მონაცემებს და ავაგებთ რეგრესიის მოდელს, ხოლო შემდეგ პანელური მონაცემებით ჩავატარებთ ანალიზს. ჯვარედინი რეგრესიისაც გამოვიყენებთ რეგრესიული მოდელის შემდგომ სპეციფიკაციას:

$$\boldsymbol{Y_i = \beta_0 + \beta_1 Inst_i + \beta_2 X_{1,i} + \beta_3 X_{2,i} + \varepsilon}$$

სადაც $Y_i$ არის ეკონომიკური განვითარების საზომი; $\boldsymbol{Inst_i}$ –არის ინსტიტუციების ხარისხის საზომი; $\boldsymbol{X_{1,i}}$ და $\boldsymbol{X_{2,i}}$ - მოდელში ჩართული სხვა ამხსნელი ცვლადები, $\boldsymbol{\varepsilon}$ -შემთხვევითი შეცდომა. დაკვირვებათა რიცხვის სიმცირის გამო ჯვარედინ რეგრესიებში არ გამოვიყენებთ ორ დამატებით მაკონტროლებელ ცვლადზე მეტს.

### *1.3.1 ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: საბაზისო სპეციფიკაციები*

როგორც წინა სექციაში აღვნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საზომად ვიყენებთ რეალურ მთლიან სამამულო პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულ-ზე, რომელიც აღებულია მსოფლიო ბანკის მსოფლიოს განვითარების ინდიკატორების ბაზიდან. ეკონომიკური ზრდის რეგრესიებში, როგორც წესი, იყენებენ აღნიშნული მაჩვენებლის პროცენტულ ცვლილებას, რომელიც აღწერს ეკონომიკური განვითარების ტემპებს შორის განსხვავებას. შესაბამისად ქვემოთ მოცემულ რეგრესიებშიც დამოკიდებული ცვლადია მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე. ინსტიტუციების საზომად პირველ რიგში გამოვიყენებთ ზოგადი ინსტიტუციების ხარისხს რათა დავაკვირდეთ ზოგადი გარემოს მნიშვნელობას ეკონომიკური ზრდისთვის. ასევე, რადგან გვინდა რომ კონცენტრირება მოვახდინოთ საკუთრების უფლების დაცვისა და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციებზე, ინსტიტუციების საზომად გამოვიყენებთ კანონის უზენაესობის (rule

of law) ინდექსს. აღნიშნული ცვლადი ზომავს თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს ნდობა და ემორჩილებიან საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს, კერძოდ, კონტრაქტის აღსრულების, საკუთრების უფლების დაცვის, პოლიციისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მისი მოდელში ჩართვით შესაძლებლობა გვაქვს გავზომოთ არა ზოგადად ინსტიტუციების ხარისხი, არამედ კონკრეტულად კონტრაქტის აღსრულების და საკუთრების უფლების დაცვის ინსტიტუციების ხარისხი ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მაჩვენებელი სრულად არის დაფუძნებული ქვეყანაში მცხოვრებ ექსპერტთა მოსაზრებებსა და საზოგადოების გამოკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კანონების აღსრულება პრაქტიკაში. შესაბამისად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს მაჩვეენებლი ასევე ითვალისწინებს ქვეყნის არაფორმალურ ინსტიტუციებს. ეს მაჩვენებელი მერყეობს -2,5-დან 2,5-მდე ისე, რომ მისი ზრდა ნიშნავს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას.

კიდევ ერთი ინსტიტუციური ცვლადი რომელსაც რეგრესიულ ანალიზში გამოვიყენებთ არის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შეზღუდვის მაჩვენებელი Polity IV პროექტის ბაზიდან. ეს მაჩვენებელი ასახავს ქვეყნების კანონმდებლობებს შორის განსხვავებას და გვიჩვენებს, რა დონით ხდება ქვეყნებში პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პირების შეზღუდვა. რადგან ცვლადი სრულად დაფუძნებულია არსებულ კანონმდებლობებს შორის სხვაობაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მაჩვენებელი არის უფრო ფორმალური ინსტიტუციების საზომი. ის ასევე ასახავს პოლიტიკური სისტემის განვითარების ხარისხს. მაჩვენებელის მნიშვნელობა მერყეობს 1-დან 7-მდე; ციფრი 7 ნიშნავს რომ დაწესებულია ძალიან კარგი კონტროლი, 1 კი ნიშნავს რომ ქვეყანაში თითქმის არ არსებობს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა კონტროლის მექანიზმები.

გარდა ამისა, შეფასებათა ძალმოსილების უზრუნველსაყოფად რეგრესიებში დამატებით ჩავრთეთ სხვადასხვა ამხსნელი ცვლადები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხარისხზე. მათ რიცხვში შედის სხვადასხვა ეკონომიკური და გეოგრაფიული ცვლადი. ამხსნელ ეკონომიკურ ცვლადებად ვიყენებთ საწყისი პერიოდის რეალურ მთლიან სამამულო პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე, ბუნებრივ რესურსებს, რომელიც გაზომილია როგორც მათი ექსპორტის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში (de Melo et al. 2001). გეოგრაფიულ ცვლადებად

კი ვიყენებთ მანძილს ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან (la Porta et al. 1999) და ქვეყნისთვის ზღვაზე გასავლელის (CIA World Factbook webpage) არსებობას. ვენიდან მანძილის გამოყენების მოტივაცია ისაა, რომ გავაკონტროლოთ ევროპასთან სიახლოვის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხოლო ზღვაზე გასასვლელი აკონტროლებს ვაჭრობის სიმარტივის გავლენას. ვენიდან მანძილი გაზომილია კილომეტრებში, ხოლო ზღვაზე გასასვლელი არის ფიქტიური ცვლადი, რომლიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყანას არ აქვს ზღვაზე გასასვლელი და 0-ს - სხვა შემთხვევაში.

როგორც წინა ქვეთავებში აღვნიშნეთ, არ უნდა დაგვავიწყდეს საბჭოთა კავშირის წევრობის სტატუსის გაკონტროლება რეგრესიულ ანალიზში, რათა მხედველობაში მივიღოთ ის თავისებურებები, რომლებიც ქვეყნების ამ ორ ჯგუფს ერთმანეთისგან ისტორიულად განასხვავებს. საზომად ვიყენებთ ფიქტიურ ცვლადს, რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირის წევრი და 0-ს თუ არ იყო. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მაკონტროლებელი ცვლადი სხვადასხვა მკვლევარის მიერ ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური ზრდის რეგრესიებში (Acemoglu, Johnson, and Robinson 2005a; Beck and Laeven 2006; de Melo et al. 2001; Schönfelder and Wagner 2016; la Porta et al. 1999).

*ცხრილი 1. 2: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: ინსტიტუციების ზოგადი ხარისხი*[16]

| ცვლადები | (1) GDP-ს ზრდა | (2) GDP-ს ზრდა | (3) GDP-ს ზრდა | (4) GDP-ს ზრდა | (5) GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი ინსტიტუციები | 0.0162*** | 0.0173*** | 0.0158*** | 0.0165*** | 0.0150** |
| | (0.00483) | (0.00505) | (0.00491) | (0.00519) | (0.00565) |
| ყოფილი წევრი | | 0.00502 | | | |
| | | (0.00631) | | | |

16 GDP-ს ზრდა - ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპი 1991 წლიდან 2019 წლამდე. ზოგადი ინსტიტუციები - მსოფლიო ბანკის მმართველობის ექვსი ინდიკატორის არითმეტიკული საშუალო. ყოფილი წევრი - ფიქტიური ცვლადი რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყნა იყო საბჭოთა კავშირის წევრი. ბუნებრივი რესურსები - ნავთობი და მინერალური მადნების ექსპორტის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში. ჩაკეტილი - ფიქტიური ცვლადი რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყანას არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. მანძილი ვენიდან - მანძილი ქვეყნის დედაქალაქიდან ვენამდე კილომეტრებში. საწყისი GDP - მთლიანი სამამულო პროდუქტის დონე 1991 წელს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000416 | | |
| | | | (0.000546) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00116 | |
| | | | | (0.00597) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -1.23e-06 |
| | | | | | (2.85e-06) |
| საწყისი GDP | -0.00623 | -0.00525 | -0.00620 | -0.00614 | -0.00699 |
| | (0.00467) | (0.00486) | (0.00471) | (0.00479) | (0.00507) |
| მუდმივა | 0.0764* | 0.0651 | 0.0747* | 0.0750* | 0.0847* |
| | (0.0390) | (0.0418) | (0.0394) | (0.0405) | (0.0443) |
| | | | | | |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.366 | 0.384 | 0.383 | 0.367 | 0.371 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ცხრილი 1. 2-ში წარმოდგენილია 2018 წლის ჯვარედინი მონაცემების გამოყენ-ებით შეფასებული მოდელის ხუთი განსხვავებული სპეციფიკაციის შედეგები. ხუთივე სპეციფიკაციაში დამოკიდებული ცვლადია მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო ზრდის ტემპი მოსახლეობის ერთ სულზე 1991 წლიდან 2019 წლამდე. ინსტიტუციების ხარისხის საზომი ცვლადია მათი ზოგადი ხარისხი, რომელიც ექვსი ინდიკატორის საშუალოს წარმოადგენს. ასევე ყველა რეგრესიაში ერთ-ერთ მაკონტროლებელ ცვლადად გამოყენებულია მთლიანი სამამულო პროდუქტის საწყისი დონე. პირველ სვეტში მოცემული რეგრესია აჩვენებს, რომ ინსტიტუციების ზოგად ხარისხს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე როდესაც გაკონტროლებულია მთლიანი სამამულო პროდუქტის საწყისი დონე. შემდეგ სვეტში წარმოდგენილია რეგრესია, სადაც დამატებით ამხსნელ ცვლადად გამოვიყენეთ საბჭოთა კავშირის წევრობის სტატუსი. ეს სტატუსი არაა მნიშვნელოვანი ამხსნელი ცვლადი, თუმცა ინსტიტუციების ხარისხის კოეფიციენტი რჩება მნიშვნელოვანი 1-%იან დონეზე. მომდევნო სვეტში გაკონტროლებულია ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულების დონე. აქაც თავად ეს ცვლადი არაა მნიშვნელოვანი, თუმცა ინსტიტუციების ხარისხი კვლავ ინარჩუნებს მაღალი სანდოობის დონეს. ბოლო ორ სვეტში ამხსნელ ცვლადებად გამოყენებულია გეოგრაფიული ფაქტორები, ზღვაზე გასასვლელი და მანძილი ვენამდე, შესაბამისად. ორივე სპეციფიკაციაში

ინსტიტუციების ხარისხი ინარჩუნებს ამხსნელობით ძალას, თუმცა ბოლო სპეციფიკაციაში მნიშვნელოვნების დონე 5%-მდე ეცემა. რაც პოტენციურად მიუთითებს ევროკავშირის სიახლოვის მნიშვნელოვნებაზე და გავლენის ხარისხზე. აქვე უნდა აღინიშნოს კოეფიციენტის მდგრადობა. რეგრესიულ ანალიზში ის სპეციფიკაციებს შორის თითქმის უცვლელია. რაც შეეხება მაგნიტუდას, ის გვიჩვენებს, რომ ინსტიტუციების ხარისხის ერთი ერთეულით გაუმჯობესება საშუალო ეკონომიკურ ზრდას 1,5-1,8%-ით ზრდის, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენაა ეკონომიკური განვითარების ტრაექტორიაზე. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგიერთ ქვეყანას ამ ტემპის ეკონომიკური ზრდაც არ ჰქონია.

ცხრილი 1. 3 წარმოადგენს რეგრესიულ ანალიზს, სადაც წინა ცხრილისგან განსხვავებით ამხსნელ ინსტიტუციურ ცვლადად მოცემულია კანონის უზენაესობა. ამ შემთხვევაშიც გვაქვს 5 სხვადასხვა სპეციფიკაცია და ყველა მათგანში გამოყენებულია წინა ცხრილის მსგავსი კომბინაციები. შედეგად აქაც ვაკვირდებით, რომ კანონის უზენაესობას აქვს ძლიერი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ყველა სპეციფიკაციაში. ბოლო სპეციფიკაციის გარდა ყველა სპეციფიკაციაში გვაქვს 1%-იანი, ხოლო ბოლო სპეციფიკაციაში - 5%-იანი მნიშვნელოვნების დონე. წინა, ცხრილ 1.2 -სგან განსხვავებით ცხრილ 1.3-ში ინსტიტუციური ცვლადის კოეფიციენტის მაგნიტუდა შესამჩნევად არის შემცირებული.[17]

*ცხრილი 1. 3: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: კანონის უზენაესობა*

| ცვლადები | (1) GDP-ს ზრდა | (2) GDP-ს ზრდა | (3) GDP-ს ზრდა | (4) GDP-ს ზრდა | (5) GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| კანონის უზენაესობა | 0.0151*** | 0.0154*** | 0.0148*** | 0.0153*** | 0.0136** |
| | (0.00454) | (0.00469) | (0.00455) | (0.00487) | (0.00506) |
| ყოფილი წევრი | | 0.00271 | | | |
| | | (0.00626) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000526 | | |
| | | | (0.000540) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00107 | |

[17] სხვა ინდივიდუალური ინდექსებისთვის მსგავსი რეგრესიები წარმოდგენილია ნაშრომის დანართში (იხ. ცხრილი A. 2ცხრილი A. 3ცხრილი A. 4ცხრილი A. 5ცხრილი A. 6)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | (0.00599) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -1.87e-06 |
| | | | | | (2.73e-06) |
| საწყისი GDP | -0.00678 | -0.00613 | -0.00693 | -0.00671 | -0.00805 |
| | (0.00481) | (0.00513) | (0.00482) | (0.00494) | (0.00521) |
| მუდმივა | 0.0822* | 0.0752 | 0.0816* | 0.0810* | 0.0957** |
| | (0.0404) | (0.0443) | (0.0405) | (0.0419) | (0.0455) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.361 | 0.367 | 0.389 | 0.362 | 0.375 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

განვიხილოთ ჩვენს მიერ შეფასებული რეგრესიის კიდევ ერთი ვარიანტის შედეგები (იხ. ცხრილი 1.4). ამჯერად ინსტიტუციურ ამხსნელ ცვლადად ვიხილავთ ძალაუფლების შეზღუდვას. წინა შემთხვევების მსგავსად, ყველა სპეციფიკაციაში დამოკიდებულ ცვლადად მოცემული ეკონომიკური ზრდის ტემპი და გამოყენებულია ცვლადების იდენტური კომბინაციები. როგორც რეგრესიის შედეგებიდან ჩანს, არცერთ სპეციფიკაციაში ძალაუფლების შეზღუდვა არაა მნიშვნელოვანი, თუმცა, უნა აღინიშნოს, რომ ძალიან ახლოსაა 10%-ანი მნიშვნელოვნების დონესთან (p-ს მნიშვნელობა 12% ია ყველა სპეციფიკაციაში). რადგან ძალაუფლების შეზღუდვის ცვლადით ვზომავთ ფორმალურ ინსტიტუციების როლს, ეს შედეგი შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ ფორმალურმა ინსტიტუციებმა ეკონომიკური განვითარების პროცესში ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

*ცხრილი 1. 4: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: ძალაუფლების შეზღუდვა*

| ცვლადები | (1) GDP-ს ზრდა | (2) GDP-ს ზრდა | (3) GDP -ს ზრდა | (4) GDP-ს ზრდა | (5) GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| ძალაუფლების შეზღუდვა | 0.00167 | 0.00211 | 0.00196 | 0.00149 | 7.62e-05 |
| | (0.00148) | (0.00173) | (0.00149) | (0.00159) | (0.00191) |
| ყოფილი წევრი | | 0.00438 | | | |
| | | (0.00844) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000769 | | |
| | | | (0.000645) | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩაკეტილი | | | | -0.00259 | |
| | | | | (0.00715) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -4.85e-06 |
| | | | | | (3.75e-06) |
| საწყისი GDP | 0.00251 | 0.00353 | 0.00173 | 0.00205 | -0.00196 |
| | (0.00443) | (0.00491) | (0.00444) | (0.00470) | (0.00557) |
| მუდმივა | -0.00553 | -0.0190 | -0.00339 | 0.000785 | 0.0484 |
| | (0.0353) | (0.0444) | (0.0350) | (0.0400) | (0.0544) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.092 | 0.104 | 0.150 | 0.098 | 0.159 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

### *1.3.2 ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით*

ზემოთ მოყვანილი მოდელების საფუძველზე დასკვნების გაკეთებამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ზრდის მსგავს რეგრესიებში მწვავედ დგას ენდოგენურობის პრობლემა. ჩვენს შემთხვევაში, ეს ნიშნავს რომ განხილული რეგრესიების შეცდომის წევრი შეიძლება კორელაციაში იმყოფებოდეს რეგრესიაში ჩართულ ინსტიტუციურ ცვლადებთან. სხვანაირად, ენდოგენურობა შეიძლება წარმოვადგინოთ სიტუაციად, როცა ინსტიტუციური ცვლადები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ერთმანეთთან პირდაპირ და უკუ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე გავრცელებული გზაა ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენება. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ენდოგენური ცვლადისთვის უნდა ვიპოვოთ ისეთი ეგზოგენური ცვლადი, რომელიც შედეგობრივ ცვლადზე მხოლოდ ენდოგენურ ცვლადზე ზემოქმედებით ახდენს გავლენას. ანუ ჩვენს მაგალითში, ინსტრუმენტული ცვლადს, მოსახლეობის შემოსავლებზე გავლენა მხოლოდ ინსტიტუციების ხარისხზე ზემოქმედებით უნდა ჰქონდეს.

ლიტერატურაში შემოთავაზებულია ამ შემთხვევისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტული ცვლადების არაერთი ვარიანტი. ჩვენ, ბექ და ლევინის (Beck and

Laeven 2006) მსგავსად, რეგრესიულ ანალიზში კანონის უზენაესობის და ზოგადი ინსტიტუციების ხარისხის (ასახავენ არაფორმალური ინსტიტუციებსაც) ინსტრუმენტულ ცვლადად გამოვიყენებთ ქვეყნის მიერ სოციალისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობას. მიზეზი, თუ რატომ ვიყენებთ ამ ინსტრუმენტულ ცვლადს, არის მისი შესაძლო გავლენა საზოგადოების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბუნებაზე. გოროდნიჩენკომ და როლანდმა (Gorodnichenko and Roland 2017) ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილების შესწავლით აჩვენეს, რომ არსებობს ძლიერი პოზიტიური დამოკიდებულება ინდივიდუალიზმსა და საზოგადოებაში არსებულ არაფორმალური ინსტიტუციების სიძლიერეს შორის. დამატებით, ავტორები ავითარებენ მოსაზრებას, რომ ქვეყანაში ინდივიდუალიზმის დონე განისაზღვრება საზოგადოების კულტურული მახასიათებლებით და მსოფლმხედველობით. პრაქტიკაში შეიძლება გვქონდეს შემთხვევები, როცა რომელიმე იმპერიის ან სისტემის ქვეშ ცხოვრებამ შეიძლება გავლენა იქონიოს საზოგადოების ინდივიდუალიზმის ხარისხზე და, შესაბამისად, მის ეკონომიკურ განვითარებაზე. ზუსტად ამ შეხედულებას ასახავს სოციალისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობის ინსტრუმენტულ ცვლადად გამოყენება. საბჭოთა სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სისტემაში ცხოვრებამ გავლენა იქონია საზოგადოებაში ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ხარისხზე და სახელმწიფოს მიმართ ადამიანების დამოკიდებულებაზე. გეგმიური ეკონომიკა და საწარმოო რესურსების სახელმწიფო საკუთრება არ ტოვებდა სივრცეს კერძო სამეწარმეო საქმიანობისთვის. შესაბამისად, შესუსტდა საზოგადოებაში ინდივიდუალიზმი და გაძლიერდა კოლექტივიზმი. ასევე, ამ ქვეყნებში მთავრობის როლი არ იყო სწორად აღქმული და მოქალაქე დამოკიდებული იყო სახელმწიფოზე და მის გადაწყვეტილებებზე (Vladimer Papava 2005). ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ გავლენის ხარისხი დადებით კორელაციაშია სისტემის ქვეშ ყოფნის დროსთან. შედეგად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნებს გაუჭირდათ მთავრობებისთვის შეზღუდვების დაწესება და შესაბამისი ინსტიტუციების ჩამოყალიბება, რამაც გავლება იქონია ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

მეორე ინსტრუმენტული ცვლადი, რომელსაც რეგრესიულ ანალიზში ძალაუფლების შეზღუდვის (ფორმალური ინსტიტუცია) ინსტრუმენტად გამოვიყენებთ, არის ინსტიტუციური გამოცდილება. ეს უკანასკნელი გვიჩვენებს წლების რაოდენობას 1900[18] წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელნი. ძირითადი იდეა ისაა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის და დამოუკიდებელი ინსტიტუციების არსებობის წინა გამოცდილება, რომელიც ქვეყნებს გააჩნდათ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებულ სისტემაში, შეიძლება გამოსადეგი ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში ფორმალური ინსტიტუციების ჩამოსაყალიბებლად. ლოგიკურია დავუშვათ, რომ ქვეყნები რომლებიც უფრო დიდი ხანი იყვნენ დამოუკიდებლები, უფრო სწრაფად შეძლებდნენ მყარი ფორმალური ინსტიტუციების ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირისგან განსხვავებულ გარემოში.

ცხრილი 1. 5-ში წარმოდგენილია ჯვარედინი რეგრესია ზოგადი ინსტიტუციური ხარისხისთვის, სადაც ინსტრუმენტულ ცვლადად გამოყენებულია სოციალისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობა. დამოკიდებული ცვლადია მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის რეალური ზრდა, ხოლო დანარჩენი ამხსნელი ცვლადების კომბინაცია წინა ცხრილებში მოცემული სპეციფიკაციების იდენტურია. ყველა სპეციფიკაციაში ვხედავთ რომ ზოგადი ინსტიტუციურ ხარისხის გავლენა ეკონომიკური ზრდაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. თუმცა ბოლო სპეციფიკაციაში სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონე 10%-მდე ეცემა. ეს საბაზისო რეგრესიაში მიღებული შედეგის მსგავსია, თუმცა გავქვს მნიშვნელოვნების ცოტა უფრო მეტით ვარდნა. საბაზისო რეგრესიასთან შედარებით კოეფიციენტის მაგნიტუდა გაიზარდა და ინსტიტუციების ერთი ერთეულით ცვლილება ასოცირებულია საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპის 2-3% მდე ცვლილებასთან.

[18]ცვლადის დეტალური აღწერა წარმოდგენილია ნაშრომის მესამე თავში და დანართში.

*ცხრილი 1. 5: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით: ზოგადი ინსტიტუციების ხარისხი*

| ცვლადები | (1) GDP-ს ზრდა | (2) GDP-ს ზრდა | (3) GDP-ს ზრდა | (4) GDP-ს ზრდა | (5) GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი ინსტიტუციები | 0.0204*** | 0.0290*** | 0.0214*** | 0.0206*** | 0.0209* |
| | (0.00715) | (0.00716) | (0.00673) | (0.00724) | (0.0109) |
| ყოფილი წევრი | | 0.00888 | | | |
| | | (0.00668) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000340 | | |
| | | | (0.000520) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00257 | |
| | | | | (0.00587) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | 2.22e-07 |
| | | | | | (3.57e-06) |
| საწყისი GDP | -0.00891 | -0.0115** | -0.00976* | -0.00836 | -0.00893 |
| | (0.00566) | (0.00564) | (0.00541) | (0.00536) | (0.00571) |
| მუდმივა | 0.0987** | 0.114** | 0.105** | 0.0926** | 0.0985** |
| | (0.0472) | (0.0477) | (0.0453) | (0.0446) | (0.0472) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.344 | 0.227 | 0.344 | 0.349 | 0.339 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ცხრილი 1. 6-ში მოცემულია რეგრესია, სადაც კანონის უზენაესობის ამხსნელი ინსტიტუციური ცვლადის ინსტრუმენტად გამოყენებულია სოციალისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობა. აქაც ვხედავთ რომ საკუთრების უფლების დაცვა და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციების ხარისხი სტატისტიკურად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ ზრდაში. საბაზისო რეგრესიისგან განსხვავებით აქაც გვაქვს კოეფიციენტის მაგნიტუდის ზრდა.

*ცხრილი 1. 6: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით: კანონის უზენაესობა*

| ცვლადები | (1)<br>GDP-ს<br>ზრდა | (2)<br>GDP-ს<br>ზრდა | (3)<br>GDP-ს<br>ზრდა | (4)<br>GDP-ს<br>ზრდა | (5)<br>GDP-ს<br>ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| კანონის უზენაესობა | 0.0206*** | 0.0254*** | 0.0220*** | 0.0208*** | 0.0195* |
| | (0.00737) | (0.00627) | (0.00707) | (0.00747) | (0.0102) |
| ყოფილი წევრი | | 0.00490 | | | |
| | | (0.00639) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000476 | | |
| | | | (0.000525) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00311 | |
| | | | | (0.00607) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -5.35e-07 |
| | | | | | (3.29e-06) |
| საწყისი GDP | -0.0108* | -0.0127** | -0.0121** | -0.0102* | -0.0107* |
| | (0.00633) | (0.00583) | (0.00614) | (0.00596) | (0.00634) |
| მუდმივა | 0.116** | 0.129*** | 0.126** | 0.109** | 0.116** |
| | (0.0533) | (0.0500) | (0.0518) | (0.0498) | (0.0528) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.318 | 0.230 | 0.316 | 0.324 | 0.335 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

დაბოლოს, ცხრილი 1. 7 აჯამებს ძალაუფლების შეზღუდვის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე სადაც ინსტრუმენტულ ცვლადად გამოყენებულია ინსტიტუციური გამოცდილება. საბაზისო რეგრესიისგან განსხვავებით ვხედავთ, რომ პირველ და მესამე სპეციფიკაციებში ძალაუფლების შეზღუდვის კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 5% დონეზე. მესამე და მეოთხე სვეტებში მოცემულ სპეციფიკაციებში მოცემული კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე, ხოლო ბოლო სპეციფიკაციაში კოეფიციენტი არაა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანი განსხვავება რაც გვაქვს წინა ორ ცხრილსა და მოცემულ ცხრილს შორის არის ის, რომ კოეფიციენტის მნიშვნელოვნების ხარისხი წინა რეგრესიებში უფრო მაღალია. თუ შევხედავთ გავლენის მაგნიტუდას, აქ ინდექსის 1 ერთეულით ცვლილება ასოცირებულია მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო ზრდის ტემპის 0,7-1,1% ცვლილებასთან, რაც 3-ჯერ ჩამორჩება წინა

მაჩვენებელს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ცვლილების დიაპაზონი ძალაუფლების შეზღუდვის ცვლადისა უფრო დიდია (მერყეობს 1-დან 7-მდე) ვიდრე ინსტიტუციების ზოგადი ხარისხისა და საკუთრების დაცვის და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციებისა (მერყეობს -2.5-დან 2.5-მდე). მსგავსება ისაა რომ ბოლო სპეციფიკაციაში აქაც იკლებს მნიშვნელოვნების ხარისხი, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ევროპასთან სიახლოვის მნიშვნელოვნებას.

*ცხრილი 1. 7: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით: ძალაუფლების შეზღუდვა*

| VARIABLES | (1)<br>GDP-ს ზრდა | (2)<br>GDP-ს ზრდა | (3)<br>GDP-ს ზრდა | (4)<br>GDP-ს ზრდა | (5)<br>GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| ძალაუფლების შეზღუდვა | 0.00730** | 0.0112* | 0.00719** | 0.00814* | 0.0109 |
| | (0.00347) | (0.00588) | (0.00327) | (0.00422) | (0.00773) |
| ყოფილი წევრი | | 0.0262 | | | |
| | | (0.0174) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.00114 | | |
| | | | (0.000771) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00672 | |
| | | | | (0.0103) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | 8.82e-06 |
| | | | | | (1.06e-05) |
| საწყისი GDP | -0.00298 | 0.00185 | -0.00361 | -0.00214 | 0.00447 |
| | (0.00608) | (0.00691) | (0.00586) | (0.00628) | (0.00917) |
| მუდმივა | 0.00949 | -0.0679 | 0.0112 | -0.00591 | -0.0868 |
| | (0.0434) | (0.0682) | (0.0412) | (0.0498) | (0.120) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ჯვარედინი რეგრესიის შედეგები აჩვენებს, რომ არაფორმალური ინსტიტუციები (ინსტიტუციების ზოგადი ხარისხი და კანონის უზენაესობა) სტატისტიკურად შედარებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნების განვითარებისთვის, ვიდრე ფორმალური ინსტიტუტები. ასევე პირველი ტიპის ინსტიტუტების გავლენის ამპლიტუდა გაცილებით დიდია. პოტენციურად ამის ახსნა შეიძლება იყოს შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არცერთი ქვეყნის

ფორმალური ინსტიტუციები არ შეესაბამებოდა გლობალიზებულ სამყაროში საჭირო სტანდარტებს, მათმა ნაწილმა რომლებსაც ჰქონდათ კარგი არაფორმალური ინსტიტუციები (რომლებზე დაყრდნობაც შეიძლებოდა) შეძლო ეკონომიკური განვითარების გზას სწრაფად დადგომოდა. საბოლოოდ ეს მათი ფორმალური ინსტიტუციების განვითარებაშიც აისახა. ეს მიუთითებს ინსტიტუციების განვითარებისთვის საწყისი ისტორიული პირობების მნიშვნელოვნებაზე, რაც ნაშრომის მესამე თავშია გამოკვლეული.

### *1.3.3 პანელური მონაცემების რეგრესია*

ჯვარედინი მონაცემებით შეფასებული რეგრესიის მოდელების შედეგების ინტერპრეტაციისას გარკვეული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რადგან აღნიშნულ რეგრესიებში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დაკვირვებათა რიცხვის სიმცირეა, რაც საშუალებას არ გვაძლევს ერთდროულად გავაკონტროლოთ ორ ფაქტორზე მეტი. დაკვირვებათა რიცხვის სიმცირის პრობლემის აღმოსაფხვრელად და წლების მანძილზე დაგროვილი ინფორმაციის სრულად უტილიზაციისთვის რეგრესიულ ანალიზში გამოვიყენებთ პანელურ მონაცემებს. ცხრილი 1. 8-ში წარმოდგენილია ამ მონაცემებით შეფასებული რეგრესიების შედეგები. შეფასებისას გამოვიყენეთ შემთხვევითი ეფექტების (Random Effects) მეთოდი, რომელიც დროში არაცვალებადი ამხსნელი ცვლადების მოდელში ჩართვის და მათი კოეფიციენტების შეფასების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, დაკვირვებათა რიცხვის გაზრდამ მოდელში დამატებითი ამხსნელი ცვლადების ჩართვის საშუალება მოგვცა. კერძოდ, ყველა სპეციფიკაციაში გამოყენებულია ჯვარედინ რეგრესიებში ჩართული მაკონტროლებელი ცვლადები ერთდროულად.

ცხრილის პირველ, მესამე და მეხუთე სვეტებში მოცემულ რეგრესიებში გამოყენებულია შემთხვევითი ეფექტების რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადების გარეშე. მეორე, მეოთხე და მეექვსე რეგრესიებში გამოყენებულია ინსტრუმენტული ცვლადი. ყველა სპეციფიკაციაში დამოკიდებული ცვლადია რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. პირველ და მეორე სვეტებში ამხსნელი ინსტიტუციური ცვლადია ზოგადი ინსტიტუციების ხარისხი. როგორც ვხედავთ, ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენების გარეშე კოეფიციენტი

მნიშვნელოვანია 1% დონეზე. ინსტრუმენტული ცვლადით მნიშვნელოვნება მცირდება, თუმცა კოეფიციენტი მნიშვნელოვანი რჩება 10%-იან დონეზე. ასევე, ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენების დროს მცირდება გავლენის მაგნიტუდა. თუ ინდექსის ერთი ერთეულით გაუმჯობესება მანამდე ასოცირებულია მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლის 4,7 ათასით ზრდასთან, ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენების შემდეგ ეს მაჩვენებელი 3,7 ათასამდე მცირდება. მესამე და მეოთხე სვეტებში მოცემულია რეგრესიის შედეგები სადაც ამხსნელი ცვლადია საკუთრების უფლების დაცვის და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციების საზომი. ტენდენცია წინა ორი სვეტის ანალოგიურია, თუმცა აქ ინსტრუმენტული ცვლადის ჩართვის შემდეგაც კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე, რაც ზოგად ინსტიტუციებთან შედარებით საკუთრების უფების დაცვის და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციების მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. ბოლო ორ სვეტში ამხსნელ ცვლადად გვაქვს ძალაუფლების შეზღუდვის ცვლადი. ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენების გარეშე ვხედავთ სტატისტიკურად მნიშვნელოვან კოეფიციენტს 1%-იან დონეზე, თუმცა ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებისას ეს ცვლადი ხდება არა მნიშვნელოვანი. მოდელებში ჩართული სხვა ამხსნელი ცვლადებიდან აღსანიშნავია ბუნებრივი რესურსები, რომელიც სტატისტიკურად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში. ცვლადის კოეფიციენტი ყველა სპეციფიკაციაში მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე. მესამე და მეოთხე რეგრესიის მოდელებში მნიშვნელოვანი ცვლადია ყოფილი წევრობის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ სხვა სპეციფიკაციებში კოეფიციენტი არამნიშვნელოვანია მას აქვს მოსალოდნელი ნიშანი. ასევე ზღვაზე გასასვლელის არ ქონის ცვლადის ნიშანი უარყოფითი, თუმცა არამნიშვნელოვანია. ვენიდან მანძილსაც ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით აგებულ ყველა სპეციფიკაციაში აქვს მოსალოდნელი ნიშანი.[19]

[19] სტანდარტული ტესტები მიუთითებს მოდელში გამოყენებული ინსტრუმენტული ცვლადების ვალიდურობაზე. ასევე, დანართში მოცემულ ცხრილი A. 7-ში წარმოდგენილია პანელური რეგრესიები სადაც თითოეული სპეციფიკაციისთვის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ არსებული მეორე ალტერნატივა. მაგალითად ზოგადი ინსტიტუციების ხარისხისთვის გამოვიყენეთ ინსტიტუციური გამოცდილება და ა.შ.. არცერთი სპეციფიკაცია არაა მნიშვნელოვანი.

*ცხრილი 1. 8: რეგრესიის შედეგები პანელური მონაცემებით*

| ცვლადები | (1)<br>GDP | (2)<br>GDP | (3)<br>GDP | (4)<br>GDP | (5)<br>GDP | (6)<br>GDP |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი ინსტიტუციები | 4,726*** | 3,701* | | | | |
| | (468.0) | (1,945) | | | | |
| კანონის უზენაესობა | | | 5,180*** | 3,353** | | |
| | | | (366.7) | (1,618) | | |
| ძალაუფლების შეზღუდვა | | | | | 797.2*** | 364.2 |
| | | | | | (154.9) | (1,756) |
| ყოფილი წევრი | -2,593 | -2,599 | -2,817* | -2,748* | -2,343 | -2,493 |
| | (1,655) | (1,668) | (1,568) | (1,534) | (2,506) | (2,537) |
| ჩაკეტილი | -562.0 | -748.8 | -554.5 | -861.2 | -873.5 | -1,172 |
| | (1,355) | (1,409) | (1,283) | (1,281) | (2,050) | (2,348) |
| მანძილი ვენიდან | 0.0163 | -0.377 | 0.269 | -0.461 | -0.995 | -1.432 |
| | (0.654) | (0.980) | (0.613) | (0.870) | (0.964) | (2.003) |
| ბუნებრივი რესურსები | 48.64*** | 50.34*** | 45.76*** | 49.74*** | 50.26*** | 53.40*** |
| | (13.22) | (13.65) | (12.28) | (12.99) | (13.96) | (18.73) |
| მუდმივა | 9,403*** | 10,018*** | 9,770*** | 10,640*** | 6,342*** | 9,546 |
| | (1,138) | (1,612) | (1,059) | (1,280) | (2,025) | (13,099) |
| დაკვირვება | 525 | 525 | 525 | 525 | 525 | 525 |
| ქვეყნების რაოდენობა | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

დასასრულს შეგვიძლა ვთქვათ, რომ როგორც ჯვარედინი, ასევე პანელური მონაცემების რეგრესიებით ჩატარებულმა კვლევამ ძირითადად დაადასტურა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ახსნაში საკვანძო როლს თამაშობს ქვეყნების ინსტიტუციებს შორის არსებული სხვაობა. თუმცა გამოიკვეთა, რომ არაფორმალურ ინსტიტუციებში არსებული განსხვავებები შეიძლება იყოს უფრო მნიშნელოვანი დეტერმინანტი, განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე. ეს მიგნება მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნებმა გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე დაიწყეს ფართო მასშტაბიანი რეფორმები ფორმალურ ინსტიტუციებში, თუმცა არაფორმალურ ინსტიტუციებთან შეუთავსებლობის გამო, ისინი პრაქტიკაში ვერ დაინერგა. შედეგად, ქვეყნებმა

რომლებმაც არსებული არაფორმალური ინსტიტუციებით ჩაანაცვლეს არ არსებული ფორმალური ინსტიტუციები, მიაღწიეს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნული ემპირიული მიგნებები ასევე თანხვედრაშია პაპავასა და ხადურის (Papava and Khaduri 1997) დასკვნასთან, რომლებმაც განიხილეს ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების როლი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებების პროცესში. ავტორების დასკვნით, რაც პირველ ეტაპზე ქვეყნებს დააკლდათ, იყო ფორმალური ინსტიტუციები. ისინი ან საერთოდ არა არსებობდა ან ძალიან სუსტები იყვნენ. შესაბამისად, ამ ტიპის ინსტიტუციების განვითარება პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო.

# თავი II. სამართლებრივი ინსტიტუციები, ფინანსური ლიბერალიზაცია და ფინანსური განვითარება პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში

## 2.1 ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტები

ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ფინანსური სისტემის განვითარება მნიშვნელოვან დადებით როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და წარმოადგენს მის აუცილებელ ნაწილს (Levine, Loayza, and Beck 2000; Loayza, Ouazad, and Ranciere 2017). სექტორს აქვს უნარი შეაფასოს კრედიტთან დაკავშირებული რისკები და მართოს ის ანალიზის და მონიტორინგის გზით. შედეგად ხელს უწყობს ფინანსური რესურსების გადადინებას დამზოგველებიდან ინვესტორების მიმართულებით რაც ეკონომიკური აქტივობის ზრდას იწვევს. შაეკი და ჩიჰაკი (Schaeck and Cihák 2012) გამოყოფენ ძირითად ფუნქციებს რომელსაც ფინანსური სექტორი ასრულებს საბაზრო ეკონომიკაში. პირველია სექტორის უნარი ფინანსური სახსრებით უზრუნველყოს საინვესტიციო პროექტები. მეორე, მიწოდებული რესურსის მიზნობრივად ათვისება ანალიზი და კონტროლი. მესამე, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ქმნის პორტფოლიოს დივერსიფიკაციის შესაძლებლობას და ინვესტორებისთვის ამარტივებს რისკების მართვას. მეოთხე, დამზოგველების დიდი ჯგუფისგან ახდენს დანაზოგების მობილიზებას. მეხუთე, სხვადასხვა ფინანსური სერვისით ხელს უწყობს საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის პროცესს. ამ ფუნქციების კარგად შესრულება ამცირებს ხარჯებს რომელიც დაკავშირებული ბაზარზე არსებულ ასიმეტრიულ ინფორმაციასთან და მორალურ რისკებთან რაც იწვევს ეკონომიკური აქტივობის წახალისებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ცვლილება. ამ ცვლილების ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რთული ასპექტი იყო ფინანსური სისტემის ტრანსფორმაცია. საბჭოთა პერიოდში ბანკები მხოლოდ აღრიცხვა ანგარიშგებით იყვნენ დაკავებული, დაშლის შემდეგ კი საჭირო იყო სისტემა, რომელიც შეასრულებდა ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს. გამოცდილების არარსებობის გამო სექტორი სათანადოდ ვერ ასრულებდა საინვესტიციო პროექტების

ანალიზისა და სახსრების მიზნობრივად განკარგვის კონტროლის ფუნქციას რამაც ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ბევრი სირთულე წარმოშვა (J. Bonin and Wachtel 2003).

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ფინანსურმა განვითარებამ მკვლევარების დიდი ყურადღება მიიპყრო და მისი ტენდენციები არაერთ კვლევაშია აღწერილი. ბონინი ჰასანი და ვახტელი (J. P. Bonin, Hasan, and Wachtel 2012) პოსტსაბჭოთა სივრცის ფინანსური სექტორის ტრანსფორმაციის პროცეს სამ ნაწილად ჰყოფს. საწყის დეკადაში ბევრი ფინანსური ინსტიტუტი დაფუძნდა თუმცა გამოუცდელობის შედეგად, ხშირი იყო გაკოტრების შემთხვევები. შემდეგი ათწლეული დაკავშირებულია ამ ბაზარზე უცხოური ბანკების და კაპიტალის გამოჩენასთან რასაც სწრაფი განვითარება მოჰყვა. დღესდღეობით ამ ქვეყნების ფინანსური სექტორსა და განვითარებული ქვეყნების ფინანსურ სექტორს შორის განსხვავება ძლიან მცირეა. დამატებით, ჰარპერი და მაკნალტი (Harper and McNulty 2008) აღნიშნავენ, რომ ყოფილი წევრი ქვეყნები ჩამორჩებიან ფინანსური განვითარების დონით არაწევრ ქვეყნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩამორჩენა გარკვეულწილად შემცირდა, როგორც ეს ნაჩვენებია კახაროვის და აკიმოვის (Kakhkharov and Akimov 2018) მიერ, კვლავ ნარჩუნდება დიდი ვარიაცია განვითარების დონეებს შორის. შერჩევის ქვეყნებისთვის ასევე დამახასიათებელია უცხო ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლობის დიდი წილი. ვეილი (Weill 2003) აღნიშნავს, რომ უცხოური ბანკების შესვლამ ამ ბაზრებზე გამოიწვია სწრაფი ფინანსური განვითარება, რაც ძირითადად საბანკო საქმის შესახებ ცოდნის გადაცემის შედეგია. ზემოთ დასახელებული კვლევებისგან განსხვავებით, ამ თავში გამოვიკვლევთ თავად ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტებს და დავადგენთ, თუ რომელი ფაქტორი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში.

როდესაც ფინანსური სექტორის განვითარებას განვიხილავთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ რომ მის განვითარებაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები. ლა პორტამ და სხვებმა (la Porta et al. 2000) აჩვენეს, საკუთრების უფლების დაცვის გაუმჯობესების დადებით ეფექტს ფინანსური განვითარებაზე. უფრო ზოგადი დამოკიდებულება ფინასურ განვითარებასა და ინსტიტუციებს შორის კი შესწავლილია ბეკის და ლევინის (Beck and Levine 2008) ნაშრომში, სადაც,

ხაზგასმულია ზოგადი ინსტიტუციური გარემოს მნიშვნელობა ქვეყნის ფინანსურ განვითარებაში. ინსტიტუციების მიმართულებით ყველაზე ხშირად განიხილება სამართლებრივი ინსტიტუციების განვითარების ხარისხი, როგორც ქვეყნის ფინანსური განვითარების მნიშვნელოვანი დეტერმინანტი (la Porta et al. 1998; Levine 2002; Pistor, Raiser, and Gelfer 2000). იდეა ისაა, რომ ფინანსური სისტემის ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონტრაქტის აღსრულების და საკუთრების უფლების კარგი მექანიზმების არსებობა. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიმართ ნდობას (ნდობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორებია კორუფციის და კომპეტენციის დონე) და სასამართლო პროცესის სიჩქარეს. ასევე, მნიშვნელოვანია სექტორის რეგულირების ხარისხი (საბანკო და ფინასური ბაზრების ზედამხედველობა) და ზოგადი რეგულაციური ტვირთი. ყველაფერი ეს საერთო ჯამში ქმნის სამართლებრივ ინსტიტუციურ გარემოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი ფინანსური განვითარებისა ესაა ფინანსური ლიბერალიზაცია, რაც მეტწილად ნიშნავს ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებასა და გადინებაზე შეზღუდვების ხარისხის გაზომვას. ფინანსური ლიბერალიზაცია საშუალებას აძლევს ფინანსურ სექტორს მოახდინოს რისკების დივერსიფიკაცია პორტფოლიოს სხვადასხვა ბაზარზე გადანაწილების გზით და შედეგად შეამციროს კაპიტალის ღირებულება მსესხებლისათვის. ასევე ლიბერალიზაციას მივყავართ კონკურენციის მაღალ ხარისხამდე ფინანსურ სექტორში, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ნაკლებად ეფექტიანი ფინანსური ინსტიტუტების დახურვას და გაზრდის სექტორის ზოგად ეფექტიანობას (Galindo, Schiantarelli, and Weiss 2007; Abiad, Oomes, and Ueda 2008; Levchenko, Rancière, and Thoenig 2009). ჩინ და იტომ (Chinn and Ito 2006) ემპირიულად გამოიკვლიეს ფინანსური ლიბერალიზაციასა და ფინასურ განვითარებას შორის კავშირი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ფინასური ღიაობა ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა მათი შედეგები ასევე აჩვენებს, რომ პოზიტიური ეფექტი დამოკიდებულია სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხზე. ეს ნიშნავს რომ მხოლოდ ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მყარი სამართლებრივი ინსტიტუციები, შეძლებენ სარგებელის მიღებას ფინანსური ლიბერალიზაციისგან. იტო (Ito 2006) ადასტურებს ამ მიგნებას გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნების მაგალითზე.

სამართლებრივი ინსტიტუციების და ფინანსური ლიბერალიზაციის გარდა სხვა ფაქტორებსაც განიხილავს ეკონომიკური ლიტერატურა ქვეყნის ფინასური განვითარების დეტერმინანტებად. ერთ-ერთი მათგანია ინფლაცია. ჰუიბენსმა და სმიტმა (Huybens and Smith 1999) ჩამოაყალიბეს თეორიული მოდელი, რომელიც მიუთითებს ინფლაციასა და ფინანსურ განვითარებას შორის არსებულ ნეგატიურ ურთიერთობაზე. ემპირიულად კი ეს ურთიერთობა შეისწავლა ბოიდმა, ლევინმა და სმიტმა (Boyd, Levine, and Smith 2001) და აჩვენეს რომ გვაქვს უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ამ ორ ცვლადს შორის. მათი ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი ინფლაცია იწვევს ფინანსურ ბაზარზე არსებული ჩავარდნების გაძლიერებას. ინფლაციის გარდა ვაჭრობის ღიაობა ასევე ახდენს გავლენას ფინასურ განვითარებაზე. არგუმენტი ისაა, რომ ქვეყნები რომლებიც კარგად არიან ინტეგრირებულნი მსოფლიო ვაჭრობაში ასევე საჭიროებენ კარგ ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ პროცესის მხარდასაჭერად. შედეგად ჩნდება სექტორის განვითარების ძლიერი მოთხოვნა. დუმ და ლევჩენკომ (Do and Levchenko 2004) ემპირიულად შეისწავლეს ეს დამოკიდებულება და აჩვენეს, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის მაღალი ხარისხი იწვევს ფინანსური სექტორის განვითარებას და მისი ზომის ზრდას.

პოსტსაბჭოთა სივრცის ფინანსური ინსტიტუტების განვითარების კვლევისას ლიტერატურაში დიდი ყურადღება ეთმობა უცხოური ბანკების არსებობას. ვეილმა (Weill 2003) ჩეხეთის და პოლონეთის მაგალითზე აჩვენა, რომ უცხოურ ბანკებს აქვთ ცოდნის გადაცემის ეფექტი, რითიც წვლილი შეაქვთ ადგილობრივი ფინანსური სექტორის განვითარებაში. ნააბორგმა და სხვებმა (Naaborg et al. 2004) ასევე აჩვენეს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში უცხოურ ბანკებს უჭირავთ საკმაოდ დიდი წილი ბაზარზე. ეს ბანკები არიან უფრო ეფექტიანი და იღებენ ადგილობრივ ბანკებთან შედარებით უფრო მაღალ მოგებას. პოზიტიურ ეფექტებთან ერთად უცხოური ბანკების ბაზარზე ყოფნას თან ახლავს მომატებული არასტაბილურობის რისკი. უცხოური ბანკების სათაო ქვეყანაში კრიზისმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მასპინძელ ქვეყანაზე ამ ბანკების მიერ დაკრედიტების შემცირების გზით. შედეგად, ფინანსური სირთულეები ერთ ქვეყანაში უფრო მარტივად გადაეცემა მეორე ქვეყანას. ჰაასმა და ლელივედმა (de Haas and van Lelyveld 2006) ემპირიულად შეისწავლეს ეს

კავშირი და აჩვენეს, რომ როდესაც სათაო ქვეყანაში კრიზისია, ეს უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე, თუმცა, როცა მასპინძელ ქვეყანაშია კრიზისი, მაშინ პირიქით, უცხოური ბანკი ასრულებს სტაბილიზატორის ფუნქციას. ავტორების აზრით, ჯამურად სტაბილიზაციის ეფექტი, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო რისკების გადანაწილებიდან, აჭარბებს უარყოფით ეფექტებს. მსგავსი შედეგია წარმოდგენილი ასევე ფეიენის და სხვების მიერ ჩატარებულ კვლევაში (Feyen et al. 2014).

მთლიანობაში დისკუსია ცხადყოფს, რომ საფინანსო ინსტიტუტების განვითარება დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, რომელთა გავლენა ფინანსურ განვითარებაზე განსხვავდება კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით. კერძოდ, როგორც ჩანს, სამართლებრივი გარემო ფინანსური განვითარების გადამწყვეტი წინაპირობაა. დისკუსიიდან გამომდინარე ველოდებით, რომ სამართლებრივი სისტემის ხარისხი დადებით გავლენას ახდენს ფინანსურ განვითარებაზე. გარდა ამისა, ჩვენ ველით, რომ ფინანსური ლიბერალიზაცია დადებითად აისახება იმ ქვეყნების ფინანსურ განვითარებაზე, რომლებსაც უკეთესი სამართლებრივი ინსტიტუციები აქვთ. დაბოლოს, ჩვენ ველით, რომ ვაჭრობის თავისუფლება დადებითად უკავშირდება ფინანსურ განვითარებას და ინფლაცია ნეგატიურად. მოცემული თავის დარჩენილ ნაწილში წარმოდგენილია ამ ჰიპოთეზების ემპირიული გამოკვლევა.

## 2.2 ფინანსური სექტორის განვითარების ინდიკატორები: მონაცემები და შედარებითი ანალიზი

ფინანსური სექტორის განვითარების დეტერმინანტების ემპირიული შეფასებისას მნიშვნელოვანია სწორად გავზომოთ ქვეყნის ფინანსური განვითარება. არსებულ ლიტერატურაში ამ მიზნით ყველაზე ხშირად გამოყენებადი მაჩვენებლებია ფინასური ბაზრების (საფონდო ბირჟის) კაპიტალიზაციის მაჩვენებელი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში და კერძო სექტორის მიერ ფინანსური ინსტიტუციებისგან (ბანკები) აღებული ჯამური კრედიტის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში. ორივე ინდიკატორი ზომავს სასესხო რესურსის ხელმისაწვდომობას ანუ ბაზრის სიღრმეს, თუმცა ისინი ფინანსური სექტორის ისეთ მნიშვნელოვან განზომილებებს ვერ ითვალისწინებენ როგორიცაა ეფექტიანობა ან ხელმისაწვდომობა. ეფექტიანობაში მოიაზრება სექტორის უნარი დაბალი დანახარჯებით შეასრულოს ფინანსური შუამავლის ფუნქცია საინვესტიციო სახსრების დამზოგველებიდან საინვესტიციო პროექტებში მიმართვის პროცესში. ხელმისაწვდომობა კი აფასებს რამდენად მარტივად შეუძლიათ ინვესტორებს მოიპოვონ დაფინანსება საკუთარი პროექტებისათვის. შედეგად, მხოლოდ სექტორის სიღრმის მხედველობაში მიღებით შეიძლება განვითარებულ ფინანსურ სისტემად მივიჩნიოთ სიტუაცია როდესაც საინვესტიციო რესურსი ხელმისაწვდომია თუმცა ალოკაციასთან დაკავშირებული მაღალი დანახარჯების გამო ძალიან ძვირდება სასესხო რესურსი ინვესტორებისთვის. ასევე შეიძლება კერძო კომპანიებს არ ჰქონდეთ რესურსებზე წვდომა სხვადასხვა შეზღუდვის გამო. ცალსახაა რომ მსგავსი ფინანსური სისტემა ვერ შეძლებს ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი გვთავაზობს ფინანსური განვითარების ინდექსების მონაცემთა ბაზას  რომელიც მხედველობაში იღებს ფინანსური სექტორის ზემოთ ჩამოთვლილ განზომილებებს (იხ. დიგრამა 2. 1). ბაზაში მოცემულია ინფორმაცია 9 ინდიკატორისა და ყველა პოსტ საბჭოთა ქვეყნის შესახებ. მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილია ქვეყნის ზოგადი ფინასური განვითარების ინდექსი (FD), რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ფინანსური ინსტიტუტების (FI) და ფინანსური ბაზრების (FD) განვითარების ხარისხს. თავის მხრივ თითოეული მათგანი

გაზომილია მათი სიღრმის ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის შეფასებით. საზომები იღებენ მნიშვნელობებს 0-დან 1-მდე სადაც ზრდა ნიშნავს გაუმჯობესებას.

*დიგრამა 2. 1: ფინანსური განვითარების საზომები*




ფინანსური ინსტიტუტების ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობის და სიღრმის საზომები თავის მხრივ ითვალისწინებენ ტრადიციულ ცვლადებს. ფინასური ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა გაზომილია ფინანსური ინსტიტუტების ფილიალების და ბანკომატების რაოდენობით. ეფექტიანობა იზომება მომგებიანობის ისეთი მაჩვენებლებით როგორებიცაა მოგების წილი კაპიტალში და მოგების წილი აქტივებში (ROE, ROA), შემოსავლების წმინდა ზღვარი, საპროცენტო სპრედი და ა.შ. სიღრმის საზომად აღებულია საპენსიო და ორმხრივი ფონდების, საბანკო კრედიტის, და სადაზღვევო პრემიის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში.

ნაშრომის პირველი თავის მსგავსად, ინსტიტუციების საზომად ვიყენებთ მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების მონაცემთა ბაზას (Kaufmann, Kraay, and Mastruzzi 2010). სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხის გასაზომად გამოვიყენებთ რეგულირების ხარისხის (Regulatory Quality) და კანონის უზენაესობის (Rule of Law) ინდექსების საშუალო მაჩვენებელს. მიზეზი ისაა, რომ რეგულირების ხარისხის ზომავს აღქმა იმის შესახებ, თუ რამდენად შესწევს მთავრობას უნარი ჩამოაყალიბოს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, განახორციელოს კერძო სექტორის

განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები. ინდექსი აერთიანებს ისეთ საზომებს როგორიცაა: რეგულირების ტვირთის აღქმა, საბანკო ზედამხედველობა და ფასების კონტროლი. შედეგად, ინდექსი ზომავს რეგულირების ზოგად ხარისხს და მთავრობების უნარს განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. მეორე მხრივ, კანონის უზენაესობა (Rule of Law) მხედველობაში იღებს იმას, თუ საზოგადოება რამდენად ემორჩილება და ენდობა სამართლებრივ წესებს, რომელიც ჩამოყალიბებულია ქვეყანაში. ის დაფუძნებულია რამდენიმე ქვეინდიკატორზე, რომლებიც ზომავენ კონტრაქტის აღსრულების სიმარტივეს, კრიმინალის დონეს და მის აღქმას, ასევე სასამართლო სისტემის სანდოობას და პროგნოზირებადობას. შედეგად ინდიკატორების კომბინაცია გვიჩვენებს სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხს ქვეყანაში. მონაცემები ორივე ინდექსის შესახებ ჩვენი განსახილველი ყველა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომია 1996 წლიდან. მაჩვენებლები იღებს მნიშვნელობას -2.5-დან 2.5-მდე შუალედში, სადაც ინდექსის ზრდა ნიშნავს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას.

ლიბერალიზაციის საზომად ასევე ანალიზში გამოვიყენებთ მენციეს, ჩინისა და იტოს მიერ (Chinn and Ito 2006) შედგენილ კაპიტალური ანგარიშების ლიბერალიზაციის ინდექსს. საზომი მხედველობაში იღებს გაცვლითი კურსის მერყეობას, საერთაშორისო გადარიცხვებზე დაწესებულ შეზღუდვებს და ექსპორტის განხორციელებისას საჭირო პროცედურების სირთულეს. ცვლადი იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე შუალედში, სადაც მონაცემის ზრდა ნიშნავს ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციის ხარისხის ზრდას. რეგრესიულ ანალიზში მაკონტროლებელ ცვლადებად ასევე გამოყენებულია მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, ინფლაციის მაჩვენებელი რომელიც გაზომილი სამომხმარებლო ფასების ინდექსი ცვლილებით და სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში.

*ცხრილი 2. 1: კორელაციური მატრიცა*[20]

| | FI | FID | FIA | FIE | ლეგალ. | ლიბერ. | ინფლაცია | ვაჭრობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| FI | 1 | | | | | | | |
| FID | 0.904*** | 1 | | | | | | |
| FIA | 0.931*** | 0.740*** | 1 | | | | | |
| FIE | 0.755*** | 0.799*** | 0.616** | 1 | | | | |
| ლეგალ. | 0.778*** | 0.767*** | 0.573** | 0.688*** | 1 | | | |
| ლიბერ. | 0.509** | 0.37 | 0.427* | 0.389 | 0.789*** | 1 | | |
| ინფლაცია | -0.213 | -0.2 | 0.0621 | -0.115 | -0.516** | -0.398* | 1 | |
| ვაჭრობა | 0.198 | 0.373 | -0.0321 | 0.332 | 0.437* | 0.242 | -0.0421 | 1 |

ცხრილი 2. 1-ში მოცემულია განსახილველ ცვლადებს შორის არსებული კორელაციის კოეფიციენტები. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინანსური განვითარების საზომები ერთმანეთთან მაღალ კორელაციაში არიან. მხოლოდ კორელაცია ხელმისაწვდომობასა და ეფექტურობას შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 1%-იან დონეზე. რაც შეეხება სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხს, მასთან ფინანსური განვითარების ყველა საზომის კორელაცია დადებითია. ეს ცალსახად მიუთითებს სამართლებრივი ინსტიტუციების მნიშვნელოვან როლზე ფინანსური განვითარების პროცესში. ფინანსური ლიბერალიზაციის შემთხვევაში კი დამოკიდებულების სახე ბოლომდე  ცხადი არ არის. ერთი მხრივ, ვხედავთ სტატისტიკურად მნიშვნელოვან პოზიტიურ კორელაციას ფინანსურ ინსტიტუტების განვითარებასთან, მეორე მხრივ,  კორელაცია ქვეინდექსებთან მნიშვნელოვნად სუსტია. ინფლაციასა და ფინანსური განვითარების საზომებს შორის კორელაციას აქვს მოსალოდნელი ნიშანი, თუმცა კავშირი საკმაოდ სუსტია. ვაჭრობის ღიაობას ასევე მოსალოდნელი ნიშანი აქვს, მაგრამ აქაც კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია.

[20] FI- არის ფინანსური ინსტიტუტების განვითრების ინდექსი. FID, FIA, FIE არიან ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე, ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა შესაბამისად. Legal. არის სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი რომელიც გაზომილია რეგულირების ხარისხის და კანონის უზენაესობის ინდექსების არითმეტიკული საშუალოთი. ლიბერ. არის ქვეყნის ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციის დონე. ინფლაცია არის სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით დათვლილი ინფლაცია. ვაჭრობა რის სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში.

*დიგრამა 2. 2: ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ტენდენცია (1996-2017)*




დიგრამა 2. 2-ზე წარმოდგენილია ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. გრაფიკიდან ჩანს რომ ვარიაციის დონე საკამოდ მაღალია როცა ამ ქვეყნების ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას ვადარებთ. ასევე, ქვეყნების ერთ ჯგუფს აქვს განვითარების დადებითი დინამიკა მეორე ჯგუფი დადებითი დინამიკის შემდეგ განიცდის სტაგნაციას ხოლო მესამე ჯგუფმა მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე ვერ მოახერხა ფინანსური განვითარების დონიც გაუმჯობესება. 2018 წლის მონაცემებით ფინანსური ინსტიტუტები ყველაზე განვითარებული ხორვატიაში იყო (0,69), მას მოჰყვება ბულგარეთი (0,68) და სლოვენია (0,63). ყველაზე დაბალგანვითარებული ფინანსური ინსტიტუტები აქვს ტაჯიკეთს (0,18), თურქმენეთს (0,2) და ყირგიზეთს (0,23).

*დიგრამა 2. 3: ფინანსური განვითარების ინდიკატორები დინამიკა*




დიგრამა 2. 3 გვიჩვენებს ფინანსური სექტორის ძირითადი ინდიკატორების განვითარების საშუალო ტენდენციას პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. პირველ რიგში, რაც უნდა შევნიშნოთ, არის ის, რომ ფინანსური ბაზრების განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩამორჩება ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას. აღსანიშნავია ისისც რომ ფინანსური ხარისხია ხასიათდება გაუმჯობესების ტენდენციით მაშინ როცა ფინანსური ბაზრების განვითარება სტაგნაციურია. ეს ტენდენცია შეიძლება აიხსნას მსოფლიოს მაღალი ფინანსური გლობალიზაციით რომელიც საშუალებას იძლევა მცირე ქვეყნებში მოღვაწე კომპანიებმა გამოყენონ უკვე განვითარებული ფინანსური ბაზრების და საფონდო ბირჟების მომსახურება და არ დაელოდონ ადგილობრივი ფინანსური ბაზრების განვითარებას. შედეგად, ქვეყნებში, სადაც განუვითარებელია ფინანსური ბაზარი, ძალიან დაბალია მისი განვითარებაზე მოთხოვნა. რაც შეეხება ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ქვეინდექსებს, ვხედავთ, რომ დროის სვლასთან ერთად ფინანსური სექტორის ეფექტიანობა იზრდება. პირველი 20 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა, თუმცა ბოლო დეკადის მანძილზე შეიმჩნევა სტაგნაცია. რაც შეეხება ფინანსური ინსტიტუტების სიღრმის მაჩვენებელს, დიაგრამიდან ჩანს, რომ ის თითქმის არ იცვლებოდა დროთა განმავლობაში. ეს მიანიშნებს ამ ქვეყნებში

საინვესტიციო ფინანსური რესურსის განგრძობით შეზღუდულობაზე. ქვეყნების უმრავლესობაში საინვესტიციო სახსრების ხელმისაწვდომობის დაბალი დონის ძირითადი მიზეზია ორმხრივი ფონდების, დაგროვებითი საპენსიო სისტემის და განვითარებული სადაზღვევო სისტემის არარსებობა. ზოგადად, დიაგრამა 2.3 გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფინანსურმა სექტორმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, თუმცა კვლავ რჩება ძირეული გამოწვევები.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ანალიზისას აუცილებლად მხედველობაშია საბჭოთა კავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები. დიგრამა 2. 4-ზე წარმოდგენილია ამ ორი ჯგუფის ფინანსური ინსტიტუტების ხარისხის განვითარების დინამიკა. როგორც დიაგრამიდან ჩანს, საწყისი პერიოდიდანვე გვაქვს განსხვავება ინსტიტუციების ხარისხს შორის და ეს განსხვავება შემდგომ პერიოდებშიც შენარჩუნებულია.

*დიგრამა 2. 4: ფინანსური განვითარება საბჭოთა კავშირის წევს და არაწევრ ქვეყნებში*




ქვემოთ მოცემულ დიგრამა 2. 5-ზე კი გამოსახულია ფინანსური ინსტიტუტების განვითარების პროგრესი ქვეყნების მიხედვით. კერძოდ, წარმოდგენილია 2018 და 1992 წლებს შორის ფინანსური ინსტიტუტების განვითარების დონეებს შორის სხვაობები. საშუალოდ მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ ქვეყნებში ინდექსი გაუმჯობესდა 0,2-ით. ყველაზე დიდი ცვლილება ჰქონდათ

საქართველოს, ხორვატიას, სომხეთს და პოლონეთს. უზბეკეთში ფინანსური ინსტიტუტების ხარისხი გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა.

სამართლებრივ ინსტიტუციებსა და ფინანსურ განვითარებას შორის კავშირის შესაფასებლად, სანამ რეგრესიულ ანალიზამდე მივიდოდეთ, გამოვიყენოთ ტრენდის ანალიზი და გაბნევის გრაფიკი (იხ. დიგრამა 2. 6). ამისათვის ჩვენს შერჩევაში მყოფი ქვეყნები გავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მივაკუთვნოთ ქვეყნები საშუალოზე მაღალი ხარისხის სამართლებრივი ინსტიტუციებით, ხოლო მეორე ჯგუფს - ქვეყნები რომლებსაც აქვთ სამართლებრივი ინსტიტუციების საშუალოზე დაბალი ხარისხი.

*დიგრამა 2. 5: ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ინდექსის ცვლილება (1992-2018)*




დიგრამა 2. 6-ის მარცხენა პანელი გამოსახავს ამ ორი ჯგუფის საშუალო ფინანსური განვითარების ხარისხს. შედარებისთვის აქვეა ფინანსური ინსტიტუტების საშუალო განვითარების ხარისხი ყველა ქვეყნისთვის (სრული ხაზი შუაში). როგორც დიაგრამიდან ჩანს, მთელი ამ დროის მანძილზე ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ხარისხი უფრო მაღალ დონეზე იყო იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უკეთესი სამართლებრივი ინსტიტუციები. გრაფიკის მარჯვენა პანელი აჩვენებს საშუალო სამართლებრივი ინსტიტუციების და ფინანსური ინსტიტუტების განვითარებას შორის არსებულ გაბნევის გრაფიკს. გრაფიკიდან ჩანს, რომ ცვლადებს შორის გვაქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური დამოკიდებულება.

შედეგი თანხვედრაშია ლა პორტასა და სხვების (la Porta et al. 1998) მიერ ნაჩვენებ შედეგებთან.

*დიგრამა 2. 6: სამართლებრივი ინსტიტუციებისა და ფინანსური ინსტიტუტების განვითრების კავშირი*




დიგრამა 2. 7-ის მარცხენა პანელზე მოცემულია ფინანსური ლიბერალიზაციის განვითარების ტენდენციაც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ვხედავთ რომ 1995 წლიდან 2000 წლამდე ლიბერალიზაცია ჯერ იზრდებოდა, ხოლო შემდეგ ადგილი ჰქონდა შებრუნებულ ტენდენციას. შემდგომ, ორიათასიანი წლების დასაწყისიდან, მოხდა ამ მაჩვენებლის მკვეთრი გაუმჯობესება 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე, სადაც კიდევ ერთი ჩავარდნა დაფიქსირდა. კრიზისის შემდეგ ფინანსური ლიბერალიზაცია დასტაბილურდა რის შემდეგაც თითქმის არ შეცვლილა. დიაგრამის მარჯვენა პანელი ასახავ ლიბერალიზაციის და ფინანსური განვითარების გაბნევის გრაფიკს. ამ ცვლადებს შორის დამოკიდებულება დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანის რაც ადასტურებს ლიბერალიზაციის მნიშვნელოვნებას.

*დიგრამა 2. 7: ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსური ლიბერალიზაციის კავშირი*




დაბოლოს, იმისათვის რომ წარმოდგენა შევიქმნათ რა დამოკიდებულებაა ფინანსურ განვითარებასა და რეგრესიულ ანალიზში შემდგომში გამოყენებულ სხვა ცვლადებს შორის, დიგრამა 2. 8-ზე ნაჩვენებია გაბნევის გრაფიკები ინფლაციას, ვაჭრობის ღიაობას და ფინანსურ განვითარებას შორის. მარჯვენა გრაფიკი აჩვენებს, რომ ვაჭრობის ღიაობას და ფინანსურ განვითარებას შორის სუსტი დამოკიდებულებაა. მარცხენა გრაფიკზე, მართალია ვხედავთ უარყოფით დამოკიდებულებას ინფლაციასა და ფინანსურ განვითარებას შორის, მაგრამ უპირობო დამოკიდებულება მათ შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. კორელაციის კოეფიციენტის სიმცირე შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ეს ცვლადები ნაკლებად მნიშნელოვანია ფინანსური განვითარებისთვის.

*დიგრამა 2. 8: ინფლაცია, ვაჭრობის ღიაობა და ფინანსური ინსტიტუტები განვითარება*




შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონაცემთა წინასწარი ანალიზი ადასტურებს მოცემული თავის დასაწყისში თეორიული მსჯელობისას ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზებს ფინანსური განვითარების დეტერმინანტებთან დაკავშირებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ შეძლო და გააუმჯობესა ფინანსური ინსტიტუტები ხარისხი. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით ფინანსური ბაზრების განვითარების ხარისხი შედარებით დაბალია. გარდა ამისა, შერჩევაში შემავალ ქვეყნებში ფიქსირდება ფინასური სიღრმის დაბალი დონე, რომელიც დროთა განმავლობაში უცვლელად ნარჩუნდება. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ სამართლებრივი ინსტიტუციები და ფინანსური ლიბერალიზაცია პოზიტიურადაა დამოკიდებული ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ხარისხზე. რაც შეეხება ინფლაციასა და ვაჭრობას, მათთან მიმართებაში ფინანსური ინსტიტუტების განვითარება სუსტ კორელაციაში იმყოფება.

## 2.3 ფინანსური ინსტიტუტების განვითარების რეგრესიული მოდელების ანალიზი

წინამდებარე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ფინანსური ინსტიტუციების განვითარებას განმაპირობებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი (დეტერმინანტი). ამ ფაქტორების ფარდობითი მნიშვნელობის შესაფასებლად და დაკვირვებათა რიცხვის სიმცირის აღმოსაფხვრელად ვიყენებთ პანელური რეგრესიის მოდელს. დროის მონაკვეთს ვყოფთ 5 წლიან ინტერვალებად. ეს ტრანსფორმაცია ფართოდ გამოიყენება ფინანსური სექტორის ანალიზისთვის, რათა მოხდეს ყოველწლიური მონაცემების ბიზნეს ციკლის რყევებთან დაკავშირებული უზუსტობების აღმოფხვრა. შედეგად, საშუალება გვაქვს დავაკვირდეთ ინდიკატორების საშუალო და გრძელვადიან განვითარებას. ჩვენ მიერ გამოყენებული ემპირიული მოდელი ჩინისა და იტოს მიერ გამოყენებული მოდელის (Chinn and Ito 2006) მსგავსია; თუმცა, ჩვენ დამატებით ვითვალისწინებთ ქვეყნების ფიქსირებულ ეფექტებს.[21] ძირითადი სპეციფიკაცია, რომელსაც ვაფასებთ, მოცემულია შემდეგი სახით:

$$\Delta FI_{t,t-5,i} = \beta_0 + \beta_1 Legal_{t,i} + \beta_2 Fin.Lib_{t,i} + \beta_3 (Fin.Lib_{t,i} * Legal_{t,i}) + \beta_4 FI_{t-5,i} + \boldsymbol{X}_{t-5,i}\rho + \gamma_i + \epsilon_{t,i}$$

სადაც $\Delta FI_{t,t-5,i}$ აღნიშნავს ფინანსური ინსტიტუტების ხარისხის ცვლილებას 5 წლის ინტერვალში, $Legal_{t,i}$ არის სამართლებრივი ინსტიტუციების საზომი, $Fin.Lib_{t,i}$ არის ფინანსური ლიბერალიზაციის საზომი. $Fin.Lib_{t,i} * Legal_{t,i}$ წარმოადგენს ინტერაქციულ წევს, რომლის მიხედვითაც გავზომავთ რამდენადაა ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენა ფინანსურ განვითარებაზე დამოკიდებული ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხზე. $FI_{t-5,i}$ ფინანსური ინსტიტუტების განვითარების საწყისი დონე. $\boldsymbol{X}_{t-5,i}$ აღნიშნავს სხვა ამხსნელი ცვლადების ვექტორს, $\gamma_i$ აღნიშნავს ქვეყნის ფიქსირებულ ეფექტებს და $\epsilon_{t,i}$ აღნიშნავს იდიოსინკრეტულ შეცდომას. ქვეყნის ფიქსირებული ეფექტები ასახავს ქვეყნის დროში

---

[21] შედეგების სიმტკიცის შესამოწმებლად, იგივე სპეციფიკაცია შევაფასეთ ასევე უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებითს. ამ რეგრესიის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ დანართში (იხ. ცხრილი A. 8). თვისობრივად, შედეგები უცვლელია.

უცვლელ მახასიათებლებს, როგორიცაა იურიდიული წარმოშობა, გეოგრაფია და ა.შ. ჰეტეროსკედასტურობასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად, სტანდარტულ შეცდომებს ვაჯგუფებთ ქვეყნის დონეზე (cluster standard errors).

*ცხრილი 2. 2: პანელური მონაცემების რეგრესიის შედეგები*[22]

| | (1) | (2) | (3) | (4) | (5) |
|---|---|---|---|---|---|
| ცვლადები | FI | FID | FIA | FIE | FI |
| | | | | | |
| სამართლებრივი | 0.142*** | 0.0486** | 0.140** | 0.205*** | 0.107** |
| | (0.0266) | (0.0230) | (0.0527) | (0.0535) | (0.0424) |
| ფინანს ლიბერ. | 0.0746 | 0.0570 | 0.0939 | 0.0255 | 0.0572 |
| | (0.0455) | (0.0377) | (0.0632) | (0.0955) | (0.0486) |
| ფინანს ლიბერ. × სამართლებრივი | | | | | 0.0665 |
| | | | | | (0.0456) |
| FI_(t-5) | -0.452*** | -0.246*** | -0.362*** | -0.748*** | -0.445*** |
| | (0.0653) | (0.0625) | (0.107) | (0.187) | (0.0714) |
| ინფლაცია | -0.000215 | -0.00128*** | -0.000154 | 0.000276 | -0.000242 |
| | (0.000132) | (0.000340) | (0.000238) | (0.000525) | (0.000147) |
| ვაჭრობა | 0.000122 | -0.000251 | -0.000538 | 0.00130** | -2.20e-05 |
| | (0.000329) | (0.000282) | (0.000614) | (0.000619) | (0.000317) |
| ზრდა | 0.00198 | -0.000105 | 0.00313 | 0.00189 | 0.00227 |
| | (0.00224) | (0.00180) | (0.00270) | (0.00458) | (0.00224) |
| მუდმივა | 0.154*** | 0.120*** | 0.183*** | 0.157** | 0.160*** |
| | (0.0310) | (0.0357) | (0.0575) | (0.0761) | (0.0308) |
| | | | | | |
| დაკვირვება | 100 | 96 | 96 | 100 | 100 |
| დეტერმინ. კოეფ. | 0.430 | 0.558 | 0.170 | 0.300 | 0.444 |
| ქვეყნების რაოდენობა | 25 | 24 | 24 | 25 | 25 |
| სტანდარტული შეცდომა | Clustered | Clustered | Clustered | Clustered | Clustered |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

[22] FI- არის ფინანსური ინსტიტუტების განვითრების ინდექსი. FID, FIA, FIE არიან ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე, ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა შესაბამისად. სამართლებრივი - არის სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი რომელიც გაზომილია რეგულირების ხარისხის და კანონის უზენაესობის ინდექსების არითმეტიკული საშუალოთი. ფინანს ლიბერ. - არის ქვეყნის ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციის დონე. FI_(t-5) არის ფინანსური განვითარება საწყის პერიოდში. ინფლაცია არის სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით დათვლილი ინფლაცია. ვაჭრობა - სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში. ზრდა - რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი.

ცხრილი 2. 2-ის 1-4 სვეტში მოცემულია რეგრესიების შედეგები ინტერაქციული წევრის ჩართვის გარეშე. აშკარაა, რომ ყველა ფაქტორის გაკონტროლებისას სამართლებრივი ინსტი¬ტუციების ხარისხის კოეფიციენტი დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელო¬ვანია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი შერჩევისთვის სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ფინანსურ განვითარებასთან. უფრო მეტიც, ჩვენ ვხედავთ, რომ ფინანსური ინსტიტუტების ეფექტურობისა და სამართლებრივი ინსტიტუ¬ციების განვითარების ურთიერთკავშირი უფრო ძლიერია, ფინანსური განვითარების სხვა საზომებთან შედარებით. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხის კონტროლისას, ფინანსურ ლიბერალიზაციასა და ფინანსურ განვითარებას შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი. თუმცა, როგორც ჩინმა და იტომ (Chinn and Ito 2006) აღნიშნეს, ეს დასკვნა გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან სამართლებრივი ინსტიტუციები წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ფინანსური ლიბერალიზაციისა და ფინანსური განვითარების პოზიტიური დამოკიდებულებისთვის.

ფინანსურ განვითარებაზე ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენის პირობითი ეფექტის გასათვალისწინებლად, მოდელში დავამატეთ ინტერაქტიული წევრი. ცხრილ 2.2-ის მე-5 სვეტში მოცემული სპეციფიკაცია იძლევა ფინანსური ლიბერალიზაციის დიფერენცირებული გავლენის შეფასების შესაძლებლობას. სამართლებრივი ინსტიტუციების და ფინანსური ლიბერალიზაციის ზოგადი ეფექტები განისაზღვრება შემდეგი ფორმულებით:

$$\frac{\partial \Delta FI_{t,t-5,i}}{\partial Legal_{t,i}} = \beta_1 + \beta_3 Fin.Lib_{t,i} \text{ და } \frac{\partial \Delta FI_{t,t-5,i}}{\partial Fin.Lib_{t,i}} = \beta_2 + \beta_3 Legal_{t,i}$$

ინტერაქტიული წევრის გათვალისწინებით ორივე ფაქტორს აქვს დადებითი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის ფინანსურ განვითარებაზე.[23] ამრიგად, ჩინი და იტოს (Chinn and Ito 2006) ნაშრომის შესაბამისად, ფინანსური

[23]დავთვალეთ ორივე კოეფიციენტის წრფივი კომბინაციის მნიშვნელობა და ორივე მათგანი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე.

ლიბერალიზაციის გავლენა ფინანსურ განვითარებაზე დამოკიდებულია სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხზე.

იმისათვის რომ მოვახდინოთ შედეგების ინტერპრეტაცია, განვიხილავთ ფინანსური ლიბერალიზაციის ეფექტები სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხის სხვადასხვა დონისთვის. საშუალო სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი მთლიანი პერიოდის განმავლობაში არის -0,11. შესაბამისად, ფინანსური ლიბერალიზაციის საშუალო საერთო გავლენაა 0,06. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური ინსტიტუტების საშუალო ცვლილება (average difference) შერჩევის პერიოდის განმავლობაში არის 0,23, ფინანსური ლიბერალიზაციით შეიძლება აიხსნას ფინანსური განვითარების მნიშვნელოვანი წილი ამ პერიოდის განმავლობაში. ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნების ჯგუფებს შორის ფინანსური განვითარების დონეებში არსებული განსხვავების შესაფასებლად შერჩევა დავყავით შესაბამის ჯგუფებად. შერჩევის პერიოდის მანძილზე, ყოფილი წევრი ქვეყნების საშუალო სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხია -0,46, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური ლიბერალიზაციის მთლიანი გავლენა ფინანსურ განვითარებაზე არის 0,03. არაწევრ ქვეყნებს აქვთ უფრო მაღალი საშუალო სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხის მაჩვენებელი (0,42), რაც ფინანსურ ლიბერალიზაციაზე მთლიანი გავლენის მაჩვენებელს ზრდის 0,09-მდე. ამრიგად, საშუალოდ, ფინანსური ლიბერალიზაცია ფინანსურ განვითარებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენს არაწევრი, ვიდრე წევრი ქვეყნებისთვის. უფრო მეტიც, 1996-2000 წლებში ყოფილი წევრი ქვეყნების სამართლებრივი ინსტიტუციების საშუალო ხარისხი -0,59 იყო და ამ პერიოდში ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენით ფინანსური განვითარება მხოლოდ 0,02-ით გაუმჯობესდა. ეს დასკვნა შესაბამისობაშია ჩინისა და იტოს (Chinn and Ito 2006) კვლევასთან, რომლებიც აცხადებენ, რომ ფინანსურ ლიბერალიზაციას დადებითი გავლენა აქვს განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ განვითარებაზე, ხოლო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ეს გავლენა უარყოფითია.[24]

---

[24] ცხადია, ყოფილი წევრი ქვეყნების ჯგუფი თავისთავად საკმაოდ ჰეტეროგენულია და, როგორც ჯგუფი, არ შეესაბამება საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ინდექსების ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განმარტებას. ამის მიუხედავად, ჩვენი შედეგები ამტკიცებს ორ ჯგუფს შორის ფინანსური ლიბერალიზაციის დიქოტომიურ ეფექტს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი წევრი ქვეყნების ჯგუფში ფინანსური ლიბერალიზაცია საშუალოდ დადებითად აისახება ფინანსურ განვითარებაზე, სურათი იცვლება კონკრეტული ქვეყნების ჭრილში. მაგალითად, შერჩევის პერიოდის განმავლობაში, თურქმენეთის სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხის საშუალო მაჩვენებელია -1,69, რაც ნიშნავს, რომ თურქმენეთის ფინანსური ლიბერალიზაციის საერთო გავლენა თურქმენეთის ფინანსურ განვითარებაზე -0,06-ს შეადგენს. შერჩევის საშუალო ფინანსურ განვითარებასთან შედარებით ეს საკმაოდ დიდი უარყოფითი ეფექტია. საქართველო კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევაა, რადგან ქვეყანამ კაპიტალის ანგარიშების ლიბერალიზაცია ადრევე მოახდინა, მანამ სანამ ჩამოაყალიბებდა ძლიერ იურიდიული სისტემას. ჩვენი შეფასებით, ადრეულმა ლიბერალიზაციამ ფინანსური განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა 1996-2000 წლებში. თუმცა, მას შემდეგ საქართველოში სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი გაუმჯობესდა და ფინანსური ლიბერალიზაციის საერთო გავლენა ფინანსურ ინსტიტუციებზე შემდეგ პერიოდში პოზიტიური გახდა. ამით, თუნდაც ნაწილობრივ, შეიძლება აიხსნას 1996-2000 წლებში საქართველოს ნელი ფინანსური განვითარება და პროცესის შემდგომი დაჩქარება. მთლიანობაში, ყოფილი წევრი ქვეყნების ჯგუფთან დაკავშირებით მიღებულმა შედეგებმა ნაწილობრივ ახსნა კახაროვისა და აკიმოვის (Kakhkharov and Akimov 2018) დასკვნები, რომლის მიხედვითაც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ნაწილი ჩამორჩება ფინანსური განვითარების თვალსაზრისით.

საკონტროლო ცვლადებს რაც შეეხება, ვხედავთ, რომ ინფლაციას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ აქვს საერთო ფინანსურ განვითარებასთან. თუმცა ინფლაციას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი აქვს ფინანსურ სიღრმესთან. ამ დასკვნამ შეიძლება გამოკვეთოს მნიშვნელოვანი არხი, რომლის მეშვეობითაც ინფლაციის დონე გავლენას ახდენს ფინანსურ განვითარებაზე. ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის გამო (რაც შერჩევის რამდენიმე ქვეყანაში დაფიქსირდა), შესაძლოა კერძო სექტორს აღარ უღირდეს ფინანსური რესურსების ფინანსურ ინსტიტუტებში შენახვა. შესაბამისად, ფასების სტაბილურობისადმი ნაკლებმა ნდობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ფინანსურ სიღრმეზე. რაც შეეხება სავაჭრო გახსნილობას, აქაც ვერ ვხედავთ სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს საერთო ფინანსურ განვითარებასთან. ამის

მიუხედავად, სავაჭრო გახსნილობას სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აქვს ფინანსურ ეფექტურობასთან. ეს დასკვნა, მინიმუმ, ესადაგება სავაჭრო გახსნილობის მხრიდან ფინანსური განვითარების მიმართულებით პოზიტიური ეფექტების გადადინების (Positive Spillovers) თეორიას.

პოლიტიკის რეკომენდაციებს რაც შეეხება, ჩვენი დაკვირვების თანახმად, ფინანსური განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხს. ასევე, ფინანსური ლიბერალიზაცია სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. მიუხედავად იმისა, რომ საშუალოდ მისი ეფექტი დადებითია, მისი შედეგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხზე. ამრიგად, ქვეყნებმა, რომლებიც იმ ეტაპზე იმყოფებიან, როდესაც სჭირდებათ სამართლებრივი ინსტიტუციების განვითარება და ფინანსური ლიბერალიზაციის გაზრდა, ეს თანმიმდევრულად უნდა განახორციელონ. საჭიროა ჯანსაღი სამართლებრივი ინსტიტუციების დანერგვა სანამ ფინანსური ლიბერალიზაციისკენ გადაიდგმება ნაბიჯები.

ამ თავში ჩვენ გავაანალიზეთ ფინანსური განვითარების თავისებურება პოსტსაბჭოთა გარდამავალ ეკონომიკებში. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წლის შემდეგ რამდენიმე ქვეყანამ შეძლო ფინანსურ ინსტიტუციებზე დაყრდნობით ფუნქციონირებადი ფინანსური სისტემის დანერგვა. თუმცა, როგორც ანალიზმა აჩვენა, რამდენიმე ქვეყანა ჯერ კიდევ ჩამორჩება ფინანსური განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე შედარებით დაბალია პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ეს შეიძლება მიუთითებდეს ინვესტიციებისთვის არსებული ფინანსური რესურსის ნაკლებობაზე. ფინანსური ინსტიტუტების განმსაზღვრელი ფაქტორების ჯვარედინმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფინანსური ინსტიტუტების ხარისხი საკმარისად ძლიერ დადებით დამოკიდებულებაშია სამართლებრივი ინსტიტუციებისა და ფინანსური ლიბერალიზაციის ხარისხთან, მაგრამ ასეთივე დამოკიდებულება არ ვლინდება ინფლაციის მაჩვენებლებთან და სავაჭრო გახსნილობასთან მიმართებაში.

პანელური მონაცემების ანალიზი დიდ წილად ადასტურებს ფინანსური განვითარებისათვის სამართლებრივი ინსტიტუციების მნიშვნელობას. ქვეყნებში,

რომლებსაც უკეთ აქვთ განვითარებული იურიდიული სისტემები, ფიქსირდება ფინანსური ინსტიტუტების უფრო სწრაფი განვითარება. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ინსტიტუტების ყველა განზომილებისთვის. ჯვარედინი ანალიზისგან განსხვავებით, პანელურ რეგრესიაში, ფინანსური ინსტიტუტების სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების გაკონტროლებისას, არ ჩანს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ფინანსურ ლიბერალიზაციასა და ფინანსურ განვითარებას შორის. თუმცა, ფინანსური ლიბერალიზაციისა და სამართლებრივი ინსტიტუციების ურთიერთქმედების გათვალისწინებით, ვაფიქსირებთ ფინანსური ლიბერალიზაციის სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს. ეს დასკვნა შეესაბამება ამ საკითხზე არსებულ წინა კვლევებს, რომელთა მიხედვით კარგად განვითარებული სამართლებრივი ინსტიტუციები ფინანსური ლიბერალიზაციის პოზიტიური ეფექტის წინაპირობაა. გარდა ამისა, პანელური მონაცემების ანალიზისას ვნახეთ, რომ ინფლაციის მაჩვენებელსა და სავაჭრო გახსნილობას მნიშვნელოვანი სტატისტიკური გავლენა აქვს არა ზოგად, არამედ ფინანსური განვითარების კონკრეტულ ასპექტებთან მიმართებით. ამ დასკვნამ შეიძლება ახსნას წინა კვლევების მიგნებები და გამოკვეთოს არხები, რომელთა მეშვეობითაც ეს ორი ფაქტორი მოქმედებს ფინანსურ განვითარებაზე.

მთლიანობაში წინამდებარე თავი გვიჩვენებს, რომ ფინანსური განვითარება აუცილებლად მოითხოვს ჯანსაღ სამართლებრივ სისტემას. ეს დასკვნა ასახავს მრავალ გარდამავალ ეკონომიკაში არსებულ რთულ ვითარებას. კერძოდ დასკვნის მიხედვით გარდამავალ პერიოდში აუცილებელია როგორც ფინანსური ასევე სამართლებრივი სისტემის ტრანსფორმაცია. ამ ორი სისტემის ერთდროულად გარდაქმნა კი წარმოადგენდა დიდი გამოწვევას, განსაკუთრებით განვითარების პირველ ეტაპზე. თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა ფინანსური ლიბერალიზაცია, ინფლაცია და ვაჭრობის გახსნილობა, შესაძლოა ასევე მნიშვნელოვანი იყოს ფინანსური განვითარებისათვის. საკითხის ეს მხარე შესაძლოა უფრო მეტად წარმოაჩინოს სამომავლო კვლევებმა.

# თავი III. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინსტიტუციური განვითარება - ინსტიტუციური გამოცდილების როლი

## 3.1 ინსტიტუციების ცვლილება და ინსტიტუციური გამოცდილება

როგორც პირველ თავში ვნახეთ, პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარება მჭიდრო კავშირშია არსებულ ინსტიტუციურ ჩარჩოსთან. კარგი ინსტიტუციები მხარს უჭერენ ტრანზაქციული დანახარჯების შემცირებას და ამარტივებენ ეკონომიკურ აქტივობას, ხოლო ცუდი ინსტიტუციები პირიქით ართულებენ მას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გარდამავალი ეკონომიკების განვითარების განსხვავებული ტრაექტორიების კვლევას ხშირად მათი ინსტიტუციური ჩარჩოების ძირეულ განსხვავებებამდე მივყავართ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინსტიტუციების ტრანსფორმაციის და რეფორმირების კუთხით ეს ქვეყნები დადგნენ მსგავსი გამოწვევების წინაშე. თუმცა, ტრანსფორმაციის სხვადასხვა ტემპის და ტრაექტორიის შედეგად ინსტიტუციურ ჩარჩოებს შორის წარმოქმნილი განსხვავებები აჩენს კითხვებს ინსტიტუციური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებით. გარდამავალი ეკონომიკების კონტექსტში, საინტერესოა თუ რატომ აღმოჩნდა ინსტიტუციები ზოგიერთი ქვეყნისთვის რთული შესაცვლელი, მაშინ როცა სხვებმა ეს სწრაფად მოახერხეს? გარდა ამისა, პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, აუცილებელია ვიცოდეთ, რამდენად არის შესაძლებელი ინსტიტუციური მშენებლობის პროცესში ჩარევა და მისი იმგვარი მართვა, რომ ქვეყანაში მივიღოთ სასურველი ინსტიტუციური გარემო.

### *3.1.1 ინსტიტუციების ცვლილება*

წინა თავების მსგავსად ამ თავშიც, ჩვენ გამოვიყენებთ ინსტიტუციების ნორტისეულ განმარტებას (Douglass Cecil North 1990), რომელიც ინსტიტუციებს განსაზღვრავს როგორც ადამიანის მიერ შემუშავებულ "თამაშის წესებს" საზოგადოებაში. ამ ფართო განმარტების თანახმად, ინსტიტუციები აყალიბებენ ადამიანების ურთიერთქმედების ფორმებს მათზე სტრუქტურის დაწესებით და, შესაბამისად, განსაზღვრავენ ეკონომიკური საქმიანობის ხარჯებსა და სარგებელს. ასამოღლუ და რობინსონი (Acemoglu and Robinson 2010) ამტკიცებენ, რომ რადგან

ინსტიტუციები ადამიანის მიერ არის შემუშავებული, მათი ჩამოყალიბების პროცესი იმთავითვე გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ინტერესთა კონფლიქტი კი ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუციები არ ვითარდებიან ვაკუუმში, ისინი განისაზღვრება საჯარო დებატების, მოლაპარაკებებისა და კომპრომისების პროცესში, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოზე. თუმცა, როგორც მოე (Moe 2005) აღნიშნავს, ინსტიტუციები ყველა შემთხვევაში არ ყალიბდება ნებაყოფლობითი თანამშრომლობის შედეგად, რომელიც კოლექტივიზმის პრობლემას ჭრის და ყველა მხარის ინტერესების გამომხატველია. უფრო ხშირად ისინი ყალიბდება ძალაუფლების გადანაწილების შესაბამისად. ძალაუფლება კი თავის მხრივ დამოკიდებულია პოლიტიკური ინსტიტუციების (დე იურე ძალაუფლება) და ეკონომიკური რესურსების კონტროლზე (დე ფაქტო ძალაუფლება). ამ ძალაუფლების გამოყენებით, მისი მაკონტროლებელი პირები გავლენას ახდენენ ინსტიტუციების ჩამოყალიბებების პროცესზე. თუმცა, რადგან ძალაუფლება თანაბრად არ არის განაწილებული საზოგადოების ყველა წევრს შორის,  ყველას არ აქვს თანაბარი გავლენა და ჩართულობა ინსტიტუციების ჩამოყალიბების პროცესში.  მიღებული ინსტიტუციები შეიძლება იყოს ექსტრაქციული - სარგებლის მომტანი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისთვის, და არ იყოს ინკლუზიური, რომელიც საზოგადოების ფართო მასების ინტერესებს გამოხატავს. მაშასადამე, როგორც რობინსონი (Robinson 2012) აცხადებს, ინსტიტუციური ცვლილებების პროცესის გასაგებად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ როგორ იცვლება დროთა განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალთა ბალანსი.

ძალაუფლების ბალანსის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა დროში ნელა ცვლილება. ნელი დინამიკის საფუძველი ელიტური წრეების (ადამიანთა მცირე ჯგუფი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლებით) რეპროდუქციულ ხასიათს უკავშირდება. როცა ადამიანთა ეს მცირე ჯგუფი იღებს ძალაუფლებას, მისი გამოყენებით რესურსებს თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ ანაწილებენ და ინსტიტუციებს ისე აყალიბებენ, რომ მათ ხელში განგრძობითად დარჩეს დე იურე და დე ფაქტო ძალაუფლება.  ხშირ შემთხვევებში ეს ძალაუფლება მემკვიდრეობით თაობიდან თაობას გადაეცემა. აქედან გამომდინარე, ძალაუფლების ბალანსი

საზოგადოებაში შეიძლება უცვლელი დარჩეს თაობების მანძილზე. შედეგად, ერთხელ ჩამოყალიბებული ინსტიტუციური გარემო უცვლელად ნარჩუნდება დროის საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში. მსგავსი მოსაზრებაა წარმოდგენილი ასამოღლუს, ჯონსონსა და რობინსონს (Acemoglu, Johnson, and Robinson 2001) მიერ. ისინი ამტკიცებენ, რომ ინსტიტუციური განვითარება აჩვენებს წარსულში მომხდარ ისტორიულ მოვლენებზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხს და რომ ინსტიტუციები ჩამოყალიბების შემდეგ ძალიან ნელა, თუ საერთოდ, იცვლება. ამრიგად, ინსტიტუციების მდგრადი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ შორეულ წარსულში მომხდარმა მოვლენამ შეიძლება დღევანდელ ინსტიტუციურ გარემოში ჰპოვოს ასახვა.

თუმცა პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირად, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როცა ქვეყნის ინსტიტუციური გარემო საკმაოდ სწრაფად იცვლება. ისლამი (Islam 2018) ამტკიცებს, რომ შიდა პოლიტიკურმა და სოციალურმა არეულობამ და მთავრობის შეცვლამ, ასევე კონფლიქტებმა და ოკუპაციამ, რასაც ზოგჯერ კონკრეტული ტიპის ინსტიტუციების იძულებითი დანერგვა მოსდევს, შეიძლება მასშტაბური ინსტიტუციური ცვლილებები გამოიწვიოს.[25] პოსტსაბჭოთა სივრცის გამოცდილება ინსტიტუციების ასეთი ცვლილების კარგი მაგალითია. საბჭოთა კავშირში გაწევრიანების შემდეგ, ეს ქვეყნები იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ საბჭოთა სისტემაზე და დაენერგათ საბჭოთა ინსტიტუციები. ასევე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთავრობების ცვლილებას მოჰყვა კომუნიზმიდან გამოსვლა და არასტაბილური შიდა პოლიტიკური ვითარება რამაც ქვეყნების უმეტესობაში ფართომასშტაბიანი ინსტიტუციური რეფორმები გამოიწვია.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინსტიტუციების ჩამოყალიბების უნიკალური გამოცდილება არაერთ კვლევაშია განხილული სხვადასხვა პერსპექტივიდან. ტრანსფორმაციის პროცესის შეფასებისას დე მელო და სხვ. (de Melo et al. 2001) ამბობენ, რომ გარდამავალი პერიოდში არსებული საწყისი პირობები, როგორიცაა სოციალიზმში გატარებული წლების რაოდენობა და ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების რაოდენობა (resource endowments), კრიტიკული მნიშვნელობისაა

[25] ინსტიტუციების იძულებითი დანერგვისა და გარედან ძალის გამოყენებით განხორციელებული რეფორმების დეტალური განხილვისთვის იხილეთ (Acemoglu et al. 2011).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუციური და ეკონომიკური განვითარების ასახსნელად. დი ტომასომ, რაიზერმა და ვიკსიმ (Tommaso, Raiser, and Weeks 2007) ყურადღება გაამახვილეს საწყისი პირობების მნიშვნელობაზე გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუციური განვითარებისათვის. გარდა ამისა, ბეკი და ლევინი (Beck and Laeven 2006) ავითარებენ ჰიპოთეზას, რომ სოციალისტური ელიტის სიმტკიცემ, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ელიტის ყოფილ წარმომადგენლებს საშუალება მისცა მათ სასარგებლოდ მოეხდინათ რესურსების განაწილება. შედეგად ზოგიერთ ქვეყანაში ვერ შეიცვალა ძალთა ბალანსი, რამაც შეზღუდა ინსტიტუციების რეფორმირების მასშტაბები და ტემპები. მათი კვლევის მიხედვით, სოციალისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობა, რაც მიჩნეულია სოციალისტური წყობის და ამ სისტემის ელიტის სიმტკიცის მაჩვენებლად, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუციურ განვითარებაზე.

ცხადია, არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ინსტიტუციურ განვითარებაზე. გარდამავალი ეკონომიკების კონტექსტის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბუნებრივი რესურსები. ამ მიმართულებით საქსის და ვორნერის (Sachs and Warner 2001) პიონერული ნაშრომის შემდეგ, მრავალმა ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა ის, რაც დღეს ფართოდაა ცნობილი, როგორც რესურსების წყევლა. ამ ფენომენის მიხედვით, ბუნებრივი რესურსების სიჭარბე იწვევს შენელებულ ეკონომიკურ ზრდას. მიზეზი ისაა, რომ რესურსებით მდიდარ ქვეყნებში ძალთა ბალანსი გადახრილია რესურსების მაკონტროლებელი ელიტის მხარეს. ადამიანთა ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი კი არ ცდილობს ქვეყნის ზოგადი ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებას და ხშირად რეფორმების წინააღმდეგნი არიან. მიზეზი ისაა რომ სტატუს ქვო მათთვის სარგებლის მომტანია, ცვლილებები კი ქმნის დამატებით გაურკვევლობას, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებაზე.

მეჰლუმმა, მონემ და ტორვიკმა (Mehlum, Moene, and Torvik 2006) გააფართოვეს ანალიზი და აჩვენეს, რომ ბუნებრივი რესურსების უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია ინსტიტუციების ხარისხზე. მაღალი ხარისხის

ინსტიტუციების მქონე ქვეყნები უფრო მეტ სარგებელს იღებენ რესურსებისგან, ვიდრე დაბალი ინსტიტუციური განვითარების მქონე ქვეყნები. უფრო ახალ ნაშრომში ჰორვატმა და ზეინალოვმა (Horvath and Zeynalov 2016) შეამოწმეს ეს ჰიპოთეზა და დაადასტურეს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ინსტიტუციური განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებში, ბუნებრივი რესურსების სიმრავლეს უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. ამრიგად, ინსტიტუციების ხარისხი შეგვიძლია მივიჩნიოთ ეკონომიკურ ზრდაზე ბუნებრივი რესურსების უარყოფითი ზემოქმედების მთავარ გადამცემ არხად. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე განსხვავებული თეორია არსებობს ინსტიტუციურ განვითარებაზე ბუნებრივი რესურსების გავლენის შესახებ, ამ თეორიების უმეტესობა საერთო მექანიზმს იზიარებს. ზოგადად, ბუნებრივი რესურსების სიმრავლე ასოცირდება ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსების არაეფექტურ გადანაწილებასთან ბუნებრივი რესურსების ექსტრაქციის მიმართულებით. რესურსების ასეთი გადანაწილება იწვევს ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუციების გაუარესებას. გარდამავალი ეკონომიკების კონტექსტში, ბეკმა და ლევინმა (Beck and Laeven 2006) ემპირიულად შეამოწმეს ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულების გავლენა ინსტიტუციური მშენებლობის პროცესზე. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე დამოკიდებულება მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ინსტიტუციურ განვითარებაზე. ამის საპირისპიროდ, ალექსეევმა და კონრადმა (Alexeev and Conrad 2011) ვერ აღმოაჩინეს ბუნებრივი რესურსების სიმრავლის ნეგატიური გავლენა გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუციურ განვითარებაზე. შედეგების ასეთი განსხვავებულობა რამდენიმე გარემოებითაა განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია განსხვავებული სპეციფიკაციების შერჩევა, რესურსების სხვადასხვა საზომების გამოყენება და საკვლევ ობიექტებად სხვადასხვა ქვეყნების განხილვა.[26]

---

[26] ალექსეევი და კონრადი (Alexeev and Conrad 2011) იყენებენ 162 ქვეყნის ჯვარედინ მონაცემებს და აგებენ ფიქტიურ ცვლადს გარდამავალი ეკონომიკებისთვის (ისინი მიიჩნევენ ჩინეთს, კამბოჯას, მონღოლეთს, მონტენეგროსა და ვიეტნამს გარდამავალ სახელმწიფოებად) რომ განაცალკეონ რესურსების გავლენა ინსტიტუციურ ხარისხზე ამ ქვეყნებში. ამის საპირისპიროდ, ბეკი და ლევინი (Beck and Laeven 2006) იყენებენ ჯვარედინ რეგრესიებს, რომლებიც ფოკუსირებულია 24 გარდამავალ ეკონომიკაზე. ამ ორ ნაშრომში ასევე გამოყენებულია რესურსებზე დამოკიდებულების სხვადასხვა საზომები. ალექსეევი და კონრადი (Alexeev and Conrad 2011) იყენებენ ქვეყნის ნავთობის გამომუშავებას ერთ სულ

ისეთმა ფაქტორებმა როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ინსტიტუციურ განვითარებაში. მაგალითად, საგარეო ძალებს, საერთაშორისო ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესზე. ამ სტრუქტურებს ინფორმაციის გაცემითა და კრიტერიუმების დაწესებით შესწევთ უნარი გავლენა იქონიონ ძალაუფლების გადანაწილებაზე და, შესაბამისად, ინსტიტუციური განვითარების პროცესზე. ამასთან, მთავრობათაშორისი ორგანიზაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც კონკრეტული ინსტიტუციების ნიმუში და, შესაბამისად, კანდიდატმა ქვეყანამ რიგ შემთხვევებში შესაძლოა იდენტური ინსტიტუციები დანერგოს ქვეყნის შიგნით. უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციები პოტენციურ წევრ ქვეყნებს აძლევენ ეკონომიკურ სტიმულს (გრანტები, დახმარებები, შეღავათიანი კრედიტები და ა.შ.), რომ ჩამოაყალიბონ თავიანთი ინსტიტუციები საჭირო ფორმით. შესაბამისად, როგორც ვეი და ლევინსკი (Way and Levitsky 2007) ამტკიცებენ, ამან შეიძლება შეამციროს ინსტიტუციური განვითარების ხარჯები და დააჩქაროს მათი მშენებლობის პროცესი. ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის როლი, რომლის წევრიც პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანა უკვე გახდა. გარდამავალი ეკონომიკების კონტექსტში, ევროკავშირში გაწევრიანების შედეგები საკმაოდ დეტალურად აღწერა შიონფელდერმა და ვაგნერმა (Schönfelder and Wagner 2016). მათი კვლევის მიხედვით, ევროკავშირში გაწევრიანება და ასევე ამ გაწევრიანების პერსპექტივა დადებით გავლენას ახდენს გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუციურ განვითარებაზე. მათი კვლევა ასევე შეიცავს ინსტიტუციური განვითარების შებრუნების მაგალითებსაც. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ინსტიტუციების ხარისხი გაუარესდა. თეორიულ ჩარჩოში როლანდმა და ვერდიერმა (Roland and Verdier 2003) აჩვენეს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივამ შედარებით მცირე ქვეყნებში შესაძლოა ხელი შეუწყოს სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებას. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ნაწილობრივ

---

მოსახლეზე და ქვეყნის ენერგორესურსების და მინერალური რესურსების შემოსავლების წილს მთლიან ეროვნულ შემოსავალში, ხოლო ბეკი და ლავენი (Beck and Laeven 2006) იყენებენ საწვავის, მადნების და ლითონის ნედლეულის ექსპორტის წილს მშპ-ში.

ხსნის რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებებს სამართალდამცავი ინსტიტუციების განვითარების ტრაექტორიებში. შვაიკარტი და სხვები (Schweickert et al. 2011) და დი ტომასო, რაიზერი და ვიკსი (Tommaso, Raiser, and Weeks 2007) ასევე ადასტურებენ ევროინტეგრაციის პოზიტიურ გავლენას გარდამავალი ეკონომიკების ინსტიტუციურ განვითარებაზე.

### *3.1.2 ინსტიტუციური გამოცდილების როლი*

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ინსტიტუციური ხარისხის ახალ განმსაზღვრელ ფაქტორს – ინსტიტუციურ გამოცდილებას. ფართო გაგებით, ინსტიტუციური გამოცდილება ასახავს ისტორიულ გამოცდილებას საბჭოთა კავშირამდე ეპოქიდან. ჩვენი მიზანია ამ მაჩვენებლით შევაფასოთ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებული ინსტიტუციების პირობებში სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართვის გამოცდილება.[27] ძირითადი იდეა ისაა, რომ ინკლუზიური და საბაზრო ეკონომიკის მსგავს ინსტიტუციურ გარემოში მიღებული ისტორიული გამოცდილება შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამოსადეგი აღმოჩნდეს გარდამავალ პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები აღარ შეესაბამებოდა გლობალიზებულ სამყაროს გამოწვევებს და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკასთან თავსებადი ინსტიტუციების დანერგვა თითქმის გარდაუვალი იყო. ამ ვითარებაში ინსტიტუციური გამოცდილების ქონას შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა ინსტიტუციების ჩამოყალიბების პროცესში.

ინსტიტუციური გამოცდილება გავლენას ახდენს ინსტიტუციურ განვითარებაზე ძირითადად ორი არხის მეშვეობით. პირველი არხი არის საზოგადოების კოლექტიური მეხსიერება.[28] ეს გულისხმობს, რომ თუ

[27] საბჭოთა სისტემაში დომინირებდა ერთი პარტია და ძნელია სახელმწიფო და პარტიული ინსტიტუტების განსხვავება. გარდა ამისა, სისტემა ხასიათდებოდა წარმოების ფაქტორების სახელმწიფო საკუთრებით, ეკონომიკური გაცვლის კონტროლითა და გეგმიური ეკონომიკით. საბჭოთა სისტემის მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ (Kulkarni 1994; Cohen 2004).

[28] საზოგადოების კოლექტიური მეხსიერება, როგორც წესი, გულისხმობს ერის შეხედულებებს და წარმოდგენებს წარსულის შესახებ, რაც ასახავს ინფორმაციას ღირებულებებსა და ნორმებთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის გადმოცემა შესაძლებელია კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის წიგნებით, ძეგლებით, ფილმებით, გაზეთებით და ა.შ. კოლექტიურ მეხსიერებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ (Fentress and

დამოუკიდებელი ინკლუზიური ინსტიტუციების გამოცდილება კოლექტიურ მეხსიერებაში ღრმად არის ჩაბეჭდილი, საზოგადოებამ შეიძლება მეტად იაქტიუროს ექსტრაქციული ინსტიტუციების ჩამოყალიბების წინააღმდეგ. ამრიგად, კოლექტიურმა მეხსიერებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეყანაში ძალაუფლების გადანაწილებაზე და, შესაბამისად, ინსტიტუციური მშენებლობის პროცესზე. მეორე არხი არის პირდაპირი ეფექტი, რომელიც მაშინ ჩნდება, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეუძლიათ უშუალოდ გამოიყენონ კონკრეტული ინსტიტუციების ფუნქციონირების არსებული გამოცდილება. მაგალითად, როგორც ტაუბეს (Taube 2002) და პაპუაშვილის (Papuashvili 2012) მიერ დასტურდება, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და საქართველოში მიღებული კონსტიტუციები მეტწილად ემყარებოდა იმ კონსტიტუციებს, რომლებიც ამ ქვეყნებს საბჭოთა სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამდე ჰქონდათ. ამრიგად, ინსტიტუციური გამოცდილების არსებობის დროს, ინსტიტუციის მშენებლობის პროცესი მარტივდება და ის შეიძლება იყოს უბრალოდ ადრე ჩამოყალიბებული ინსტიტუციების ხელახალი დანერგვა.

ინსტიტუციური გამოცდილების ეფექტის განხილვისას განსაკუთრებით ყურადსაღებია გამოცდილების ხანგრძლივობა. ინსტიტუციური გამოცდილების ხანგრძლივი პერიოდი ნიშნავს, რომ საბჭოთა სისტემის დანერგვამდე, პირდაპირი თუ კოლექტიური მეხსიერების მეშვეობით, ქვეყნებს უფრო მეტი დრო ჰქონდათ სტაბილური ინსტიტუციების შესაქმნელად. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ კოლექტიური მეხსიერების სიძლიერე საბჭოთა სისტემამდე არსებული ინსტიტუციური მოწყობის შესახებ დადებითად იქნება დაკავშირებული ინსტიტუციური გამოცდილების ხანგრძლივობაზე. გარდა ამისა, რაც უფრო ძლიერი იყო ინსტიტუციები გასაბჭოებამდე, მით უფრო ადვილი და სწრაფი უნდა ყოფილიყო მათი აღდგენისა და თანამედროვეობასთან ადაპტაციის პროცესი. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების კონტექსტის გათვალისწინებით, მეტი გამოცდილება ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ შედარებით გვიან დანერგა საბჭოთა სისტემა და, რომ საბჭოთა კავშირის

---

Wickham 1992) და (Zerubavel 1995). კოლექტიურ მეხსიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთმიმართების დეტალური განხილვა წარმოდგენილია (Dessí 2008) და (Akerlof and Kranton 2000) მიერ.

დაშლის მომენტში ამ ქვეყნებში საზოგადოებას უფრო ცოცხალი მოგონებები ჰქონდა დამოუკიდებლობის პერიოდის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ. ამრიგად, ჩვენ ველით, რომ ეფექტის სიძლიერე დამოკიდებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდის ხანგრძლივობაზე. საკითხის ილუსტრაციის მიზნით შეგვიძლია შევადაროთ ბალტიის პირეთის ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილება. ბალტიის ქვეყნებს საშუალება ჰქონდათ მიიღოთ ინსტიტუციური გამოცდილება უფრო გრძელი პერიოდის მანძილზე, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე იყო 1918–დან 1921 წლამდე. შედეგად, როგორც გოდოლაძე (Godoladze 2013) ამტკიცებს, საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც 1992 წელს წარმოადგინეს, მეტწილად 1921 წლის კონსტიტუციას ემყარებოდა. თუმცა საჭირო გახდა მისი შეცვლა და ის საბოლოოდ 1995 წელს დამტკიცდა. გარდა ამისა, ქვეყნის კონსტიტუციაში კვლავ ხშირია ფუნდამენტური ცვლილებები. ამის საპირისპიროდ, ჯარუკაიტის და შვედას (Jarukaitis and Švedas 2019) ნაშრომის მიხედვით, ბალტიის ქვეყნებმა ფუნქციური და სტაბილური ინსტიტუტების დანერგვა დამოუკიდებლობის მიღებიდან მალევე შეძლეს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტიტუციურ გამოცდილებას აქვს გავლენა გარდამავალ ეკონომიკებში დღეს არსებულ ინსტიტუციების ხარისხზე. კერძოდ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინსტიტუციური გამოცდილების უფრო ხანგრძლივი პერიოდი, სხვა თანაბარ პირობებში (ceteris paribus), უნდა ასოცირდებოდეს დღევანდელი ინსტიტუციების უფრო მაღალ ხარისხთან. გარდა ამისა, ჩვენ ველით, რომ არასაბჭოთა ინსტიტუციური გამოცდილების ეფექტი უფრო ძლიერია პოლიტიკური ინსტიტუციების ხარისხისთვის, ვიდრე ადმინისტრაციული ან სამართლებრივი ინსტიტუციებისთვის. ეს ჰიპოთეზა ემყარება იმ ფაქტს, რომ საბჭოთა პერიოდში ქვეყნებმა შეძლეს გარკვეული გამოცდილების დაგროვება ადმინისტრაციული და სამართლებრივი ინსტიტუციების კუთხით; თუმცა, მათი გამოცდილება შეზღუდული იყო პოლიტიკური ინსტიტუციების მხრივ.

გარკვეულწილად მსგავსი მიდგომა აქვთ განვითარებული ბოქსტეტს, ჩანდასა და პუტერმანს (Bockstette, Chanda, and Putterman 2002), რომლებმაც ააგეს სახელმწიფოს სიძველის (ანტიკურობის) ინდექსი (index of State Antiquity), –

სახელმწიფო დონის ინსტიტუციების გამოცდილების სიღრმის მახასიათებელი მაჩვენებელი. მათი კვლევის მიხედვით, მაღალი კორელაცია არსებობს შექმნილ ინდექსსა და დღევანდელი პოლიტიკური და ინსტიტუციური განვითარების მაჩვენებლებს შორის. ჩვენს მიერ ზემოთ შემოთავაზებული ინსტიტუციური გამოცდილების საზომი კონცეპტუალურად განსხვავდება სახელმწიფოს სიძველის ინდექსისგან. ეს უკანასკნელი ფოკუსირებულია ტერიტორიულ ასპექტებზე და ტომის დონეზე მაღლა მყოფი მთავრობის არსებობაზე. ამრიგად, იგი ასახავს ზოგად სახელმწიფო დონის ინსტიტუციების არსებობას. ჩვენი საზომი კი უფრო ნათლად ასახავს ინსტიტუციების არსებობას თანამედროვე გაგებით, დამოუკიდებელი არასაბჭოთა მთავრობის არსებობის გათვალისწინებით. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საბჭოთა კავშირის პერიოდში აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებს ჰქონდათ ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუციური მოწყობა სპეციფიკური მახასიათებლებით. საბჭოთა სისტემის ეკონომიკური განზომილება მოიცავდა ქვეყნის რესურსების სახელმწიფო საკუთრებას, კონტროლირებადი ფასების მექანიზმს და ცენტრალურ დაგეგმვას, რამაც რესურსების არაეფექტიანი განაწილება გამოიწვია. სისტემის პოლიტიკური განზომილება ხასიათდებოდა პოლიტიკური სპექტრის ერთპარტიული დომინირებით, რეპრესირებული პოლიტიკური ოპოზიციითა და ერთ კანდიდატიანი საარჩევნო სიით. შედეგად, საბჭოთა სისტემის ქვეშ გატარებული დროის განმავლობაში ქვეყნებს შეეძლოთ ადმინისტრაციული გამოცდილების დაგროვება ზოგადად სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ არა პოლიტიკური და საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციების მიმართულებით.

ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება მოკლედ შეიძლება შემდეგი სახით შევაჯამოთ. ფუნქციონალური და სტაბილური ინსტიტუციების მუშაობასთან დაკავშირებული ისტორიული გამოცდილება ამცირებს საბაზრო ეკონომიკის შესაბამის ინსტიტუციებზე გადასვლის ხარჯებს. გარდა ამისა, მოლაპარაკების პროცესში ინსტიტუციური გამოცდილება გააძლიერებს მოქალაქეთა პოზიციებს და საშუალებას მისცემს მათ დანერგონ ინკლუზიური ინსტიტუციები მანამ, სანამ არსებული ელიტა შეძლებს დანერგოს წმინდა ექსტრაქტული ინსტიტუციები. შესაძლებლობების ვიწრო ფანჯარაში, ინსტიტუციური გამოცდილება ხელს უწყობს

ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ინსტიტუციების დანერგვას და აჩქარებს ინსტიტუციურ განვითარებას. ქვეყნებს, რომელთაც შეეძლოთ გარდამავალ პერიოდში ესარგებლათ მეტი ინსტიტუციური გამოცდილებით, თავიდანვე უფრო ეფექტური ინსტიტუციების ჩამოყალიბების შანსი გააჩნდათ. ამის საპირისპიროდ ქვეყნები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ ან ჰქონდათ მცირე ინსტიტუციური გამოცდილება, ექსტრაქციული ინსტიტუციების ჩამოყალიბების საშიშროების წინაშე იყვნენ. ამრიგად, ინსტიტუციების ისტორიული გამოცდილება გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ინსტიტუციების მშენებლობის წამყვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

### 3.2 მონაცემები და შემაჯამებელი სტატისტიკა

ინსტიტუციური გამოცდილების გასაზომად ვითვლით წლების რაოდენობას რომლის განმავლობაშიც ქვეყანა იყო დამოუკიდებელი 1900 წლიდან მის გასაბჭოებამდე (მიუხედავად იმისა გახდა თუ არა საბჭოთა კავშირის წევრი)[29]. დამოუკიდებლობის წლების ათვლას ვიწყებთ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მოახერხა საკუთარი დამოუკიდებელი ადმინისტრაციის, ანუ საკუთარი მთავრობის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საკვალიფიკაციო მახასიათებელია ის, რომ პოზიტიური რიცხვები მივანიჭეთ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობის პერიოდში შეძლეს კონსტიტუციის მიღება.[30] კონსტიტუციამ მათ საშუალება მისცა გამოცდილება მიეღოთ არა მხოლოდ სახელმწიფოს მმართველობაში, არამედ გაზრდილ პოლიტიკურ მონაწილეობასა და უფრო გამჭვირვალე პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაში. პოლიტიკური სისტემის ეს მახასიათებლები კი თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუციების მსგავსია. დამოუკიდებლობის წლების დათვლას ვწყვეტთ მას შემდეგ, რაც ქვეყანა გაწევრიანდება საბჭოთა კავშირში, ან დანერგავს საბჭოთა ტიპის ინსტიტუტებს.[31]

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ასევე მცირე გაერთიანებების არსებობა. მაგალითად, ხორვატია, მაკედონია და სლოვენია იუგოსლავიის ნაწილები იყვნენ; სლოვაკეთი და ჩეხეთი ჩეხოსლოვაკიას შეადგენდნენ. ეს გაერთიანებები არსებობდა მთლიანი საბჭოთა პერიოდის მანძილზე. ჩვენი ინსტიტუციური გამოცდილების ძირითადი საზომის აგებისას, ვითვლით იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის წლების რაოდენობას და ყველა წევრ ქვეყანას ვანიჭებთ ინსტიტუციური გამოცდილების ერთსა და იმავე

---

[29] დეტალური კალკულაციებისთვის იხილეთ ნაშრომის დანართი.

[30] ეს წესი შემზღუდველია ჩვენი შერჩევის მხოლოდ ორი ქვეყნისთვის: სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1918 წელს, მაგრამ ვერ შეძლეს კონსტიტუციების მიღება დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, 1920 წლამდე. თუმცა, ეს გავლენას არ ახდენს შემდგომი ემპირიული ანალიზის შედეგებზე.

[31] პრაქტიკაში ეს ნიშნავდა, რომ კომუნისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ტარდებოდა ერთპარტიული არჩევნები, სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა წარმოების საშუალებები, დარეგულირდა ფასები და შემოიღეს 5-წლიანი გეგმები. ჩვენი ინდექსის დასრულების წელი თანხვედრაშია ბეკისა და ლევინის (Beck and Laeven 2006) მიერ გამოყენებული სოციალისტურ სისტემაში გატარებული წლების რაოდენობის საზომის დაწყების წელთან.

დონეს. ალტერნატიულად, ჩვენ ასევე შევადგინეთ საზომი, სადაც ამ გაერთიანების წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობის წლები გამოითვლება გაერთიანების დამოუკიდებლობის წლების მათი მოსახლეობის წილის პროპორციული გადანაწილებით.[32] საზომი ეფუძნება კონგრესის ბიბლიოთეკის ფედერალური კვლევის განყოფილების მიერ მომზადებულ ქვეყნების კვლევის სერიებს (Country Studies Series by Federal Research Division of the Library of Congress).[33]

ინდექსის აგების საილუსტრაციოდ განვიხილოთ რუმინეთის შემთხვევა, სადაც ინსტიტუციური გამოცდილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. რუმინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1878 წელს ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, რასაც 1880 წელს მოჰყვა ევროპული ძალების მხრიდან მისი დამოუკიდებლობის აღიარება. დამოუკიდებლობა გაგრძელდა მანამ, სანამ წითელმა არმიამ 1944 წლის აგვისტოში ბუქარესტი დაიპყრო. ამის შემდეგ, საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ამოქმედდა, მოხდა წარმოების და რესურსების ნაციონალიზაცია, შეიქმნა სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტი და ჩატარდა ერთპარტიული არჩევნები. შესაბამისად, 1900-დან 1944 წლამდე ქვეყანა ითვლება დამოუკიდებელ არასაბჭოთა სახელმწიფოდ, ხოლო შემდეგ უკვე განხილულია როგორც საბჭოთა სისტემის ნაწილი.

ალბანეთის შემთხვევაც ასევე საინტერესოა. ქვეყანას ჰქონდა ხანმოკლე დამოუკიდებლობის პერიოდი 1912-დან 1914 წლამდე და შემდეგ 1918-დან 1939 წლამდე, სანამ იტალიურმა ძალებმა დაიპყრეს მისი ტერიტორიები. 1944 წელს ალბანელებმა საკუთარ ტერიტორიებზე კონტროლი აღადგინეს, მაგრამ კომუნისტი

---

[32] ჩეხეთისა და სლოვაკეთის წილებია შესაბამისად 0,63 და 0,31. ხორვატიის, სლოვენიის და მაკედონიის წილები, შესაბამისად, 0,2, 0,08 და 0,06 შეადგენს. შეწონვის წესის გამოყენებისას, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გაერთიანების უფრო მრავალრიცხოვანი ერები უფრო მეტ ცოდნას და გამოცდილებას იღებენ თვითმმართველობის შესახებ, ვიდრე პატარა ერები. ეს ვარაუდი ემყარება მოსაზრებას, რომ გაერთიანებაში გაბატონებულნი იყვნენ შედარებით დიდი ერები, მაგალითად, სერბეთი იუგოსლავიაში და ჩეხეთი ჩეხოსლოვაკიაში. გარდა ამისა, დედაქალაქებიც ამ ქვეყნებში იყო განლაგებული და ამ ერების წარმომადგენლებს უფრო მეტი თანამდებობა ეკავათ სახელმწიფო სამსახურებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ უფრო მეტი გამოცდილება მიიღეს დამოუკიდებელი ქვეყნის მართვაში და ინსტიტუციების მშენებლობაში, ვიდრე შედარებით მცირე ერებმა. რეგრესიულ ანალიზში ამ მაჩვენებლის გამოყენება შედეგებზე არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

[33] ერთადერთი გამონაკლისი არის უკრაინა, რომლისთვისაც ინფორმაცია აღებულია ენციკლოპედია ბრიტანიკიდან.

ლიდერის, ენვერ ხოჯას (Enver Hoxha) ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით, ახალმა ლიდერმა სწრაფად ჩამოაყალიბა ერთპარტიული სისტემის კომუნისტური მმართველობა. ასევე მოხდა საწარმოო რესურსების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და ცენტრალური დაგეგმვის სისტემაზე გადასვლა. შედეგად, ალბანეთს ენიჭება დამოუკიდებლობის 23 წელი, 2 წელი 1912-დან 1914 წლამდე და 21 წელი 1918–დან 1939 წლამდე.

აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის შემთხვევაც. ერთი შეხედვით, რუსეთი იყო მონარქია, რომელსაც მეფე მართავდა, მაგრამ ქვეყანამ მეოცე საუკუნის დასაწყისში განიცადა საინტერესო ინსტიტუციური გარდაქმნები. 1905 წლის იანვარში სისხლიანი კვირის (წითელი კვირა) გამო მომხდარი რევოლუციის შემდეგ მეფე ნიკოლოზი იძულებული გახდა გამოეცა ე.წ. ოქტომბრის მანიფესტი, რითიც რუსეთს კონსტიტუცია მისცა. კონსტიტუციაში აღწერილი იყო ყველა მოქალაქის ძირითად უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის დუმის (პარლამენტის) და მეფის წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა კაბინეტის არჩევნების უფლება. დუმის პირველი არჩევნები ჩატარდა 1906 წელს. 1917 წელს, ბოლშევიკებმა აიღეს ხელისუფლება და შექმნეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. შედეგად წყდება დამოუკიდებლობის წლების დათვლა.

შედარებით მოკლე დამოუკიდებლობის ისტორიის მიუხედავად, საქართველომაც განიცადა საინტერესო ინსტიტუციური განვითარება. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წელს. 1921 წელს კი რუსეთის წითელმა არმიამ მოახდინა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია. შესაბამისად, ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდი დაახლოებით სამ წელს ითვლის. თუმცა, 1919 წლის თებერვალში, დამოუკიდებლობის მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ, ქვეყანამ აირჩია პარალმენტი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 15 სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ. მათგან რვა პარტია შევიდა პარლამენტში. პარლამენტმა მოახერხა კონსტიტუციის მიღება 1921 წელს, წითელი არმიის მიერ ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ძირითადად ინსტიტუციურ გამოცდილებას იძენდნენ დროის მოკლე მონაკვეთში პირველ მსოფლიო ომამდე და ორ მსოფლიო ომს შორის. ჩვენს შერჩევაში ასევე ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელთაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე არ გააჩნდათ ისტორიული ინსტიტუციური გამოცდილება. მაგალითად,

ბელორუსის ინსტიტუციური გამოცდილების მაჩვენებელი ნულია. ამის მიზეზია ის, რომ 1772 წელს რუსეთის იმპერიამ ბელორუსის აღმოსავლეთ ნაწილი დაიპყრო და 1795 წელს კონტროლი მოიპოვა ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე. მოგვიანებით, 1919 წელს, შეიქმნა ბელორუსის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამის შემდეგ რუსეთმა მას თანდათან გადასცა ტერიტორიები. ქვეყანა საბჭოთა კავშირში დარჩა მის დაშლამდე. ისტორიის მსგავს განვითარებას იზიარებენ უკრაინა და შუა აზიის ქვეყნები. მეფის დროს რუსეთის იმპერიამ დაიპყრო მათი ტერიტორიები და მოგვიანებით ისინი საბჭოთა სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ.

ინსტიტუციების ხარისხის საზომად, წინა ორი თავის მსგავსად, აქაც ვიყენებთ კაუფმანის, კრაისა და მასტრუცის (Kaufmann, Kraay, and Mastruzzi 2010) მიერ შემუშავებულ მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებს (WGI), იგი შედგება ექვსი ინდიკატორისგან, რომელიც ასახავს მთავრობის აღქმის სხვადასხვა განზომილებას: (1) მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა; (2) პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა; (3) მთავრობის ეფექტურობა; (4) რეგულირების ხარისხი; (5) კანონის უზენაესობა; და (6) კორუფციის კონტროლი. ეს მაჩვენებლები იღებენ მნიშვნელობას -2.5-დან 2.5-მდე. ინსტიტუციების საერთო ხარისხის გასაზომად, წინა შემთხვევების მსგავსად, ვაგებთ ამ ექვსი ინდიკატორის არითმეტიკულ საშუალო მაჩვენებელს. გარდა ამისა, ეს ექვსი ინდიკატორი დაჯგუფებულია სამ კატეგორიად: პოლიტიკური ინსტიტუციები (1 და 2); ადმინისტრაციული ინსტიტუციები (3 და 4); და სამართლებრივი ინსტიტუციები (5 და 6). თითოეული კატეგორიისთვის ვიყენებთ შესაბამისი ორი ინდექსის საშუალოს.

გარდამავალ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობის სტატუსის ემპირიულ ანალიზში გამოყენების მიზნით ჩვენ შევქმენით ფიქტიური ცვლადი, რომელიც იღებს მნიშვნელობა 1-ს თუ ქვეყანა არის ევროკავშირის წევრი და 0-ს წინააღმდეგ შემთხვევაში. გარდა ამისა, გაწევრიანებამდე არსებული პოტენციური წევრობის ეფექტების გასათვალისწინებლად, ჩვენ ვაგებთ მეორე ფიქტიურ ცვლადს, რომლის მნიშვნელობაც ხდება 1, როდესაც ქვეყანა ოფიციალურად არის ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი. ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულების საზომად ვიყენებთ ნავთობის, მადნებისა და სხვა ლითონის ექსპორტის წილს მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში. ცვლადი აგებულია

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემთა ბაზაში მოცემული დეტალური საექსპორტო სტატისტიკის საფუძველზე. გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე არსებული ეკონომიკური პირობების ასახვის მიზნით, ვიყენებთ რეალურ მთლიან სამამულო პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე. ეკონომიკური განვითარების საზომად ემპირიულ ანალიზში ასევე გამოვიყენებთ რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის საშუალო ტემპს და სავაჭრო გახსნილობას, რომელიც იზომება როგორც სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში. მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორების ბაზიდან. რეგრესიებში ასევე გამოყენებულია გეოგრაფიული ფაქტორების მაკონტროლებელი ცვლადები, კერძოდ, მანძილი ეკვატორიდან, ზღვაში გასასვლელის ამსახველი ფიქტიური ცვლადი და მანძილი ვენამდე. მონაცემთა წყაროებია ლა პორტა და სხვები (la Porta et al. 1999), დაზვერვის ცენტრალური სააგენტო (CIA World Factbook)[34], და მაიერი და ზიგნაგო (Mayer Soledad Zignago 2011), შესაბამისად. საზოგადოების სხვადასხვა ნიშნოთ დაყოფის კონტროლის მიზნით, ანალიზში ასევე ვიყენებთ ეთნიკური და ენობრივი დაყოფის საზომებს, რომელიც აღებულია ალესინა და სხვების (Alesina et al. 2003) ნაშრომიდან. დაბოლოს, ჩვენ ასევე ვიყენებთ სახელმწიფო ანტიკურობის ინდექსს, რომ დავაკვირდეთ, რა შედეგებს გვაძლევს ის ჩვენს მოდელში.

ცხრილი 3. 1-ში მოცემულია მონაცემთა შემაჯამებელი სტატისტიკა, საიდანაც ნათლად ვხედავთ ქვეყნების ინსტიტუციურ ხარისხებს შორის განსხვავებებს. თურქმენეთში საშუალო ინსტიტუციური ხარისხი არის -1.432; ამის საპირისპიროდ, ესტონეთის საშუალო ქულა იყო 1.196. დიდი განსხვავებები შეინიშნება ასევე ბუნებრივი რესურსების ექსპორტთან დაკავშირებით. საშუალოდ თურქმენეთმა რესურსების ექსპორტით გამოიმუშავა მთლიან სამამულო პროდუქტის 43%, ხოლო მოლდოვას შემთხვევაში რესურსების ექსპორტმა მთლიან სამამულო პროდუქტის მხოლოდ 1% შეადგინა. ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია ევროკავშირთან ოფიციალური სტატუსის მიმართულებით. ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვაკეთი და სლოვენია ევროკავშირის და ასევე ევროზონის წევრები გახდნენ. ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და ხორვატია კი

[34] https://www.cia.gov/the-world-factbook/

ევროკავშირში გაწევრიანდნენ. ალბანეთმა და მაკედონიამ ხელი მოაწერეს გაწევრიანების ხელშეკრულებას ან განიხილებიან პოტენციურ კანდიდატებად. ინსტიტუციური გამოცდილების საზომი ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება შერჩევის ქვეყნებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე ქვეყანას საერთოდ არ ჰქონდა გამოცდილება ქვეყნის დამოუკიდებლად მართვაში, რუმინეთმა და ბულგარეთმა კი ამ პერიოდში, შესაბამისად, 44 და 36 წლიანი ინსტიტუციური გამოცდილება დააგროვეს.

*ცხრილი 3. 1: ემპირიულ ანალიზში გამოყენებული ცვლადების შემაჯამებელი სტატისტიკა*[35]

| ქვეყანა | ინსტიტუციები | ინსტიტუციური გამოცდილება | წიაღისეულის ექსპორტი | ევროკავშირთან სტატუსი |
|---|---|---|---|---|
| ალბანეთი | -0.004 | 23 | 2.3 | კანდიდატი |
| სომხეთი | -0.305 | 0 | 4 | არა |
| აზერბაიჯანი | -0.694 | 0 | 35.3 | არა |
| ბელარუსია | -0.599 | 0 | 14.1 | არა |
| ბულგარეთი | 0.201 | 36 | 10.4 | წევრი |
| ხორვატია | 0.443 | 23 | 3 | წევრი |
| ჩეხეთი | 0.936 | 21 | 3 | წევრი |
| ესტონეთი | 1.196 | 22 | 7.6 | წევრი |
| საქართველო | 0.428 | 3 | 2.6 | არა |
| უნგრეთი | 0.439 | 25 | 2.7 | წევრი |
| ყაზახეთი | -0.436 | 0 | 29.7 | არა |
| ყირგიზეთი | -0.737 | 0 | 5.6 | არა |
| ლატვია | 0.800 | 22 | 2.6 | წევრი |
| ლიეტუვა | 0.965 | 22 | 10.6 | წევრი |
| მაკედონია | -0.102 | 23 | 3.5 | კანდიდატი |
| მოლდოვა | -0.416 | 0 | 1 | არა |
| პოლონეთი | 0.729 | 21 | 2.5 | წევრი |
| რუმინეთი | 0.263 | 44 | 3 | წევრი |
| რუსეთი | -0.718 | 17 | 18.1 | არა |
| სლოვაკეთი | 0.725 | 21 | 4.7 | წევრი |

[35] GDP-ს ზრდა აღნიშნავს მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპს ერთ სულ მოსახლეზე შერჩევის პერიოდში. საშუალო WGI აღნიშნავს WGI–ს საშუალო ქულას 2016 წელს. ნედლი ექსპორტი აღნიშნავს მადნის, ლითონისა და საწვავის ექსპორტის საშუალო წილს მშპ–ში, შერჩევის პერიოდის განმავლობაში. ინსტიტუციური გამოცდილება აღნიშნავს თითოეული ქვეყნისთვის მინიჭებული ინსტიტუციური გამოცდილების მაჩვენებელს. ევროკავშირის სტატუსი მიუთითებს 2016 წელს ევროკავშირთან ურთიერთობის ოფიციალურ სტატუსზე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 0.946 | 23 | 3.8 | წევრი |
| ტაჯიკეთი | -1.148 | 0 | 22.3 | არა |
| თურქმენეთი | -1.432 | 0 | 43 | არა |
| უკრაინა | -0.740 | 0 | 5.8 | არა |
| უზბეკეთი | -1.105 | 0 | 6.2 | არა |
| საშუალო | -0.015 | 14 | 9.9 | |
| სტანდარტული გადახრა | 0.749 | 12.9 | 11.1 | |

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ შეიმჩნევა კლასტერიზაცია რამდენიმე მიმართულებით. მაგალითად, აზიასა და ევროპაში მდებარე ქვეყნებს შორის არის გეოგრაფიული დაყოფა. ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს შორის არის ისტორიული დაყოფა. ასევე შესამჩნევი სხვაობაა რესურსებით მდიდარ და რესურსებით ღარიბ ქვეყნებს შორის. ეს განსხვავებები ცალსახად მნიშვნელოვანია ქვეყნების განვითარებისთვის და შესაძლოა გარკვეულწილად ახსნას ეკონომიკურ და ინსტიტუციურ შედეგებს შორის დაფიქსირებული განსხვავებებიც. ასევე სავარაუდოა, რომ ეს განზომილებები კორელაციაშია ქვეყნისთვის სპეციფიკურ დაუკვირვებად მახასიათებლებთან, რომლებმაც ასევე ხელი შეუწყვეს ქვეყნების განვითარებას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მაგალითად, ევროკავშირის საზღვართან ახლოს მდებარე ქვეყნები უფრო სწრაფად გახდნენ მისი წევრები, მაგრამ ეს გეოგრაფიული სიახლოვის შედეგია თუ გეოგრაფიასთან კორელაციური სხვა ფაქტორების, ძნელი სათქმელია. ეს საკითხი პრობლემატურია ჯვარედინი მონაცემთა ანალიზისთვის. რადგან გვაქვს შერჩევის მცირე ზომა და ყველა ფაქტორის ერთდროულად გაკონტროლებას ვერ მოვახერხებთ. ამის მიუხედავად, შემდეგ პარაგრაფში წარმოდგენილი იქნება ჯვარედინი მონაცემების ანალიზის შედეგები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის, რათა დავადგინოთ საბაზისო კავშირი ინსტიტუციებსა და ზემოთ ჩამოთვლილ პოტენციურ დეტერმინანტებს შორის. შემდეგ გადავალთ პანელური მონაცემების გამოკვლევაზე, რაც საშუალებას მოგვცემს რეგრესიულ მოდელებში გამოვიყენოთ დროში დაფიქსირებული ვარიაცია და მოდელში ჩავრთოთ მეტი ამხსნელი ცვლადები.

## 3.3 ინსტიტუციების განმსაზღვრელი ფაქტორები: ჯვარედინი მონაცემების ანალიზი

სანამ მთავარ მოდელამდე მივალთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ ურთიერთკავშირი ინსტიტუციური ხარისხის სხვადასხვა საზომსა და ზემოჩამოთვლილ ამხსნელ ცვლადებს შორის ჯვარედინი მონაცემების ჭრილში. კერძოდ, გავაანალიზოთ ზემოთ მოყვანილი ძირითადი ამხსნელი ცვლადებისა და ინსტიტუციური ხარისხის კორელაციური მატრიცა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილი 3. 2-ში. ევროკავშირში გაწევრიანებას აქვს მაღალი დადებითი კორელაცია, 0,77-დან 0,87-მდე, ინსტიტუციური ხარისხის ყველა მაჩვენებელთან. ასევე ვაკვირდებით დადებით კორელაციას (0,69) ინსტიტუციურ გამოცდილებას და საშუალო ინსტიტუციურ ხარისხს შორის. გარდა ამისა, ვხედავთ, რომ ინსტიტუციური გამოცდილებასა და 1996 წელის საშუალო ინსტიტუციურ ხარისხს შორის არის საკმაოდ ძლიერი დადებით კორელაცია (0,64). კიდევ უფრო მკაფიოა კორელაცია ინსტიტუციურ გამოცდილებასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის, 0,73. ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ადმინისტრაციულ და იურიდიულ ინსტიტუციებს შორის კორელაცია არის შესაბამისად 0,65 და 0,64. ამრიგად, უპირობო კორელაციები მიანიშნებს იმაზე, რომ ინსტიტუციურ გამოცდილებასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის კავშირურთიერთობა მკვეთრად არის გამოხატული. ინსტიტუციური გამოცდილება ასევე აჩვენებს მაღალ დადებით კორელაციას ევროკავშირში გაწევრიანებასთან მიმართებაში (0,79). გარკვეულწილად, ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ევროკავშირში გაწევრიანება უფრო მეტად მოსალოდნელი იყო იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც მეტი ინსტიტუციური გამოცდილება ჰქონდათ. როგორც ვხედავთ, ინსტიტუციური ხარისხის ყველა საზომი ერთმანეთთან მაღალ პოზიტიურ კორელაციაში იმყოფება. უფრო მეტიც, კორელაციის მატრიცის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციების ხარისხს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირია.

*ცხრილი 3. 2: კორელაციის მატრიცა*[36]

| | ინსტი. | ინსტიტ. 1996 | პოლიტ. | ადმინ. | ლეგალ. | ინსტ. გამოცდ. | ევროკ. წევრი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინსტიტ. | 1 | | | | | | |
| ინსტიტ. 1996 | 0.860*** | 1 | | | | | |
| პოლიტ. | 0.963*** | 0.890*** | 1 | | | | |
| ადმინ. | 0.976*** | 0.795*** | 0.893*** | 1 | | | |
| ლეგალ. | 0.985*** | 0.829*** | 0.921*** | 0.960*** | 1 | | |
| ინსტ. გამოცდ. | 0.691*** | 0.640*** | 0.732*** | 0.651*** | 0.636*** | 1 | |
| ევროკ. წევრი | 0.840*** | 0.851*** | 0.765*** | 0.765*** | 0.817*** | 0.789*** | 1 |

ამ ყველაფრის მიუხედავად ცხრილ 3.2-ის შედეგები ფრთხილად უნდა განიმარტოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი შერჩევის ქვეყნებში რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით ადგილი აქვს კლასტერიზაციას. ეს გარემოება ჰქმნის იმის აუცილებლობას, რომ ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციურ ხარისხს შორის შესაძლო კავშირის გამოსაკვლევად, კორელაციურ მატრიცასთან ერთად ავაგოთ ჯვარედინი მონაცემების რეგრესია, რათა გავაკონტროლოთ პოტენციურად თანმხვედრი ფაქტორები.

დაკვირვებათა მცირე რიცხვის გამო რეგრესიული მოდელს ავაგებთ მაქსიმუმ ორი საკონტროლო ცვლადის გამოყენებით. მოცემულ სიტუაციაში გვაქვს რეგრესის შემდეგი სპეციფიკაცია:

$$Y_i = \beta_0 + \beta_1 X_i + \beta_2 Z_{1,i} + \beta_3 Z_{2,i} + \varepsilon_i$$

სადაც $Y_i$ აღნიშნავს ინსტიტუციების ხარისხის მაჩვენებელს, $X_i$ – საკვლევ ცვლადს, $Z_{1,i}$ და $Z_{2,i}$ აღნიშნავენ საკონტროლო ცვლადებს, ხოლო $\varepsilon_i$ შეცდომების წევრია. ამ უკანასკნელში ასახვას პოულობს $Y_i$ -ზე მოქმედი სხვა შემთხვევითი გარემოებები,

[36] ინსტ. - 2018 წლის მსოფლიო მმართველობის ექვსი ინდიკატორის საშუალო. ინსტიტ. 1996 - არის იმავე მაჩვენებლების საშუალო 1996 წელს. პოლიტ. - წარმოადგენს 2018 წლის მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობისა და პოლიტიკური სტაბილურობის ინდექსების საშუალო მაჩვენებელს. ადმინ. -არის მთავრობის ეფექტურობისა და რეგულირების ხარისხის საშუალო მაჩვენებელს 2018 წელს; ხოლო ლეგალ. - წარმოადგენს კანონის უზენაესობისა და კორუფციის კონტროლის ინდექსების საშუალო მაჩვენებელს. ინსტ. გამოცდ. - წარმოადგენს ინსტიტუციური გამოცდილების საზომს; ევროკ. წევრი - წარმოადგენს ევროკავშირის წევრობის სტატუსს.

რომლებსაც მოდელში ცხადად წარმოდგენილი ამხსნელი ფაქტორები არ ითვალის-წინებენ. მოდელის ყველა ვარიანტის შეფასებისას ვიყენებთ სტანდარტულ გადახრას (bootstrapping) 200 რეპლიკაციით.

ცხრილი 3. 3 გვიჩვენებს ჯვარედინი რეგრესიის შედეგებს. პირველ სვეტში, ჩვენ ვაკონტროლებთ ქვეყნის სავაჭრო გახსნილობას და საწყის ეკონომიკურ განვითარებას. ამ ეკონომიკური ფაქტორების გაკონტროლებისას, ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციურ განვითარებას შორის ურთიერთკავშირი პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე. საწყისი მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე და პოზიტიურად ზემოქმედებს ინსტიტუციურ განვითარებაზე. მეორე სვეტში მოცემულ რეგრესიაში, ჩვენ გამოვიყენეთ მანძილი ეკვატორიდან (absolute latitude) და ფიქტიური ცვლადი, რომელიც ასახავს აქვს თუ არა ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი. რეგრესიულ ანალიზში ორივე ფაქტორი ხშირად გამოიყენება გეოგრაფიული ფაქტორების გასაკონტროლებელ ცვლადებად. ამ სპეციფიკაციაში ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციების განვითარებას შორის კავშირი კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. გეოგრაფიული ფაქტორების ცვლადები არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მესამე სვეტი გვიჩვენებს რეგრესიის შედეგებს, სადაც გამოყენებულია ეთნიკური და ენობრივი დაყოფა, როგორც დამატებითი საკონტროლო ცვლადები. ხშირად ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოების დაყოფის დონემ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ინსტიტუციურ განვითარებაში. მაგრამ ცხრილ 3.3-ში წარმოდგენილი შედეგების მიხედვით არცერთი ფაქტორი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. სამაგიეროდ ინსტიტუციური გამოცდილება სტატისტიკურად მნიშვნელოვნ დამოკიდებულებაშია ინსტიტუციების ხარისხთან. ამ შედეგებმა გვიჩვენა, რომ ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციურ ხარისხს შორის კავშირი სტატისტიკურად ძლიერი რჩება, როცა ცალ-ცალკე ვაკონტროლებთ ეკონომიკურ, გეოგრაფიულ ან სოციალურ ფაქტორებს.

*ცხრილი 3. 3: ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები*[37]

| ცვლადები | (1) ინსტ. | (2) ინსტ. | (3) ინსტ. | (4) ინსტ. | (5) ინსტ. | (6) ინსტ. | (7) ინსტ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინსტ. გამოც. | 0.0246** | 0.0324*** | 0.0435*** | 0.0202* | 0.0400*** | 0.0330*** | 0.0564** |
| | (0.010) | (0.009) | (0.011) | (0.012) | (0.013) | (0.011) | (0.025) |
| საწყისი GDP | 0.384*** | | | | | | |
| | (0.145) | | | | | | |
| ვაჭრობა | 0.00489 | | | | | | |
| | (0.004) | | | | | | |
| მანძილი ეკვატ. | | 2.769 | | | | 3.414 | |
| | | (2.194) | | | | (2.377) | |
| ჩაკეტილი | | -0.181 | | | | | |
| | | (0.257) | | | | | |
| ეთნიკური | | | -1.264 | | -0.0385 | | |
| | | | (1.814) | | (0.756) | | |
| ენობრივი | | | 1.194 | | | -0.183 | |
| | | | (1.713) | | | (0.546) | |
| რესურსები | | | | -0.0158 | | | |
| | | | | (0.011) | | | |
| მანძ. ვენამდე | | | | -0.184* | | | |
| | | | | (0.104) | | | |
| GDP-ს ზრდა | | | | | 0.903 | | |
| | | | | | (8.821) | | |
| სახ. სიმველე | | | | | | | -0.0164 |
| | | | | | | | (0.026) |
| კავშ. წევრი | | | | | | | 0.331 |
| | | | | | | | (0.508) |
| მუდმივი | -4.061*** | -1.805 | -0.553* | 0.161 | -0.594 | -2.187** | -0.467 |
| | (1.135) | (1.190) | (0.307) | (0.312) | (0.713) | (1.066) | (0.808) |

[37] ინსტ. - აღნიშნავს მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების ექვსივე კომპონენტის საშუალო მაჩვენებელს; ინსტ. გამოც. - აღნიშნავს ინსტიტუციურ გამოცდილებას, რომელიც იზომება დამოუკიდებლობის წლების რაოდენობით; საწყისი GDP - არის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ბუნებრივი ლოგარითმი საწყის პერიოდში; ვაჭრობა - ზომავს ექსპორტისა და იმპორტის საშუალო წილს მთლიან სამამულო პროდუქტში; მანძილი ეკვატ. - აღნიშნავს მანძილს ეკვატორიდან; ჩაკეტილი - ასახავს აქვს თუ არა ქვეყანას ზღვაზე გასასვლელი; ეთნიკური და ენობრივი - შესაბამისად ეთნიკური და ენობრივი დაყოფის დონის ამსახველი ცვლადებია; რესურსები - აღნიშნავს რესურსებზე დამოკიდებულების მაჩვენებელს, რომელიც იზომება როგორც მადნეულის, ლითონებისა და საწვავის ექსპორტის საშუალო წილი მთლიან სამამულო პროდუქტში; მანძ. ვენამდე - არის ევკლიდური მანძილი ქვეყნების დედაქალაქებიდან ვენამდე 1000 კილომეტრში; GDP -ს ზრდა - აღნიშნავს მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო ზრდის ტემპს ერთ სულ მოსახლეზე შერჩევის პერიოდში; სახ. სიმველე - აღნიშნავს სახელმწიფოს ანტიკურობის ინდექსს; კავშ. წევრი - არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც ასახავს იყო თუ არა ქვეყანა საბჭოთა კავშირის წევრი.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაკვირვებ. რიცხვი | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმ. კოეფიც. | 0.563 | 0.509 | 0.417 | 0.571 | 0.403 | 0.5 | 0.445 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

მეოთხე სვეტში ვაკონტროლებთ გეოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების კომბინაციას. კერძოდ, გვინდა ვნახოთ არის თუ არა ინსტიტუციური გამოცდილების ეფექტი დამოკიდებული ბუნებრივი რესურსების გაკონტროლებაზე და ევროკავშირთან არსებულ დისტანციაზე, რომლის გასაზომადაც ვიყენებთ მანძილს ქვეყნის დედაქალაქსა და ვენას შორის. ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციების ხარისხს შორის კავშირი რჩება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 10%-იან დონეზე, მაგრამ, წინა შედეგებთან შედარებით, კოეფიციენტი მცირდება.[38] მეხუთე სვეტში საკონტროლებელ ცვლადებად ვიყენებთ ეთნიკური დაყოფას და რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდას, ხოლო მეექვსე სვეტში – ეკვადორიდან მანძილს და ენობრივი დაყოფას. როგორც ცხრილიდან ჩანს, ინსტიტუციურ გამოცდილებასა და ინსტიტუციურ ხარისხს შორის კავშირი მყარია ფაქტორების ორივე კომბინაციისთვის. დაბოლოს, იმისათვის, რომ ხაზი გაესვას შემოთავაზებულ ინსტიტუციური გამოცდილების საზომსა და სახელმწიფოს სიძველის ინდექსს შორის განსხვავებებს, მეშვიდე სვეტი გვიჩვენებს რეგრესიის შედეგებს, როდესაც ორივე ცვლადი ერთდროულადაა გამოყენებული. გარდა ამისა, მე-7 სვეტში დამატებით ვიყენებთ ფიქტიურ ცვლადს, რომელიც ასახავს ქვეყნის საბჭოთა კავშირის წევრობას. შედეგად ვხედავთ, რომ ინსტიტუციური გამოცდილების საზომი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ხოლო სახელმწიფოს სიძველის ინდექსი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ეს შედეგი სავარაუდოდ გამომდინარეობს საზომებს შორის არსებული კონცეპტუალური განსხვავებიდან. სახელმწიფოს სიძველის ინდექსში გაითვალისწინება ქვეყნების გამოცდილება სახელმწიფო

[38] გაითვალისწინეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რესურსებზე დამოკიდებულება არ აჩვენებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან ურთიერთკავშირს ინსტიტუციურ ხარისხთან ამ სპეციფიკაციაში, მას აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა საშუალო ინსტიტუციურ ხარისხთან, როდესაც იგი იზოლირებულად ან სხვა საკონტროლო ცვლადებთან ერთადაა ჩართული მოდელში.

ადმინისტრირების მიმართულებით საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, ხოლო ინსტიტუციური გამოცდილების საზომი არ ითვალისწინებს ამ გამოცდილებას.

მთლიანობაში ჯვარედინი ანალიზი გვაჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკებში ინსტიტუციური გამოცდილება ინსტიტუციურ ხარისხის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო როგორც გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ასევე მომდევნო პერიოდებში. გარდა ამისა, ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუციურ გამოცდილებას უფრო ძლიერი კავშირი აქვს პოლიტიკურ ინსტიტუციებთან, ვიდრე ინსტიტუციური ხარისხის სხვა განზომილებებთან.[39] აღსანიშნავია, რომ ჯვარედინ ანალიზში გამოყენებული დამატებითი ცვლადების უმეტესობას ინსტიტუციების ხარისხისთვის არ წარმოადგენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან დეტერმინანტს. თუმცა, მათ შორის მნიშვნელოვანი გამონაკლისებია რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი საწყის ეტაპზე და მანძილი ვენამდე. დაფიქსირებული სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური კავშირი საწყის ეტაპზე რეალურ მთლიან სამამულო პროდუქტსა და ინსტიტუციების ხარისხს შორის მიუთითებს საწყისი ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვან როლზე ინსტიტუციური განვითარების კონტექსტში. ხოლო უარყოფითი დამოკიდებულება ვენასთან მანძილსა და ინსტიტუციების ხარისხს შორის დასავლეთ ევროპასთან გეოგრაფიული სიახლოვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

---

[39] ამ ფენომენის უფრო დეტალურად გამოსაკვლევად ცხრილ 3.3 ში მოცემული სპეციფიკაციების მსგავსი რეგრესიები ასევე ავაგეთ პოლიტიკური ადმინისტრაციული და სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხისთვის. შედგები თანხვედრაშია ცხრილ 3.3-ში მოცემულ შედეგებთან. შესაბამისი რეგრესიის ცხრილები წარმოდგენილია დანართში (იხ. ცხრილი A. 9ცხრილი A. 10ცხრილი A. 11).

## 3.4 ინსტიტუციების განმსაზღვრელი ფაქტორები: პანელური მონაცემების ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ჯვარედინი მონაცემების ანალიზმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოავლინა, მას აქვს რამდენიმე პოტენციური ლიმიტაცია. მონაცემთა პერსპექტივიდან, ჯვარედინი მიდგომა არ იყენებს ყველა არსებულ ინფორმაციას. დღევანდელ კონტექსტში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ინსტიტუციების ხარისხი არ ვითარდება მონოტონურად. როგორც შიონფელდერისა და ვაგნერის მიერ დასტურდება (Schönfelder and Wagner 2016), ინსტიტუციური განვითარება ხასიათდება უკან დახევებით. მაგალითად, კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი გაუარესდა მას შემდეგ, რაც ქვეყნები ევროკავშირის წევრები გახდნენ. ამიტომ, მხოლოდ ზოგად ტენდენციაზე დაკვირვებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ჯვარედინი მიდგომის კიდევ ერთი პრობლემა ქვეყნის სპეციფიკური მახასიათებლების გამოტოვებაა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქვეყნების კლასტერიზაცია რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ჯვარედინი ანალიზის დროს ვცდილობთ ამის გათვალისწინებას და ინსტიტუციურ განვითარებაზე ზემოქმედი გარკვეული ფაქტორების ასახვას, შესაძლოა არსებობდეს დამატებითი ცვლადები, რომელთა კონტროლიც არ შეგვიძლია. პანელური მონაცემები ასეთი პრობლემების აღმოფხვრის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ამიტომ ინსტიტუციურ განვითარებაზე გავლენის მქონე ფაქტორების უფრო დეტალური სურათის შესაქმნელად და გამოტოვებული ცვლადების გაკონტროლების მიზნით დამატებით შევაფასეთ პანელური რეგრესიის მოდელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ პანელური მონაცემების ფორმირებისას განსახილველი დროითი პერიოდი გავყავით 5-წლიან ინტერვალებად,[40] რათა თავიდან აგვეცილებინა ის დამატებითი სირთულეები, რომლებიც ზოგადად დამახასიათებელია ყოველწლიური მონაცემებისთვის – მხედველობაში გვაქვს ბიზნესის ციკლებთან დაკავშირებული

---

[40] ეს მიდგომა გავრცელებულია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ლიტერატურაში (იხილეთ, მაგალითად, ისლამი (Islam and Montenegro 2002). შედეგების მდგრადობის შესამოწმებლად, დამატებით ჩავატარეთ რეგრესიული ანალიზი წლიური მონაცემების გამოყენებით; ძირითადი შედეგები უცვლელად დარჩა. შესაბამისი რეგრესია წარმოდგენილია დანართში (იხ.
ცხრილი A. 12).

შესაძლო რყევები. ასე რომ ქვემოთ მოყვანილ ანალიზში ვიყენებთ ცვლადების უმეტესი ნაწილის 5-წლიან საშუალო მაჩვენებლებს.

პანელური რეგრესიის მოდელის შეფასების მნიშვნელოვანი ასპექტია შეფასების მეთოდის შერჩევა. ერთერთი ცნობილი მეთოდი – ფიქსირებული ეფექტებით შეფასება – პანელურ რეგრესიებში საშუალებას იძლევა გავაკონტროლოთ ქვეყნის დროში უცვლელი სპეციფიკური მახასიათებლები; თუმცა ფიქსირებული ეფექტებით შეფასება შეუძლებელს ხდის დროში უცვლელი ცვლადების (როგორიცაა მაგალითად, ინსტიტუციური გამოცდილება) გამოყენებით შეფასდეს პანელური რეგრესიის კოეფიციენტები. ალტერნატივაა ჰაუსმანისა და ტეილორის (Hausman and Taylor 1981) მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია, რომელიც შესაძლებელს ხდის ქვეყნის სპეციფიკური მახასიათებლების კონტროლს და, ამავდროულად, უზრუნველყოფს დროში უცვლელი რეგრესორების კოეფიციენტების შეფასებას. გარდა ამისა, მისი დამატებითი უპირატესობაა, რომ შეუძლია გადაჭრას შებრუნებული მიზეზობრიობის (reverse causality) პრობლემა შიდა ინსტრუმენტების გამოყენებით. ამიტომ ჩვენც, შვეიკერტისს და სხვების (Schweickert et al. 2011) მსგავსად, ვიყენებთ ჰაუსმან-ტეილორის შეფასებას. შესაფასებელ განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$Y_i = \beta_1 X_{1,it} + \beta_2 X_{2,it} + \delta_1 Z_{1,it} + \delta_2 Z_{2,it} + \mu_i + \varepsilon_i$$

სადაც $\mu_i$ აღნიშნავს ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს; $x_{1,it}$ არის ვექტორი, რომელიც შეიცავს დროში ცვალებად ეგზოგენურ ცვლადებს; ვექტორი $x_{2,it}$ მოიცავს დროში ცვალებად ყველა ენდოგენურ რეგრესორს; $Z_{1,it}$ მოიცავს დროში უცვლელ ყველა ეგზოგენურ ცვლადს; და ბოლოს, $Z_{2,it}$ მოიცავს დროში უცვლელ ენდოგენურ ცვლადებს. ჰაუსმან-ტეილორის შემფასებლის გამოყენებისას დაშვებულია კორელაცია ენდოგენურ ცვლადებსა და ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს შორის; თუმცა არცერთი კომპონენტი არ უნდა იყოს კორელაციაში იდიოსინკრატიულ შეცდომასთან $\varepsilon_{it}$. ეს მიდგომა ეფუძნება ორსაფეხურიან შეფასების სტრატეგიას, სადაც, პირველ ეტაპზე, შიდა შემფასებელი (within-estimator) გამოიყენება $\beta_1$ და $\beta_2$ ძალმოსილი შეფასებების მისაღებად. მეორე ეტაპზე, განზოგადებული უმცირესი კვადრატებით ტრანსფორმაციის შემდეგ (GLS transformation), ეგზოგენური ცვლადები საკუთარი

თავის ინსტრუმენტები ხდებიან. დროში ცვალებადი ენდოგენური ცვლადების ინსტრუმენტებად გამოყენებულია მათივე დროითი საშუალოდან ინდივიდუალური გადახრები (ისევე, როგორც ფიქსირებული ეფექტებით შეფასებისას), ხოლო დროში უცვლელი ენდოგენური რეგრესორების ინსტრუმენტებად გამოყენებულია დროში ცვალებადი ეგზოგენური რეგრესორების ინდივიდუალური საშუალოები. მოცემულ კონტექსტში, შეფასების მეთოდმა შესაბამისი შედეგები უნდა მოგვცეს.

შესაფასებელ რეგრესიებში დამოკიდებული ცვლადებია საშუალო ინსტიტუციური ხარისხი და ინსტიტუციური ხარისხის კონკრეტული განზომილებები. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ევროკავშირის წევრობა მჭიდრო კორელაციაშია ინსტიტუციურ განვითარებასთან. როგორც პლუმპერი, შნაიდერი და ტროგერი ადასტურებენ (Plümper, Schneider, and Troeger 2006), ნაკლებად სავარაუდოა რომ ევროკავშირში გაწევრიანება შემთხვევითი პროცესი იყოს. უფრო მაღალ ალბათურია რომ უკეთესი ინსტიტუციების მქონე ქვეყნებს აქვთ გაწევრიანების უფრო მაღალი შენსი. ამის გათვალისწინებით, პანელურ შეფასებაში ევროკავშირის წევრობა განიხილება, როგორც ენდოგენური ცვლადი. გარდა ამისა, კონტროლის ეკონომიკური ცვლადები, რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა და სავაჭრო გახსნილობა განიხილება როგორც ენდოგენური ცვლადები.[41] ეს არჩევანი ასახავს საყოველთაოდ აღიარებულ შებრუნებულ მიზეზობრიობას ეკონომიკურ ფაქტორებსა და ინსტიტუციურ ხარისხს შორის. დაბოლოს მოდელის კიდევ ერთ ენდოგენურ ცვლადად განვიხილავთ ინსტიტუციურ გამოცდილებას, რომელიც, სავარაუდოდ, კორელაციაშია ქვეყნის სხვა დროში უცვლელ ფაქტორებთან.

შვეიცერტი და სხვები (Schweickert et al. 2011) და დი ტომასო, რაიზერი და ვიკსი (Tommaso, Raiser, and Weeks 2007) ამტკიცებენ, რომ პოლიტიკური მეცნიერებების ლიტერატურა ევროკავშირში ინტეგრაციის ადრეულ ეტაპებს განიხილავს როგორც ეგზოგენურ ფაქტორს ინსტიტუციური მშენებლობის პროცესში. ამის შესაბამისად, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ჩვენც ეგზოგენურ ცვლადის

---

[41] ბოლოდროინდელ ნაშრომში (Álvarez et al. 2018) წერს, რომ ვაჭრობა დაკავშირებულია მასში ჩართული ქვეყნების ინსტიტუციების ხარისხთან. ეს მიანიშნებს პოტენციურ შებრუნებულ მიზეზშედეგობრიობაზე.

როლში განვიხილავთ. გარდა ამისა, რესურსებზე დამოკიდებულება ასევე განიხილება როგორც ეგზოგენური ცვლადი.[42]

აღსანიშნავია, რომ შეფასებული რეგრესიული მოდელების ტესტები ჰეტეროსკედასტურობის არსებობაზე მიუთითებენ. ამის გამო კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შემოწმებისას გამოვიყენეთ დაჯგუფებული სტანდარტული შეცდომები. Wald- ის სტატისტიკის მიხედვით, ყველა მოდელს გააჩნია ამხსნელობითი ძალა.

ცხრილი 3. 4-ში მოცემულია რეგრესიის მოდელების შეფასების შედეგები.[43] პირველ სვეტში დამოკიდებულ ცვლადად მოცემულია საშუალო ინსტიტუციური ხარისხი. ამ რეგრესიაში ინსტიტუციური გამოცდილების კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე და მოსალოდნელი დადებითი ნიშნით ხასიათდება. შეფასებების თანახმად, ინსტიტუციური გამოცდილების 1 წლიანი ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, ინსტიტუციების ხარისხს საშუალოდ 0.024-ით ზრდის.

როდესაც დამოკიდებული ცვლადები არიან იურიდიული და ადმინისტრა-ციული ინსტიტუტები (იხ. ცხრილი 3. 4-ში სვეტი (2) და სვეტი (3) შესაბამისად), ინსტიტუციური გამოცდილების კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე. ბოლო ანუ სვეტი (4) გვიჩვენებს რეგრესიის შედეგებს, რომელშიც დამოკიდებულ ცვლადად განიხილება პოლიტიკური ინსტიტუტები. კვლავ ვაკვირდებით, რომ ინსტიტუციური გამოცდილების კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე, თუმცა, კოეფიციენტის მნიშვნელობა წინა ვარიანტებთან შედარებით რამდენადმე გაზრდილია, მაგრამ ვერ ვიტყვით რომ ძალიან მაღალია. ეს უკანასკნელი გარემოება (ინსტიტუციური გამოცდილების კოეფიციენტების არცთუ დიდი მნიშვნელობა) ლოგიკურია და საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური სისტემების სპეციფიკური მახასიათებლებით არის განპირობებული. როგორც ადრე აღვნიშნეთ,

[42] აპრიორი გაურკვეველი რჩება რესურსებზე დამოკიდებულება უნდა იქნეს განხილული, როგორც ენდოგენური თუ ეგზოგენური ცვლადი. თუმცა, რადგან ორივე სპეციფიკაციის შედეგები თვისებრივად და რაოდენობრივად თითქმის იდენტურია, ჩვენ აქ წარმოდგენილ საბაზისო სპეციფიკაციაში რესურსებზე დამოკიდებულებას განვიხილავთ როგორც ეგზოგენურ ცვლადს.

[43] შედარებისთვის, სტანდარტული შემთხვევითი ეფექტების გამოყენებით შეფასებული რეგრესიების შედეგები მოცემულია დანართში (იხ. ცხრილი A. 13).

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი იყო ერთპარტიული სისტემა და ინსტიტუციური ხარისხის სხვა განზომილებებისაგან განსხვავებით, საბჭოთა სისტემის პირობებში ქვეყნებს არ შეეძლოთ დიდი გამოცდილების მიღება ამ მიმართულებით.

*ცხრილი 3. 4: პანელური მონაცემების რეგრესიის შედეგები*[44]

| ცვლადები | (1)<br>ინსტ. | (2)<br>ლეგლ ინსტ. | (3)<br>ადმინ. ინსტ. | (4)<br>პოლიტიკ. ინსტ. |
|---|---|---|---|---|
| ინსტ. გამოც. | 0.0236*** | 0.0234** | 0.0209** | 0.0260*** |
| | (0.0080) | (0.0087) | (0.0090) | (0.0075) |
| ევროკ. წევრი | 0.293* | 0.189 | 0.284* | 0.409*** |
| | (0.1450) | (0.1970) | (0.1510) | (0.1070) |
| ევროკ. კანდიდატი | 0.295*** | 0.227** | 0.277*** | 0.383*** |
| | (0.0779) | (0.1080) | (0.0740) | (0.0668) |
| რესურსები | -0.00562 | -0.00445 | -0.00519 | -0.00807** |
| | (0.0041) | (0.0051) | (0.0048) | (0.0032) |
| საწყისი GDP | 0.161** | 0.173* | 0.263*** | 0.0472 |
| | (0.0756) | (0.0936) | (0.0848) | (0.0590) |
| GDP-ს ზრდა | 0.48 | -0.101 | 0.703 | 0.837 |
| | (0.6780) | (0.7430) | (0.7660) | (0.6810) |
| ვაჭრობა | 0.000222 | 0.000483 | 0.000435 | -0.000179 |
| | (0.0018) | (0.0022) | (0.0019) | (0.0014) |
| მუდმივა | -2.008*** | -2.252** | -2.826*** | -0.945 |
| | (0.6960) | (0.8720) | (0.7520) | (0.5610) |
| დაკვირვებათა რიცხვი | 100 | 100 | 100 | 100 |
| Number of id | 25 | 25 | 25 | 25 |

[44] ინსტ. - აღნიშნავს მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების ექვსი კომპონენტის საშუალო მაჩვენებელს. ლეგლ ინსტ., ადმინ. ინსტ. და პოლიტიკ. ინსტ. აღნიშნავენ შესაბამისად, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და პოლიტიკური ინსტიტუტების საზომს. ინსტ. გამოც.- აღნიშნავს ინსტიტუციურ გამოცდილებას, რომელიც იზომება დამოუკიდებლობის წლების რაოდენობით და რესურსები - აღნიშნავს ბუნებრივი რესურსების სიმრავლეს ქვეყანაში. ევროკ. წევრი და ევროკ. კანდიდატი აღნიშნავს ევროკავშირის წევრობის და კანდიდატის სტატუსს. საწყისი GDP და GDP-ს ზრდა არის შესაბამისად ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ბუნებრივი ლოგარითმი საწყის პერიოდში და რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის საშუალო ზრდის ტემპი. ვაჭრობა არის იმპორტისა და ექსპორტის ჯამის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტანდარტული გად. | Clustered | Clustered | Clustered | Clustered |
| Wald chi2 | 210.3 | 157.1 | 473.2 | 87.05 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

რაც შეეხება ევროკავშირში გაწევრიანების ეფექტს, პანელური რეგრესიის შედეგები ძირითადად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ინსტიტუციური განვითარე-ბისათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას. ამ ასპექტში ჩვენ განვასხვავებთ ქვეყნებს, რომლებმაც უკვე მიიღეს წევრობის სტატუსი და ქვეყნებს, რომლებიც მოცემულ პერიოდში განიხილებიან წევრობის კანდიდატებად. ცხრილ 3,4-დან ცხადად ჩანს, რომ წევრობის კანდიდატის სტატუსი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე, გარდა იმ სპეციფიკაციისა, სადაც დამოკიდებულ ცვლადად ვიკვლევთ სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხს (აქ კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე). წერტილოვანი შეფასებით, კანდიდატ ქვეყნებს 0.295-ით უფრო მაღალი საშუალო ინსტიტუციური ხარისხი აქვთ დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. ევროკავშირის წევრობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე, როდესაც დამოკიდებული ცვლადი არის საშუალო ინსტიტუციური ხარისხი. სამართლებრივ ინსტიტუციებთან მიმართებაში, ევროკავშირში გაწევრიანების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი არ ფიქსირდება. თუმცა, როცა დამოკიდებული ცვლადებია ადმინისტრაციული ან პოლიტიკური ინსტიტუციების ხარისხი, ევროკავშირის წევრობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია შესაბამისად 10%-იან და 1%-იან დონეებზე. საერთო ჯამში, შეფასებული მოდელის ეს პარამეტრები დადებითად წარმოაჩენს იმ როლს, რასაც ინსტიტუციური განვითარებისათვის ასრულებენ მთავრობათაშორისი ორგანიზაციები. ეს დასკვნა შეესაბამება შვაიკარტის და სხვების (Schweickert et al. 2011) შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ შეფასებულ მოდელში ევროკავშირის წევრობისა და კანდიდატების ცვლადების შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელობები შედარებით მცირეა, ვიდრე შვაიკერტისა და სხვების მიერ (Schweickert et al. 2011) წარმოდგენილი კოეფიციენტები. სავარაუდოდ ეს განსხვავება უკავშირდება, ერთი მხრივ, დაკვირვების პერიოდებს შორის არსებული განსხვავებას, მეორე მხრივ კი, განსხვავებული მაკონტროლებელი

ცვლადების, მათ შორის ერთერთ ამხსნელად ინსტიტუციურ გამოცდილების ცვლადის ჩვენს მიერ გამოყენებას.

პანელურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა კიდევ ერთი ამხსნელი ფაქტორი, რომელიც ინსტიტუციური განვითარებისათვის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შეიძლება ჩავთვალოთ. ასეთს წარმოადგენს საწყისი პერიოდის რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის მნიშვნელობა მოსახლეობის ერთ სულზე. ეს მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 5%, 10% და 1%-იან დონეზე, მოდელის ვარიანტებში, სადაც დამოკიდებულ ცვლადებად განიხილება შესაბამისად საშუალო ინსტიტუციური ხარისხი, სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხის და ადმინისტრაციული ინსტიტუციების ხარისხი. პოლიტიკური ინსტიტუციების კონტექსტში, არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება. ასევე აღსანიშნავია მე-4 სვეტში წარმოდგენილი შედეგები რესურსებზე დამოკიდებულებასა და პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რესურსებზე დამოკიდებულება სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი საშუალო ინსტიტუციური ხარისხის, სამართლებრივი ინსტიტუტების ან ადმინისტრაციული ინსტიტუტების განხილვისას, ის მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც დამოკიდებული ცვლადი პოლიტიკური ინსტიტუციებია. ამავე შემფასებლის გამოყენებით, შვაიკარტმა და სხვებმა (Schweickert et al. 2011) ვერ ნახეს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი გავლენა ინსტიტუციურ განვითარებაზე. ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს ცვლადის შერჩევაზე (ისინი იყენებენ რესურსების სიმრავლის ფიქტიურ ცვლადს) ან დაკვირვების მონაკვეთზე. გარდა ამისა, ისინი იკვლევენ საშუალო ინსტიტუციურ ხარისხს, სადაც ვერც ჩვენ ვაკვირდებით მნიშვნელოვან ეფექტს. ალექსეევი და კონრადი (Alexeev and Conrad 2011) იყენებენ ჯვარედინ მონაცემებს და აკვირდებიან უარყოფით ურთიერთკავშირს მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესში ჩართულობას და რესურსების სიმრავლეს შორის ქვეყნების უფრო მრავალრიცხოვანი შერჩევისთვის. ჩვენი დასკვნები მხარს უჭერს იმ აზრს, რომ რესურსებზე დამოკიდებულება არ აუარესებს ზოგადი ინსტიტუტების ხარისხს, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხზე. ეს პოტენციურად ასახავს რესურსებით მდიდარ ქვეყნებში ეფექტური ადმინისტრაციისა და თანმიმდევრული

სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის საჭიროებას თავად ელიტისთვისაც, რომ ეფექტურად მართონ პროცესი თავიანთ სასარგებლოდ. პოლიტიკური ინსტიტუციების და ჩართულობის გაძლიერება კი არ შედის ამ ჯგუფის ინტერესში, რადგან ის ხელს შეუწყობს სტატუს ქვოს ცვლილებას ქვეყანაში, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის მათ ძალაუფლებას.

მთლიანობაში, ემპირიული ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ საბჭოთა პერიოდამდე მიღებული ინსტიტუციური გამოცდილება სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირშია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების დღევანდელ ინსტიტუციურ ხარისხთან. ეს გვეხმარება ავხსნათ მრავალი ემპირიული კვლევის შედეგად დაფიქსირებული ინსტიტუციების ნელი და რთული ცვლილების მიზეზები. გარდა ამისა, ჩატარებული ანალიზი გვეხმარება ავხსნათ სხვადასხვა გარდამავალი ეკონომიკის ინსტიტუციური მშენებლობის პროცესებს შორის არსებული განსხვავებები. გარდამავალ პერიოდში, ქვეყნებს, რომელთაც უფრო ხანგრძლივი ინსტიტუციური გამოცდილება ჰქონდათ, შეეძლოთ ამ გამოცდილების დახმარებით დაენერგათ ინკლუზიური ინსტიტუციები გარდამავალი პერიოდის საწყისი ეტაპიდანვე. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს შეიძლება მომხდარიყო პირდაპირი ეფექტის შედეგად, ადრე არსებული ინსტიტუციების ხელახალი დანერგვით, ან არაპირდაპირი გზით, საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების გავლით.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინსტიტუციების ხარისხი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. ძირითადი არხი რომლის საშულებითაც კარგ ინსტიტუციებს შეუძლიათ ქონდეთ პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე არის მათი უნარი, შეამცირონ ტრანზაქციული დანახარჯები. ეკონომიკაში ტრანზაქციული დანახარჯები წამოიქმნება საკუთრების უფლების დაცვის რისკთან და კონტრაქტისა და მისი აღსრულების არასრულყოფილებასთან ერთად. ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა ისეთი ინსტიტუციების არსებობა, რომლებიც ეკონომიკური აქტივობისათვის ქმნიან პროგნოზირებად და უსაფრთხო გარემოს.

როგორც ჯვარედინი ასევე პანელური მონაცემების რეგრესიების გამოყენებით ჩატარებულმა ემპირიულმა ანალიზმა დაადასტურა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ახსნაში საკვანძო როლს თამაშობს ქვეყნის ინსტიტუციებს შორის არსებული სხვაობა. ანალიზი ასევე მიანიშნებს, რომ არაფორმალურ ინსტიტუციებში არსებული განსხვავებები განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანი დეტერმინანტი შეიძლება იყოს გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე. საქმე ისაა, რომ როდესაც კვლევაში შემავალმა ქვეყნებმა ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე დაიწყეს ფორმალურ ინსტიტუციებში ფართო მასშტაბიანი რეფორმები, ბევრ მათგანში, არაფორმალურ ინსტიტუციებთან შეუთავსებლობის გამო, შედეგი არ იქნა მიღებული. ამავე დროს, იმ ქვეყნებმა, სადაც უკვე არსებული არაფორმალური ინსტიტუციები შედარებით უკეთესი იყო, ნაწილობრივ მაინც შეძლეს ფორმალური ინსტიტუციების ჩანაცვლება და მიაღწიეს სწრაფ ეკონომიკური განვითარებას. აქედან დასკვნა: იმისათვის რომ ფორმალურ ინსტიტუციებში განხორციელებულმა ცვლილებებმა რეალურად იმუშაოს პრაქტიკაში, მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ არსებული არაფორმალური ინსტიტუციები. ასევე გასათვალის-წინებელია, რომ ეს ორი ინსტიტუცია ერთმანეთზე გამუდმებით ზემოქმედებს და ამ ურთიერთკავშირით განისაზღვრება ინსტიტუციების საბოლოო სახე.

ნაშრომის მეორე თავში ჩვენ შევისწავლეთ პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნების ფინანსური განვითარების ტენდენციები და მათი დეტერმინანტები. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წლის შემდეგ, რამდენიმე ქვეყანამ შეძლო ფინანსურ

ინსტიტუციებზე დაფუძნებული ფუნქციონირებადი ფინანსური სისტემის დანერგვა, ზოგიერთი ქვეყანა კი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის, ფინანსური განვითარების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ჩამორჩენილია და მწვავედ განიცდის ინვესტირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ნაკლებობას. ფინანსური ინსტიტუტების განმსაზღვრელი ფაქტორების ჯვარედინმა ანალიზმა აჩვენა, რომ სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი და ფინანსური ლიბერალიზაცია დადებით დამოკიდებულებაშია ფინანსურ ინსტიტუციებთან, ხოლო ინფლაციის მაჩვენებლები და სავაჭრო გახსნილობა ფინანსური ინსტიტუტების ხარისხთან მნიშვნელოვან კავშირში არ არის. პანელური მონაცემების ანალიზი დიდწილად ადასტურებს ფინანსური განვითარებისათვის სამართლებრივი ინსტიტუციების მნიშვნელოვნებას: ქვეყნებში, რომლებსაც უკეთ აქვთ განვითარებული იურიდიული სისტემები, შეიმჩნევა ფინანსური ინსტიტუტების უფრო სწრაფი განვითარება. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფინანსური ინსტიტუტების ყველა განზომილებისთვის. ჯვარედინი ანალიზისგან განსხვავებით, პანელურ რეგრესიაში, სადაც ფინანსური ინსტიტუტების სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების გაკონტროლებაც ხდება, ფინანსურ ლიბერალიზაციასა და ფინანსურ განვითარებას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ ვლინდება. ამავე დროს, ფინანსური ლიბერალიზაციისა და სამართლებრივი ინსტიტუციების ურთიერთქმედების გათვალისწინებით, ვაფიქსირებთ ფინანსური ლიბერალიზაციის სტატისტიკურად მნიშვნელოვან ეფექტს. ეს გარემოება შეესაბამება ამ საკითხზე არსებულ სხვა ავტორების კვლევის შედეგებს, სადაც ნაჩვენებია, რომ კარგად განვითარებული სამართლებრივი ინსტიტუციები ფინანსური ლიბერალიზაციის პოზიტიური ეფექტის წინაპირობაა. გარდა ამისა, პანელური რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ ინფლაციის მაჩვენებლებსა და სავაჭრო გახსნილობას მნიშვნელოვანი სტატისტიკური გავლენა აქვს ფინანსური განვითარების კონკრეტულ ასპექტებზე. ამ დასკვნამ შეიძლება ახსნას ადრეული კვლევების მიგნებები და გამოკვეთოს არხები, რომელთა მეშვეობითაც მოქმედებს ეს ორი ფაქტორი ფინანსურ განვითარებაზე.

ნაშრომის ბოლო თავი აფასებს პოსტ კომუნისტურ ქვეყნებში ინსტიტუციების განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა და შევაფასეთ

საბჭოეთამდე პერიოდის ინსტიტუციური გამოცდილების როლი გარდამავალი ეკონომიკების დღევანდელი ინსტიტუციური ხარისხის განსაზღვრაში. ინსტიტუციურ გამოცდილებას ვზომავთ გასაბჭოებამდე ქვეყნის დამოუკიდებლად არსებობის წლების რაოდენობით. ემპირიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური გამოცდილების შემოთავაზებულ საზომს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა აქვს როგორც გარდამავალი პერიოდის საწყისი ეტაპის, ასევე დღევანდელობის ინსტიტუციურ ხარისხზე. პოტენციურად, ინსტიტუციური გამოცდილება ფორმალურ ინსტიტუციებში დაფიქსირებული განსხვავების ერთერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციური გამოცდილება, როგორც ამხსნელი ფაქტორი, წარმოადგენს პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრა-ციული ინსტიტუციების ხარისხების მნიშვნელოვან განმსაზღვრელს. მაგრამ მისი როლი განსაკუთრებით ძლიერია პოლიტიკური ინსტიტუციების ხარისხთან მიმართებაში.

ეკონომეტრიკულმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, შეგვემოწმებინა დამოკიდებულება ინსტიტუციურ ხარისხსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძოდ ევროკავშირში გაწევრიანებას შორის. შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზას მათ შორის არსებული პოზიტიური კავშირის შესახებ. ემპირიული ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე დამოკიდებულება არ ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას არც საერთო ინსტიტუციურ ხარისხზე და არც სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ ინსტიტუციებზე, თუმცა აქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა პოლიტიკურ ინსტიტუციებზე.

პრაქტიკული თვალსაზრისით ეს შედეგი ნიშნავს რომ ინსტიტუციების მშენებლობის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით უნდა დახმარებოდნენ ნაკლები გამოცდილების მქონე ქვეყნებს. ფოკუსში უნდა ყოფილიყო ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუციების ჩამოყალიბება, რადგან ამ კომპონენტში მცირე ინსტიტუციური გამოცდილების ქვეყნებში თითქმის საერთოდ არ არსებობდა არანაირი ექსპერტიზა. ასევე ანალიზმა ცხადყო რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში

გაწევრიანების პერსპექტივას შეუძლია ითამაშოს ძლიერი მასტიმულირებელი ეფექტის როლი რეფორმების გატარების მიმართულებით.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ანანიაშვილი ი. 2014. „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“, ეკონომიკა და ბიზნესი., # 5, გვ. 13-54
2. ანანიაშვილი ი. 2014. „ეკონომეტრიკა“. სახელმძღვანელო. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, მერიდიანი. 412 გვ.
3. ბალარჯიშვილი ი. 2008. „ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ბარიერული ხასიათი - ტრანსპლანტაცია თუ ევოლუცია“. თბილისი ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #1.
4. ბერიძე თ. 2012. „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე“. თბილისი. გვ.115–122;
5. გელაშვილი ს. 2012. „ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება“. სახელმძღვანელო. თბილისი, ,,მერიდიანი“.
6. გელაშვილი ს. 2017. „სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში. წიგნი I.. თბილისი, ,,მერიდიანი“
7. გერილიანი რ. 2013. "ეკონომიკური თავისუფლების გავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე", სადისერტაციო კვლევა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
8. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. 2009. "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი.
9. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე; [რედ.: ვლადიმერ პაპავა]. 2001. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“, თბილისი. 544 გვ.
10. კაკულია ნ. 2009. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციონალური თავისებურებები და “ევოლუციური თეორია”. თბილისი. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, # 3, გვ. 37-46.
11. კაკულია ნ. 2014. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. რიდერი. (ლექციების კურსი მაგისტრანტებისათვის) თბილისი.

12. კაკულია ნ. 2019. საქართველოს ინსტიტუციური გარემოს შეფასება WGI ინდიკატორების მიხედვით და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ჟ. ეკონომისტი. No 2.
13. პაპავა ვ. 2018. „დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა – ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო“. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, No. 99,
14. პაპავა ვ. 2020. “არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა.“ მეორე შევსებული და განახლებული გამოცემა. თბილისი, თსუ.
15. პაპავა. ვ. 1995. „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე”.თბილისი, “მეცნიერება”,
16. პაპავა. ვ. 2010. გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. თბილისი, "სიახლე".
17. პაპავა. ვ. 2001. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესატყვისი კორუფციის ბუნება და საქართველოში მისი შეზღუდვის მექანიზმის შესახებ. სახელმწიფო და კონტროლი, N 1.
18. პაპავა. ვ. 2000. ნეკროეკონომიკა. მაკრო მიკრო ეკონომიკა, N 10.
19. პაპავა. ვ., ხადური. ნ. 1998. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ინსტიტუციური ანალიზი. მეცნიერება და ტექნიკა, N 1-3,
20. ჟღენტი ც. 2019. "ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე", სადისერტაციო კვლევა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
21. ხადური ნ. 2010. „ეკონომიკური ზრდა - რეალობა და პერსპექტივები., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მასალების კრებული, თბილისი.

22. Abiad, Abdul, Nienke Oomes, and Kenichi Ueda. 2008. "The Quality Effect: Does Financial Liberalization Improve the Allocation of Capital?" *Journal of Development Economics* 87 (2): 270–82. https://doi.org/10.1016/J.JDEVECO.2007.12.002.
23. Acemoglu, Daron. 1995. "Reward Structures and the Allocation of Talent." *European Economic Review*. https://doi.org/10.1016/0014-2921(94)00014-Q.
24. Acemoglu, Daron, Davide Cantoni, Simon Johnson, and James A Robinson. 2011. "The Consequences of Radical Reform: The French Revolution." *American Economic Review* 101 (7): 3286–3307. https://doi.org/10.1257/aer.101.7.3286.
25. Acemoglu, Daron, and Simon Johnson. 2005. "Unbundling Institutions." *Journal of Political Economy*. Vol. 113. https://economics.mit.edu/files/4467.
26. Acemoglu, Daron, Simon Johnson, and James A Robinson. 2001. "The Colonial and Origins of Comparative and Development: An and Empirical Investigation." *American Economic Review* 91 (5): 1369–1401.
27. Acemoglu, Daron, Simon Johnson, and James A. Robinson. 2005a. "Chapter 6 Institutions as a Fundamental Cause of Long-Run Growth." *Handbook of Economic Growth*. https://doi.org/10.1016/S1574-0684(05)01006-3.
28. Acemoglu, Daron, Simon Johnson, and James A Robinson. 2005b. "Institutions as a Fundamental Cause of Long-Run Growth." In *Handbook of Economic Growth*, edited by Philippe Aghion and Steven N Durlauf. Vol. 1A. Elsevier.
29. Acemoglu, Daron, and James Robinson. 2010. "The Role of Institutions in Growth and Development." *Review of Economics and Institutions* 1 (2). https://doi.org/10.5202/rei.v1i2.14.
30. Akerlof, George A., and Rachel E. Kranton. 2000. "Economics and Identity." *Quarterly Journal of Economics*. https://doi.org/10.1162/003355300554881.
31. Alchian, A.A. 1965. "Some Economics of Property Rights." In *Economic Forces at Work*. https://doi.org/10.1086/467005.
32. Alchian, Armen A., and Harold Demsetz. 1973. "The Property Right Paradigm." *The Journal of Economic History*. https://doi.org/10.1017/S0022050700076403.
33. Alesina, Alberto, Arnaud Develeeschauwer, William Easterly, Sergio Kurlat, and Romain Wacziarg. 2003. "Fractionalization." *Journal of Economic Growth* 8: 155–94.

34. Alexeev, Michael, and Robert Conrad. 2011. "The Natural Resource Curse and Economic Transition." *Economic Systems* 35: 445–61. https://doi.org/10.1016/j.ecosys.2010.10.003.

35. Álvarez, Inmaculada C, Javier Barbero, Andrés Rodr\'\iguez-Pose, and José L Zof\'\io. 2018. "Does Institutional Quality Matter for Trade? Institutional Conditions in a Sectoral Trade Framework." *World Development* 103 (March): 72–87. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2017.10.010.

36. Angeles, Luis. 2011. "Institutions, Property Rights, and Economic Development in Historical Perspective." *Kyklos*. https://doi.org/10.1111/j.1467-6435.2011.00500.x.

37. Beck, Thorsten, and Luc Laeven. 2006. "Institution Building and Growth in Transition Economies." *Journal of Economic Growth* 11 (2): 157–86. https://doi.org/10.1007/s10887-006-9000-0.

38. Beck, Thorsten, and Ross Levine. 2008. "Legal Institutions and Financial Development." In *Handbook of New Institutional Economics*. https://doi.org/10.1007/978-3-540-69305-5_12.

39. Bockstette, Valerie, Areendam Chanda, and Louis Putterman. 2002. "States and Markets: The Advantage of an Early Start." *Journal of Economic Growth* 7: 347–69.

40. Bonin, John P., Iftekhar Hasan, and Paul Wachtel. 2012. "Banking in Transition Countries." In *The Oxford Handbook of Banking*. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780199640935.013.0033.

41. Bonin, John, and Paul Wachtel. 2003. "Financial Sector Development in Transition Economies: Lessons from the First Decade." *Financial Markets, Institutions and Instruments* 12 (1): 1–66. https://doi.org/10.1111/1468-0416.t01-1-00001.

42. Boyd, John H., Ross Levine, and Bruce D. Smith. 2001. "The Impact of Inflation on Financial Sector Performance." *Journal of Monetary Economics*. https://doi.org/10.1016/S0304-3932(01)00049-6.

43. Bywaters, David, and Pawel Mlodkowski. 2012. "The Role Of Transactions Costs In Economic Growth." *International Journal of Economic Policy Studies* 7 (1): 53–66. https://doi.org/10.1007/bf03405737.

44. Cass, David. 1965. "Optimum Growth in an Aggregative Model of Capital Accumulation." *The Review of Economic Studies* 32 (3): 233. https://doi.org/10.2307/2295827.
45. Chang, Ha Joon. 2011. "Institutions and Economic Development: Theory, Policy and History." *Journal of Institutional Economics* 7 (4): 473–98. https://doi.org/10.1017/S1744137410000378.
46. Cheung, Steven N S. 1983. "The Contractual Nature of the Firm." *The Journal of Law & Economics* 26 (1): 1–21. http://www.jstor.org/stable/725182.
47. Chinn, Menzie D., and Hiro Ito. 2006. "What Matters for Financial Development? Capital Controls, Institutions, and Interactions." *Journal of Development Economics*. https://doi.org/10.1016/j.jdeveco.2005.05.010.
48. Coase, R. H. 1937. "The Nature of the Firm." *Economica*. https://doi.org/10.1111/j.1468-0335.1937.tb00002.x.
49. Cohen, Stephen F. 2004. "Was the Soviet System Reformable?" *Slavic Review* 63 (3): 459–88. https://doi.org/10.2307/1520337.
50. Dessí, Roberta. 2008. "Collective Memory, Cultural Transmission, and Investments." *American Economic Review*. https://doi.org/10.1257/aer.98.1.534.
51. Dincer, Oguzhan C., and Eric M. Uslaner. 2010. "Trust and Growth." *Public Choice* 142 (1–2): 59–67. https://doi.org/10.1007/s11127-009-9473-4.
52. Do, Quy-Toan, and Andrei Levchenko. 2004. "Trade and Financial Development." http://documents.worldbank.org/curated/en/394581468779413283/pdf/wps3347.pdf.
53. Fentress, James., and Chris Wickham. 1992. *Social Memory*. Blackwell.
54. Fernandes, A, and Aart Kraay. 2005. "Property Rights Institutions , Contracting Institutions , and Growth in South Asia : Macro and Micro Evidence." In .
55. Feyen, Erik, Letelier Raquel, Love Inessa, Samuel Munzele Maimbo, and Roberto Rocha. 2014. *The Impact of Funding Models and Foreign Bank Ownership on Bank Credit Growth: Is Central and Eastern Europe Different?* The World Bank. https://doi.org/10.1596/1813-9450-6783.
56. Galindo, Arturo, Fabio Schiantarelli, and Andrew Weiss. 2007. "Does Financial Liberalization Improve the Allocation of Investment?: Micro-Evidence from

Developing Countries." *Journal of Development Economics* 83 (2): 562–87. https://doi.org/10.1016/J.JDEVECO.2005.09.008.

57. Glaeser, Edward L., Rafael la Porta, Florencio Lopez-de-Silanes, and Andrei Shleifer. 2004. "Do Institutions Cause Growth?" *Journal of Economic Growth*. https://doi.org/10.1023/B:JOEG.0000038933.16398.ed.
58. Godoladze, Karlo. 2013. "Constitutional Changes in Georgia: Political and Legal Aspects." *Humanities and Social Sciences Review*, 443–460. https://conlaw.iliauni.edu.ge/karlo-godoladze-constitutional-changes-in-georgia-political-and-legal-aspects/.
59. Gorodnichenko, Yuriy, and Gerard Roland. 2017. "Culture, Institutions, and the Wealth of Nations." *Review of Economics and Statistics*. https://doi.org/10.1162/REST_a_00599.
60. Haas, Ralph de, and Iman van Lelyveld. 2006. "Foreign Banks and Credit Stability in Central and Eastern Europe. A Panel Data Analysis." *Journal of Banking & Finance* 30 (7): 1927–52. https://doi.org/10.1016/J.JBANKFIN.2005.07.007.
61. Harper, Joel T., and James E. McNulty. 2008. "Financial System Size in Transition Economies: The Effect of Legal Origin." *Journal of Money, Credit and Banking*. https://doi.org/10.1111/j.1538-4616.2008.00156.x.
62. Hausman, Jerry A, and William E Taylor. 1981. "Panel Data and Unobservable Individual Effects." *Econometrica* 49 (6): 1377–98.
63. He, Xin. 2008. "Formal Contract Enforcement and Economic Development in Urban and Rural China." http://www.law.uchicago.edu/Lawecon/wp251-300.html.
64. Hodgson, Geoffrey. 2006. "What Are Institutions?" *Journal of Economic Issues*. https://doi.org/Article.
65. Horvath, Roman, and Ayaz Zeynalov. 2016. "Natural Resources, Manufacturing and Institutions in Post-Soviet Countries." *Resources Policy* 50: 141–48.
66. Huybens, Elisabeth, and Bruce D. Smith. 1999. "Inflation, Financial Markets and Long-Run Real Activity." *Journal of Monetary Economics*. https://doi.org/10.1016/S0304-3932(98)00060-9.

67. H. W. Robbins, Lionel. 1934. "An Essay on the Nature and Significance of Economic Science." *Journal of the Royal Statistical Society* 97 (2): 343. https://doi.org/10.2307/2342397.
68. Islam, Roumeen. 2018. *One More Time: What Are Institutions and How Do They Change?* Policy Research Working Papers. The World Bank. https://doi.org/10.1596/1813-9450-8422.
69. Islam, Roumeen, and Claudio E Montenegro. 2002. "What Determines the Quality of Institutions?" *World Bank Policy Research Working Paper*, no. 2764.
70. Ito, Hiro. 2006. "Financial Development and Financial Liberalization in Asia: Thresholds, Institutions and the Sequence of Liberalization." *The North American Journal of Economics and Finance* 17 (3): 303–27. https://doi.org/10.1016/J.NAJEF.2006.06.008.
71. Jarukaitis, Irmantas, and Gintaras Švedas. 2019. "The Constitutional Experience of Lithuania in the Context of European and Global Governance Challenges." In *National Constitutions in European and Global Governance: Democracy, Rights, the Rule of Law*, 997–1046. T.M.C. Asser Press. https://doi.org/10.1007/978-94-6265-273-6_21.
72. Jütting, Johannes. 2003. "Institutions and Development: A Critical Review." https://ideas.repec.org/p/oec/devaaa/210-en.html.
73. Kähkönen, Satu, and P. Meagher. 2002. "Contract Enforcement and Economic Performance." *Journal of African Finance and Economic Development*.
74. Kakhkharov, Jakhongir, and Alexandr Akimov. 2018. "Financial Development in Less-Developed Post-Communist Economies." *Problems of Economic Transition* 60 (7): 483–513. https://doi.org/10.1080/10611991.2018.1551031.
75. Kaufmann, Daniel, Aart Kraay, and Massimo Mastruzzi. 2010. "The Worldwide Governance Indicators : Methodology and Analytical Issues." *World Bank Policy Research Working Paper*, no. 5430.
76. Knack, Stephen, and Philip Keefer. 1995. "Institutions and Economic Performance: Cross-Country Tests Using Alternative Institutional Measures." *Economics and Politics* 7 (3): 207–27.

77. Koopmans, Tjalling. 1963. "On the Concept of Optimal Economic Growth." https://econpapers.repec.org/RePEc:cwl:cwldpp:163.
78. Kulkarni, Mangesh. 1994. "Theories of the Soviet System: A Retrospective Critique." *Economic and Political Weekly*. Economic and Political Weekly. https://doi.org/10.2307/4401562.
79. Leblang, David A. 1996. "Property Rights, Democracy and Economic Growth." *Political Research Quarterly*. https://doi.org/10.1177/106591299604900102.
80. Levchenko, Andrei A., Romain Rancière, and Mathias Thoenig. 2009. "Growth and Risk at the Industry Level: The Real Effects of Financial Liberalization." *Journal of Development Economics* 89 (2): 210–22. https://doi.org/10.1016/J.JDEVECO.2008.06.003.
81. Levine, Ross. 2002. "Bank-Based or Market-Based Financial Systems: Which Is Better?" *Journal of Financial Intermediation* 11 (4): 398–428. https://doi.org/10.1006/JFIN.2002.0341.
82. Levine, Ross, Norman Loayza, and Thorsten Beck. 2000. "Financial Intermediation and Growth: Causality and Causes." *Journal of Monetary Economics*. https://doi.org/10.1016/S0304-3932(00)00017-9.
83. Loayza, Norman, Amine Ouazad, and Romain Ranciere. 2017. *Financial Development, Growth, and Crisis: Is There a Trade-Off?* Policy Research Working Papers. The World Bank. https://doi.org/10.1596/1813-9450-8237.
84. Mayer Soledad Zignago, Thierry. 2011. "No 2011-25 December Notes on CEPII's Distances Measures: The GeoDist Database." http://www.cepii.fr/anglaisgraph/bdd/distances.htm.
85. Mehlum, Halvor, Karl Moene, and Ragnar Torvik. 2006. "Institutions and the Resource Curse." *The Economic Journal* 116 (January): 1–20.
86. Melo, Martha de, Cevdet Denizer, Alan Gelb, and Stoyan Tenev. 2001. "Circumstance and Choice: The Role of Initial Conditions and Policies in Transition Economies." *World Bank Economic Review* 15 (1): 1–31.

87. Ménard, Claude, and Mary M. Shirley. 2014. "The Future of New Institutional Economics: From Early Intuitions to a New Paradigm?" *Journal of Institutional Economics* 10 (4): 541–65. https://doi.org/10.1017/S174413741400006X.
88. Moe, Terry M. 2005. "Power and Political Institutions." *Perspectives on Politics* 3 (2): 215–33. http://www.jstor.org/stable/3688027.
89. Naaborg, Ilko, Bert Scholtens, Jakob de Haan, Hanneke Bol, and Ralph de Haas. 2004. "How Important Are Foreign Banks in the Financial Development of European Transition Countries?" *Journal of Emerging Market Finance* 3 (2): 99–123. https://doi.org/10.1177/097265270400300202.
90. North, Douglass C. 1984. "Transaction Costs, Institutions, and Economic History." *Zeitschrift Für Die Gesamte Staatswissenschaft / Journal of Institutional and Theoretical Economics* 140 (1): 7–17. http://www.jstor.org/stable/40750667.
91. ———. 1990. *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Edited by James Alt and Douglass North. Cambridge University Press.
92. ———. 1991. "Institutions, Institutional Change, and Economic Performance." *The Journal of Economic Perspective*. https://doi.org/10.2307/2234910.
93. North, Douglass Cecil. 1990. "Institutions, Institutional Change, and Economic Performance." *Economic Perspective*.
94. North, Douglass C., and Robert Paul Thomas. 1973. "The Rise of the Western World:" *A New Economic History, Cambridge, Cambridge University Press.* https://doi.org/10.1017/CBO9780511819438.
95. Papava, V, and N Khaduri. 1997. "On the Shadow Political Economy of the Post-Communist Transformation: An Institutional Analysis." *Problems of Economic Transition* 40 (6): 15–34. https://doi.org/10.2753/PET1061-1991400615.
96. Papava, Vladimer. 2005. *NECROECONOMICS: THE POLITICAL ECONOMY OF POST-COMMUNIST CAPITALISM (Lessons from Georgia).*
97. Papuashvili, George. 2012. "The 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia: Looking Back after Ninety Years." *European Public Law*, 323–49. http://www.kluwerlawonline.com/document.php?id=EURO2012018.

98. Pistor, Katharina, Martin Raiser, and Stanislaw Gelfer. 2000. "Law and Finance in Transition Economies." *Economics of Transition*. https://doi.org/10.1111/1468-0351.00047.
99. Plümper, Thomas, Christina J. Schneider, and Vera E. Troeger. 2006. "The Politics of EU Eastern Enlargement: Evidence from a Heckman Selection Model." *British Journal of Political Science* 36 (1): 17–38. https://doi.org/10.1017/S0007123406000020.
100. Porta, Rafael la, Florencio Lopez-de-Silanes, Andrei Shleifer, and Robert Vishny. 1999. "The Quality of Government." *Journal of Law, Economics and Organization*.
101. ———. 2000. "Investor Protection and Corporate Governance." *Journal of Financial Economics* 58 (1–2): 3–27. https://doi.org/10.1016/S0304-405X(00)00065-9.
102. Porta, Rafael la, Florencio Lopez-de-SIlanes, Andrei Shleifer, and Robert W Vishny. 1998. "Law and Finance." *Journal of Political Economy* 106 (6): 1113–55. https://doi.org/10.1086/250042.
103. Robinson, James A. 2012. "Elites and Institutional Persistence." In *The Role of Elites in Economic Development*, 29–50. Oxford University Press. https://doi.org/10.1093/acprof:oso/9780199659036.003.0003.
104. Roland, Gerard. 2004. "Slow-Moving Institutions." *Studies in Comparative International Development* 38 (4): 109–31.
105. Roland, Gerard, and Thierry Verdier. 2003. "Law Enforcement and Transition." *European Economic Review* 47: 669–685.
106. Roth, Felix. 2009. "Does Too Much Trust Hamper Economic Growth?" *Kyklos* 62 (1): 103–28. https://doi.org/10.1111/j.1467-6435.2009.00424.x.
107. Sachs, Jeffery D, and Andrew M Warner. 2001. "Natural Resources and Economic Development." *European Economic Review* 45: 827–38.
108. Schaeck, Klaus, and Martin Cihák. 2012. "Banking Competition and Capital Ratios." *European Financial Management*. https://doi.org/10.1111/j.1468-036X.2010.00551.x.
109. Schönfelder, Nina, and Helmut Wagner. 2016. "Impact of European Integration on Institutional Development." *Journal of Economic Integration* 31 (3): 472–530.

110. Schweickert, Rainer, Inna Melnykovska, Ansgar Belke, and Ingo Bordon. 2011. "Prospective {NATO} or {EU} Membership and Institutional Change in Transition Countries." *Economics of Transition* 19 (4): 667–92. https://doi.org/10.1111/j.1468-0351.2011.00415.x.

111. Solow, Robert M. 1956. "A Contribution to the Theory of Economic Growth." *The Quarterly Journal of Economics* 70 (1): 65–94.

112. Stone, a., B. Levy, and R. Paredes. 1992. "Public Institutions and Private Transactions: The Legal and Regulatory Environment for Business Private Transactions in Brazil and Chile." *Policy Research Working Paper Series, the World Bank*.

113. Taube, Caroline. 2002. "BALTIC DIVERSITY: COMPARING CONSTITUTIONS." *Jurisprudencija* 30 (22): 42–46. https://www3.mruni.eu/ojs/jurisprudence/article/view/3561/3353.

114. Tommaso, Maria L di, Martin Raiser, and Melvyn Weeks. 2007. "Home Grown or Imported? Initial Conditions, External Anchors and the Determinants of Institutional Reform in the Transition Economies." *The Economic Journal* 117 (520): 858–81. http://www.jstor.org/stable/4625519.

115. Way, Lucan A, and Steven Levitsky. 2007. "Linkage, Leverage, and the Post-Communist Divide." *East European Politics and Societies* 21 (1): 48–66.

116. Weill, Laurent. 2003. "Banking Efficiency in Transition Economies." *Economics of Transition*. https://doi.org/10.1111/1468-0351.00155.

117. Zerubavel, Yael. 1995. *Recovered Roots : Collective Memory and the Making of Israeli National Tradition*. University of Chicago Press.

## დანართი

*ცხრილი A. 1: ნაშრომში გამოყენებული ცვლადები და მათი წყაროები*

| ცვლადი | აღწერა | წყარო |
|---|---|---|
| ინსტიტუციური გამოცდილება | საბჭოთა სისტემამდე დამოუკიდებლობის წლების რაოდენობა | ავტორის კალკულაცია |
| ზოგადი ინსტიტუციების ხარისხი | მსოფლიო ბანკის ექვსი მმართველობის ინდიკატორის საშუალო. გვიჩვენებს ინსტიტუციების ზოგად ხარისხს ქვეყანაში. მერყეობს -2,5-დან 2,5-მდე | მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები https://info.worldbank.org/governance/wgi/ |
| სამართლებრივი ინსტიტუციები | კანონის უზენაესობა და რეგულირების ხარისხის საზომების საშუალო. მერყეობს -2,5-დან 2,5-მდე | მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები https://info.worldbank.org/governance/wgi/ |
| ადმინისტრაციული ინსტიტუციები | მთავრობის ეფექტურობის და რეგულირების ხარისხის საშუალო. მერყეობს -2,5-დან 2,5-მდე | მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები https://info.worldbank.org/governance/wgi/ |
| პოლიტიკური ინსტიტუციები | მოქალაქეების პოლიტიკურ პროცესში ჩართულობის და პოლიტიკური სტაბილურობის საშუალო. მერყეობს -2,5-დან 2,5-მდე | მსოფლიო ბანკის მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები https://info.worldbank.org/governance/wgi/ |
| კანდიდატი | ფიქტიური ცვლადი რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყანა არის ევროკავშირის წევრობის ოფიციალური კანდიდატი | Schönfelder and Wagner (2016) |
| წევრი | ფიქტიური ცვლადი რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყანა არის ევროკავშირის წევრი | ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი (https://europa.eu/european-union/index_en) |

| | | |
|---|---|---|
| FI | ფინანსური ინსტიტუტების განვითარების საზომი. ფინანსური ინსტიტუტების სიღრმის, ხელმისაწვდომობის და ეფექტურობის აგრეგირების შედეგი. იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (data.imf.org) |
| FID | ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე. იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (data.imf.org) |
| FIA | ფინანსური ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა. იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (data.imf.org) |
| FIE | ფინანსური ინსტიტუტების ეფექტურობა. იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (data.imf.org) |
| FM | ფინანსური ბაზრების განვითარების საზომი. იღებს მნიშვნელობას 0-დან 1-მდე. | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (data.imf.org) |
| რეალური GDP | რეალური GDP მუდმივ ფასებში | მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორები databank.worldbank.org |
| GDP-ს ზრდა | ერთ სულ მოსახლეზე GDP-ს ზრდის ტემპი | მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორები databank.worldbank.org |
| ვაჭრობა | ვაჭრობის წილი GDP-ში | მსოფლიო ბანკის განვითარების ინდიკატორები databank.worldbank.org |
| ინფლაცია | სამომხმარებლო ფასების მიხედვით დათვლილი ფასების დონის ცვლილება | საერთაშორისო სავალუტო ფონდი data.imf.org |
| ფინანსური ლიბერალიზაცია | ზომავს ქვეყნის კაპიტალური ანგარიშების ღიაობას | Chinn and Ito (2002) |
| ბუნებრივი რესურსები | ნავთობის, მადნებისა და სხვა ლითონის ექსპორტის წილს GDP-ში | გაერთიანებული ერების ვაჭრობის და განვითარების კონფერენცია UNCTAD (https://unctad.org/statistics) |

| | | |
|---|---|---|
| მანძილი ეკვადორიდან | მანძილი ეკვადორიდან კილომეტრებში | La Porta et al. (1999) |
| მანძილი ვენიდან | მანძილი ვენიდან კილომეტრებში | Mayer and Zignago (2011) |
| ჩაკეტილი | ფიქტიური ცვლადი რომელიც იღებს მნიშვნელობას 1 თუ ქვეყანას არ აქვს ზღვაზე გასასვლელი | დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ოფიციალური ვებ გვერდი (https://www.cia.gov/the-world-factbook/) |
| ეთნიკური დაყოფა | ქვეყნის შიგნით არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება | Alesina et al. (2003) |
| ენობრივი დაყოფა | ქვეყნის შიგნით არსებული ენობრივი მრავალფეროვნება | Alesina et al. (2003) |
| სახელმწიფოს სიძველის ინდექსი | სახელმწიფო დონის ინსტიტუციების გამოცდილება | Bockstette, Chanda, and Putterman (2002) |

*ცხრილი A. 2: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა*

| ცვლადები | (1) GDP-ს ზრდა | (2) GDP-ს ზრდა | (3) GDP-ს ზრდა | (4) GDP-ს ზრდა | (5) GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა | 0.00707* | 0.00806* | 0.00734* | 0.00718* | 0.00507 |
| | (0.00356) | (0.00388) | (0.00353) | (0.00398) | (0.00461) |
| ყოფილი წევრი | | 0.00508 | | | |
| | | (0.00745) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000710 | | |
| | | | (0.000604) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.000453 | |
| | | | | (0.00704) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -2.49e-06 |
| | | | | | (3.57e-06) |
| საწყისი GDP | -0.000834 | 0.000153 | -0.00148 | -0.000794 | -0.00252 |
| | (0.00469) | (0.00496) | (0.00468) | (0.00483) | (0.00532) |
| მუდმივა | 0.0323 | 0.0211 | 0.0351 | 0.0317 | 0.0502 |
| | (0.0394) | (0.0432) | (0.0392) | (0.0413) | (0.0475) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.187 | 0.204 | 0.237 | 0.187 | 0.205 |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 3: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: პოლიტიკური სტაბილურობა*

| ცვლადები | (1)<br>GDP-ს<br>ზრდა | (2)<br>GDP-ს<br>ზრდა | (3)<br>GDP-ს<br>ზრდა | (4)<br>GDP-ს<br>ზრდა | (5)<br>GDP-ს<br>ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| პოლიტიკური სტაბილურობა | 0.0182*** | 0.0220*** | 0.0178*** | 0.0192*** | 0.0169*** |
| | (0.00437) | (0.00455) | (0.00454) | (0.00427) | (0.00450) |
| ყოფილი წევრი | | 0.0112* | | | |
| | | (0.00577) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000229 | | |
| | | | (0.000512) | | |
| ჩაკეტილი | | | | -0.00789 | |
| | | | | (0.00500) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -2.64e-06 |
| | | | | | (2.31e-06) |
| საწყისი GDP | -0.00566 | -0.00398 | -0.00559 | -0.00813* | -0.00820* |
| | (0.00398) | (0.00385) | (0.00406) | (0.00416) | (0.00453) |
| მუდმივა | 0.0707** | 0.0497 | 0.0693* | 0.0957** | 0.0963** |
| | (0.0332) | (0.0331) | (0.0339) | (0.0358) | (0.0398) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.465 | 0.546 | 0.470 | 0.522 | 0.496 |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 4: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: მთავრობის ეფექტურობა*

| ცვლადები | (1)<br>GDP-ს<br>ზრდა | (2)<br>GDP-ს<br>ზრდა | (3)<br>GDP-ს<br>ზრდა | (4)<br>GDP-ს<br>ზრდა | (5)<br>GDP-ს<br>ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| მთავრობის ეფექტურობა | 0.0186*** | 0.0187*** | 0.0180*** | 0.0192*** | 0.0167** |
| | (0.00558) | (0.00572) | (0.00573) | (0.00604) | (0.00598) |
| ყოფილი წევრი | | 0.000426 | | | |
| | | (0.00620) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000346 | | |
| | | | (0.000553) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00172 | |
| | | | | (0.00604) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -2.39e-06 |
| | | | | | (2.62e-06) |
| საწყისი GDP | -0.00748 | -0.00735 | -0.00734 | -0.00741 | -0.00925* |
| | (0.00494) | (0.00538) | (0.00501) | (0.00505) | (0.00533) |
| მუდმივა | 0.0842* | 0.0829* | 0.0818* | 0.0826* | 0.103** |
| | (0.0407) | (0.0459) | (0.0415) | (0.0420) | (0.0459) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.363 | 0.363 | 0.375 | 0.366 | 0.387 |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 5: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: რეგულირების ხარისხი*

| ცვლადები | (1) GDP-ს ზრდა | (2) GDP-ს ზრდა | (3) GDP-ს ზრდა | (4) GDP-ს ზრდა | (5) GDP-ს ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| რეგულირების ხარისხი | 0.00889** | 0.00923** | 0.00839* | 0.00874* | 0.00696 |
| | (0.00408) | (0.00426) | (0.00420) | (0.00436) | (0.00458) |
| ყოფილი წევრი | | 0.00260 | | | |
| | | (0.00703) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000408 | | |
| | | | (0.000616) | | |
| ჩაკეტილი | | | | -0.000803 | |
| | | | | (0.00663) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -2.86e-06 |
| | | | | | (3.05e-06) |
| საწყისი GDP | -0.00123 | -0.000573 | -0.00119 | -0.00133 | -0.00361 |
| | (0.00461) | (0.00503) | (0.00468) | (0.00480) | (0.00528) |
| მუდმივა | 0.0328 | 0.0257 | 0.0311 | 0.0342 | 0.0578 |
| | (0.0382) | (0.0434) | (0.0387) | (0.0407) | (0.0467) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.211 | 0.216 | 0.227 | 0.211 | 0.242 |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 6: ჯვარედინი მონაცემების რეგრესია: კორუფციის კონტროლი*

| ცვლადები | (1)<br>GDP-ს<br>ზრდა | (2)<br>GDP-ს<br>ზრდა | (3)<br>GDP-ს<br>ზრდა | (4)<br>GDP-ს<br>ზრდა | (5)<br>GDP-ს<br>ზრდა |
|---|---|---|---|---|---|
| კორუფციის კონტროლი | 0.0138*** | 0.0138** | 0.0132** | 0.0142** | 0.0120** |
| | (0.00487) | (0.00500) | (0.00503) | (0.00532) | (0.00521) |
| ყოფილი წევრი | | 0.000583 | | | |
| | | (0.00652) | | | |
| ბუნებრივი რესურსები | | | 0.000353 | | |
| | | | (0.000583) | | |
| ჩაკეტილი | | | | 0.00126 | |
| | | | | (0.00639) | |
| მანძილი ვენიდან | | | | | -2.74e-06 |
| | | | | | (2.74e-06) |
| საწყისი GDP | -0.00472 | -0.00455 | -0.00460 | -0.00465 | -0.00695 |
| | (0.00484) | (0.00531) | (0.00491) | (0.00496) | (0.00533) |
| მუდმივა | 0.0666 | 0.0648 | 0.0642 | 0.0653 | 0.0893* |
| | (0.0411) | (0.0465) | (0.0419) | (0.0425) | (0.0470) |
| დაკვირვება | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმინაც. კოეფიციენტი | 0.296 | 0.297 | 0.308 | 0.298 | 0.328 |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 7: პანელური რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით*

| ცვლადები | (1)<br>GDP | (2)<br>GDP | (3)<br>GDP |
|---|---|---|---|
| ზოგადი ინსტიტუციები | 820.7 | | |
| | (3,651) | | |
| კანონის უზენაესობა | | 789.7 | |
| | | (3,432) | |
| ძალაუფლების შეზღუდვა | | | 1,397 |
| | | | (1,191) |
| ყოფილი წევრი | -2,614 | -2,649 | -2,134 |
| | (2,274) | (2,225) | (2,733) |
| ჩაკეტილი | -1,273 | -1,290 | -460.2 |
| | (1,974) | (1,905) | (2,355) |
| მანძილი ვენიდან | -1.484 | -1.484 | -0.390 |
| | (1.648) | (1.610) | (1.580) |
| ბუნებრივი რესურსები | 54.63*** | 54.37*** | 45.73*** |
| | (15.34) | (15.64) | (16.54) |
| მუდმივა | 11,749*** | 11,865*** | 1,904 |
| | (2,663) | (2,206) | (8,999) |
| დაკვირვება | 525 | 525 | 525 |
| ქვეყნების რაოდენობა | 25 | 25 | 25 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 8: პანელური რეგრესია უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით*[45]

| | (1) | (2) | (3) | (4) | (5) |
|---|---|---|---|---|---|
| ცვლადები | FI | FID | FIA | FIE | FI |
| სამართლებრივი | 0.0394*** | 0.0321** | 0.0141* | 0.0713*** | 0.0404*** |
| | (0.00863) | (0.0143) | (0.00750) | (0.0175) | (0.00954) |
| ფინანს ლიბერ. | 0.00319 | 0.0132 | -0.00341 | -0.0111 | 0.00352 |
| | (0.0158) | (0.0194) | (0.0138) | (0.0386) | (0.0171) |
| ფინანს ლიბერ. × სამართლებრივი | | | | | -0.00327 |
| | | | | | (0.0204) |
| FI_(t-5) | -0.167*** | -0.125* | -0.0766** | -0.306*** | -0.165*** |
| | (0.0322) | (0.0615) | (0.0306) | (0.0844) | (0.0347) |
| ინფლაცია | -9.40e-05 | -0.000138* | -0.00112*** | 0.000715 | -9.13e-05 |
| | (9.70e-05) | (7.91e-05) | (0.000383) | (0.000466) | (9.96e-05) |
| ვაჭრობა | -0.000125 | -0.000778*** | -8.25e-05 | 0.000676 | -0.000114 |
| | (0.000197) | (0.000223) | (0.000131) | (0.000413) | (0.000201) |
| ზრდა | 0.00280* | 0.00284 | 0.000806 | 0.00458 | 0.00283* |
| | (0.00155) | (0.00200) | (0.00170) | (0.00316) | (0.00160) |
| მუდმივა | 0.0998*** | 0.163*** | 0.0687** | 0.0519 | 0.0983*** |
| | (0.0255) | (0.0391) | (0.0265) | (0.0645) | (0.0281) |
| დაკვირვება | 100 | 96 | 96 | 100 | 100 |
| დეტერმინ. კოეფ. | 0.252 | 0.135 | 0.452 | 0.238 | 0.252 |
| ქვეყნების რაოდენობა | Clustered | Clustered | Clustered | Clustered | Clustered |

ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

[45] FI- არის ფინანსური ინსტიტუტების განვითრების ინდექსი. FID, FIA, FIE არიან ფინანსური ინსტიტუტების სიღრმე, ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა შესაბამისად. სამართლებრივი - არის სამართლებრივი ინსტიტუციების ხარისხი რომელიც გაზომილია რეგულირების ხარისხის და კანონის უზენაესობის ინდექსების არითმეტიკული საშუალოთი. ფინანს ლიბერ. - არის ქვეყნის ფინანსური სექტორის ლიბერალიზაციის დონე. FI_(t-5) არის ფინანსური განვითარება საწყის პერიოდში. ინფლაცია არის სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით დათვლილი ინფლაცია. ვაჭრობა - სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში. ზრდა - რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი.

*ცხრილი A. 9: ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები: დამოკიდებული ცვლადი ადმინისტრაციული ინსტიტუციები*

| | (1) | (2) | (3) | (4) | (5) | (6) | (7) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცვლადები | ადმინ. | ადმინ. | ადმინ. | ადმინ. | ადმინ. | ადმინ. | ადმინ. |
| ინსტ. გამოც. | 0.0251** | 0.0351*** | 0.0425*** | 0.0212 | 0.0357** | 0.0316** | 0.0474* |
| | (0.012) | (0.011) | (0.012) | (0.015) | (0.014) | (0.013) | (0.027) |
| საწყისი GDP | 0.398** | | | | | | |
| | (0.158) | | | | | | |
| ვაჭრობა | 0.00567 | | | | | | |
| | (0.004) | | | | | | |
| მანძილი ეკვატ. | | 3.481 | | | | 3.788* | |
| | | (2.130) | | | | (2.216) | |
| ჩაკეტილი | | -0.00641 | | | | | |
| | | (0.246) | | | | | |
| ეთნიკური | | | -1.052 | | -0.381 | | |
| | | | (2.019) | | (0.808) | | |
| ენობრივი | | | 0.801 | | | -0.443 | |
| | | | (1.919) | | | (0.594) | |
| რესურსები | | | | -0.0171 | | | |
| | | | | (0.011) | | | |
| მანძ. ვენამდე | | | | -0.179 | | | |
| | | | | (0.126) | | | |
| GDP-ს ზრდა | | | | | -5.937 | | |
| | | | | | (8.780) | | |
| სახ. სიძველე | | | | | | | -0.00305 |
| | | | | | | | (0.028) |
| კავშ. წევრი | | | | | | | 0.182 |
| | | | | | | | (0.546) |
| მუდმივი | -4.279*** | -2.329** | -0.503 | 0.135 | -0.126 | -2.293** | -0.695 |
| | (1.288) | (1.149) | (0.356) | (0.373) | (0.703) | (1.027) | (0.846) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაკვირვებ. რიცხვი | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმ. კოეფიც. | 0.565 | 0.492 | 0.401 | 0.556 | 0.407 | 0.501 | 0.399 |
| სტანსდარტული შეცდომა | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა
*** $p<0.01$, ** $p<0.05$, * $p<0.1$

*ცხრილი A. 10: ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები: დამოკიდებული ცვლადი სამართლებრივი ინსტიტუციები*

| ცვლადები | (1) ლეგალ. | (2) ლეგალ. | (3) ლეგალ. | (4) ლეგალ. | (5) ლეგალ. | (6) ლეგალ. | (7) ლეგალ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინსტ. გამოც. | 0.0207** | 0.0326*** | 0.0421*** | 0.0169 | 0.0312** | 0.0286*** | 0.0507* |
| | (0.010) | (0.009) | (0.011) | (0.012) | (0.013) | (0.011) | (0.027) |
| საწყისი GDP | 0.430*** | | | | | | |
| | (0.148) | | | | | | |
| ვაჭრობა | 0.00782** | | | | | | |
| | (0.004) | | | | | | |
| მანძილი ეკვატ. | | 3.587* | | | | 3.797 | |
| | | (2.175) | | | | (2.362) | |
| ჩაკეტილი | | 0.0283 | | | | | |
| | | (0.244) | | | | | |
| ეთნიკური | | | -2.288 | | -0.635 | | |
| | | | (1.952) | | (0.860) | | |
| ენობრივი | | | 1.798 | | | -0.449 | |
| | | | (1.866) | | | (0.576) | |
| რესურსები | | | | -0.0117 | | | |
| | | | | (0.007) | | | |
| მანძ. ვენამდე | | | | -0.224*** | | | |
| | | | | (0.084) | | | |
| GDP-ს ზრდა | | | | | -7.039 | | |
| | | | | | (8.721) | | |
| სახ. სიძველე | | | | | | | -0.0178 |
| | | | | | | | (0.030) |
| კავშ. წევრი | | | | | | | 0.177 |
| | | | | | | | (0.552) |
| მუდმივი | -4.961*** | -2.623** | -0.633* | -0.0397 | -0.175 | -2.509** | -0.53 |
| | (1.127) | (1.145) | (0.349) | (0.297) | (0.767) | (1.070) | (0.925) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დაკვირვებ. რიცხვი | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმ. კოეფიც. | 0.654 | 0.49 | 0.422 | 0.561 | 0.406 | 0.501 | 0.405 |
| სტანსდარტული შეცდომა | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა
*** $p<0.01$, ** $p<0.05$, * $p<0.1$

*ცხრილი A. 11: ჯვარედინი მონაცემების რეგრესიის შედეგები: დამოკიდებული ცვლადი პოლიტიკური ინსტიტუციები*

| | (1) | (2) | (3) | (4) | (5) | (6) | (7) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცვლადები | პოლიტ. | პოლიტ. | პოლიტ. | პოლიტ. | პოლიტ. | პოლიტ. | პოლიტ. |
| ინსტ. გამოც. | 0.0231*** | 0.0384*** | 0.0446*** | 0.0186* | 0.0348*** | 0.0333*** | 0.0535** |
| | (0.007) | (0.008) | (0.011) | (0.010) | (0.012) | (0.010) | (0.026) |
| საწყისი GDP | 0.498*** | | | | | | |
| | (0.122) | | | | | | |
| ვაჭრობა | 0.00870*** | | | | | | |
| | (0.003) | | | | | | |
| მანძილი ეკვატ. | | 3.448 | | | | 3.598 | |
| | | (2.158) | | | | (2.502) | |
| ჩაკეტილი | | 0.0668 | | | | | |
| | | (0.216) | | | | | |
| ეთნიკური | | | -1.428 | | -0.634 | | |
| | | | (1.731) | | (0.805) | | |
| ენობრივი | | | 1 | | | -0.529 | |
| | | | (1.593) | | | (0.586) | |
| რესურსები | | | | -0.00546 | | | |
| | | | | (0.010) | | | |
| მანძ. ვენამდე | | | | -0.299*** | | | |
| | | | | (0.094) | | | |
| GDP-ს ზრდა | | | | | -9.357 | | |
| | | | | | (7.507) | | |
| სახ. სიძველე | | | | | | | -0.0181 |
| | | | | | | | (0.033) |
| კავშ. წევრი | | | | | | | 0.0983 |
| | | | | | | | (0.493) |
| მუდმივი | -5.403*** | -2.407** | -0.469 | 0.243 | 0.122 | -2.198** | -0.27 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (0.855) | (1.087) | (0.350) | (0.241) | (0.696) | (1.088) | (0.935) |
| დაკვირვებ. რიცხვი | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 |
| დეტერმ. კოეფიც. | 0.77 | 0.538 | 0.467 | 0.654 | 0.487 | 0.55 | 0.47 |
| სტანსდარტული შეცდომა | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped | Bootstrapped |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** $p<0.01$, ** $p<0.05$, * $p<0.1$

*ცხრილი A. 12: პანელური რეგრესია წლიური მონაცემებით*

| ცვლადები | (1)<br>ინსტ. | (2)<br>ლეგლ<br>ინსტ. | (3)<br>ადმინ.<br>ინსტ. | (4)<br>პოლიტიკალ.<br>ინსტ. |
|---|---|---|---|---|
| ინსტ. გამოც. | 0.0352*** | 0.0341*** | 0.0314*** | 0.0400*** |
| | (0.010) | (0.010) | (0.010) | (0.010) |
| ევროკ. წევრი | 0.0377 | 0.00535 | 0.026 | 0.0818 |
| | (0.114) | (0.153) | (0.120) | (0.083) |
| ევროკ. კანდიდატი | 0.119** | 0.0754 | 0.120* | 0.161** |
| | (0.056) | (0.060) | (0.058) | (0.059) |
| რესურსები | -0.00345 | -0.00267 | -0.00287 | -0.00499** |
| | (0.002) | (0.003) | (0.002) | (0.002) |
| საწყისი GDP | 0.194*** | 0.205** | 0.303*** | 0.0728 |
| | (0.067) | (0.086) | (0.073) | (0.053) |
| GDP-ს ზრდა | -0.0905 | -0.308 | -0.184 | 0.221 |
| | (0.199) | (0.214) | (0.239) | (0.200) |
| ვაჭრობა | 0.000636 | 0.000852 | 0.000825 | 0.000248 |
| | (0.001) | (0.002) | (0.001) | (0.001) |
| მუდმივა | -2.422*** | -2.678*** | -3.294*** | -1.291** |
| | (0.611) | (0.789) | (0.652) | (0.501) |
| დაკვირვებათა რიცხვი | 494 | 494 | 494 | 494 |
| Number of id | 25 | 25 | 25 | 25 |
| სტანდარტული გად. | Clustered | Clustered | Clustered | Clustered |
| Wald chi2 | 186.1 | 140.9 | 350.5 | 65.22 |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

*ცხრილი A. 13: პანელური რეგრესია შემთხვევითი ეფექტებით*

| | (1) | (2) | (3) | (4) |
|---|---|---|---|---|
| ცვლადები | Avg. WGI | Legal | Admin. | Political |
| ინსტ. გამოც. | 0.0139* | 0.00907 | 0.0158* | 0.0165** |
| | (0.007) | (0.008) | (0.009) | (0.007) |
| ევროკ. წევრი | 0.504*** | 0.530*** | 0.405** | 0.593*** |
| | (0.163) | (0.203) | (0.163) | (0.139) |
| ევროკ. კანდიდატი | 0.481*** | 0.518*** | 0.378*** | 0.565*** |
| | (0.134) | (0.182) | (0.098) | (0.137) |
| რესურსები | -0.0126*** | -0.0136*** | -0.0094* | -0.0137*** |
| | (0.004) | (0.005) | (0.005) | (0.004) |
| საწყისი GDP | 0.194*** | 0.210*** | 0.273*** | 0.103* |
| | (0.070) | (0.080) | (0.082) | (0.061) |
| GDP-ს ზრდა | 0.896 | 0.54 | 0.921 | 1.267 |
| | (0.756) | (0.823) | (0.802) | (0.815) |
| ვაჭრობა | 0.00148 | 0.00208 | 0.000981 | 0.00142 |
| | (0.001) | (0.002) | (0.002) | (0.001) |
| მუდმივა | -2.336*** | -2.634*** | -2.920*** | -1.516*** |
| | (0.640) | (0.720) | (0.738) | (0.560) |
| დაკვირვებათა რიცხვი | 100 | 100 | 100 | 100 |
| Number of id | 25 | 25 | 25 | 25 |
| სტანდარტული გად. | Clustered | Clustered | Clustered | Clustered |

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

## ინსტიტუციური გამოცდილება

საზომის შექმნის მიზნით, ვითვლით 1900 წლის შემდეგ იმ წლების რაოდენობას, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელი, თვითმართვადი და არასაბჭოთა სახელმწიფო იყო. ტერმინი „საბჭოთა სახელმწიფო" აღნიშნავს კომუნისტურ სისტემას, სადაც ძირითადად გვაქვს გეგმიური ეკონომიკა, სახელმწიფო ფლობს წარმოებისათვის საჭირო რესურსებისა და ქონების უმეტეს ნაწილს, აკონტროლებს ეკონომიკურ აქტივობას და პოლიტიკურ სფეროში დომინირებს ერთი პარტია.

ამ საზომით, ჩვენ გვინდა ავსახოთ დამოუკიდებელი თვითმართვადი ქვეყნის ფუნქციონირების ისტორიული გამოცდილება, სადაც მოქმედი ინკლუზიური და საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული ინსტიტუციები თანამედროვე ინსტიტუციური მოწყობის მსგავსია, დამოუკიდებელი არასაბჭოთა მთავრობის არსებობის გათვალისწინებით.

ეს ცვლადი ეფუძნება კონგრესის ბიბლიოთეკის ფედერალური კვლევის განყოფილების მიერ მომზადებულ ქვეყნების კვლევის სერიებში მოცემულ ინფორმაციას.[46] ერთადერთი გამონაკლისია უკრაინა, რომელიც ამ სერიებში არ არის შეტანილი. უკრაინის შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია ენციკლოპედია ბრიტანიკადან[47].

**ალბანეთი:** 1878 წელს ალბანეთის ლიდერებმა ჩამოაყალიბეს პრიზრენის ლიგა და მოითხოვეს ტერიტორიული ავტონომია. ათწლეულების მანძილზე არსებული არეულობის შემდეგ, 1912 წელს, პირველი ბალკანეთის ომის წინ, დიდი აჯანყება მოხდა ალბანელების მიერ დასახლებულ ოსმალეთის ტერიტორიებზე, რის შედეგადაც ალბანეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. თუმცა, ახალგაზრდა სახელმწიფო, 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში ჩამოიშალა. ალბანეთმა ნამდვილ სახელმწიფოებრიობას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს მიაღწია, ნაწილობრივ ამერიკის შეერთებული შტატების

[46] https://www.loc.gov/collections/country-studies/about-this-collection/
[47] https://www.britannica.com/

დიპლომატიური შუამავლობის გამო. 1920 წელს სახელმწიფო აღიარა ერთა ლიგამ და ალბანეთი მისი სრულუფლებიანი წევრი გახდა. 1939 წელს იტალიელებმა ალბანეთის ტერიტორიები დაიკავეს. 1944 წელს ალბანელებმა, კომუნისტი მმართველის ხოჯას მეთაურობით, აღადგინეს კონტროლი დაკარგულ ტერიტორიაზე. 1946 წელს კომუნისტური მმართველობა სრულად დამკვიდრდა. ამრიგად, ალბანეთს მივანიჭეთ დამოუკიდებლობის 2 წელი 1912-დან 1914 წლამდე და 21 წელი 1918-დან 1939 წლამდე. საერთო ჯამში ალბანეთის დამოუკიდებლობა ითვლის 23 წელს.

**ბულგარეთი:** ბულგარეთს ავტონომია ჰქონდა 1878 წლიდან. სრული დამოუკიდებლობა 1908 წელს მოიპოვა, კონსტიტუცია კი 1911 წელს დაამტკიცა. 1915-1918 წლებში ბულგარეთი პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა ცენტრალური ძალების მხარეს. პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი რთული პოლიტიკური კოალიციებითა და ნელი ეკონომიკური ზრდით ხასიათდებოდა. მძიმე სოციალური არეულობის მიუხედავად, მეფე ბორისმა მოახერხა მთავრობაზე მკაცრი კონტროლის შენარჩუნება მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1941 წელს ბულგარეთმა ხელი მოაწერა სამმხრივ პაქტს, რომელმაც ის მეორე მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე გახადა. ბულგარეთი ომის დროს თავს იკავებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისგან. 1943-1944 წლებში მოკავშირეთა საჰაერო დარტყმებმა სერიოზულად დააზიანა სოფია. 1944 წელს, წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ, ბულგარეთის დროებითი მთავრობა კომუნისტურმა კოალიციამ დაამხო. 1946 წელს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის (BCP) წარმომადგენელი გეორგი დიმიტროვი გახდა ბულგარეთის ახალი რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი. საბჭოთა კავშირი სრულად აკონტროლებდა ქვეყანას 1946-1947 წლებში. ამიტომ, ჩვენ ბულგარეთი დამოუკიდებელ არასაბჭოურ სახელმწიფოდ მივიჩნიეთ 1908-დან 1944 წლამდე. შესაბამისად, ბულგარეთს ენიჭება დამოუკიდებლობის 36 წელი.

**უნგრეთი:** 1867 წელს, უნგრეთმა ავსტრიისგან ავტონომია მიიღო შიდა საქმეებთან დაკავშირებით, შედეგად ჩამოყალიბდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია.

ხელშეკრულების თანახმად, ავსტრიის იმპერატორი ნიშნავდა უნგრეთის მთავრობას, რომელიც მართავდა საშინაო საქმეებს, ხოლო ვენა საგარეო პოლიტიკას, თავდაცვასა და ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტდა. სრული დამოუკიდებლობა ქვეყანამ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს მოიპოვა. შემდეგ, 1919 წელს, იყო კომუნისტური მთავრობის მოკლე პერიოდი (133 დღე), რომელიც ანტიკომუნისტურმა ძალებმა მალევე დაამხეს. 1943 წლის აპრილში ქვეყანა გერმანელებმა დაიპყრეს. 1945 წლის აპრილში გერმანელები საბჭოთა კავშირის ძალებმა გააძევეს. შემდეგ დაიწყო სტალინის კომუნიზმში გადასვლის ეტაპობრივი გეგმის განხორციელება მრავალპარტიული არჩევნებით. თუმცა, 1947 წელს, მას შემდეგ რაც ევროპას მარშალის გეგმა შესთავაზეს, სტალინმა გრადუალიზმზე უარი თქვა, კომუნისტებმა აიღეს ძალაუფლება და 1949 წელს ერთპარტიული არჩევნები ჩაატარეს. ამის გარდა, 1949 წელს თითქმის ყველა მუშა (99%) იყო სახელმწიფო მოხელე, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებდა ქვეყნის ეკონომიკას და რესურსებს. შესაბამისად, უნგრეთს ენიჭება დამოუკიდებლობის 25 წელი 1918 წლიდან 1943 წლამდე.

**პოლონეთი:** დამოუკიდებელი პოლონეთი კვლავ აღმოცენდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წელს. 1919-21 წლებში ქვეყანას ომი ჰქონდა საბჭოთა რუსეთთან და მცირე გამარჯვების წყალობით საბჭოთა კავშირს მისი დაპყრობის საშუალება არ მისცა. 1939 წელს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ძალებმა დაიკავეს პოლონეთი. 1945 წელს წითელმა არმიამ აიღო კონტროლი პოლონეთის მთლიან ტერიტორიაზე და ჩამოაყალიბა კომუნისტური მთავრობა. 1945 წელს იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე სტალინმა პირობა დადო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. თუმცა, 1947 წლის არჩევნები ფაქტობრივად ერთპარტიული სიით იყო და ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, პოლონეთის გლეხობის პარტია იყო. შედეგად, პარლამენტის 434 ადგილიდან კომუნისტებმა 417 ადგილი მოიპოვეს. კომუნისტებმა შემოიღეს გეგმიური ეკონომიკის სისტემა და 1950 წლიდან პირველი

ექვსწლიანი გეგმა აამოქმედეს. შესაბამისად, პოლონეთს 21 წლიანი დამოუკიდებლობის ისტორია აქვს 1918-1939 წლებში.

**რუმინეთი:** ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, 1878 წელს, მეფე ჩარლზმა გამოაცხადა რუმინეთის დამოუკიდებლობა და ამით ხუთ საუკუნოვანი ვასალობის ხანა დაასრულა. ევროპულმა სახელმწიფოებმა 1880 წელს აღიარეს რუმინეთის დამოუკიდებლობა. 1881 წელს პარლამენტმა რუმინეთი სამეფოდ გამოაცხადა და ჩარლზი მეფედ ეკურთხა. მომდევნო სამი ათწლეული რუმინეთისთვის შედარებით მშვიდობიანი და ეკონომიკური თვალსაზრისით წარმატებული აღმოჩნდა. თანმიმდევრული კონსერვატიული და ლიბერალური მთავრობების პოლიტიკა მცირედ იცვლებოდა. 1916 წლის 27 აგვისტოს, რუმინეთმა ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს. 1918 წლის ბოლოს რუმინეთის ლიდერები პარიზში მშვიდობის კონფერენციაზე გაემგზავრნენ სამეფოს ფართო ტერიტორიული პრეტენზიების გასაცხადებლად. კონფერენცია 1919 წლის 18 იანვარს გაიხსნა. მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს რუმინეთის თითქმის ყველა პრეტენზიას, მათ შორის ტრანსილვანიის, ბესარაბიის და ჩრდილოეთ ბუკოვინას მიმართ. 1919 წელს რუმინელებმა მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის პირველ თავისუფალ არჩევნებში. 1922 წლის ოქტომბერში ფერდინანდი გახდა დიდი რუმინეთის მეფე. 1923 წელს ქვეყანამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფდა უმცირესობების უფლებებს. 1939 წელს საფრანგეთმა და ბრიტანეთმა პირობა დადო, რომ უზრუნველყოფდნენ რუმინეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ასეთი მოლაპარაკებები ჩავარდა საბჭოთა კავშირთან, როდესაც რუმინეთმა ნება არ მისცა წითელ არმიას ქვეყნის გავლით გადასულიყო ევროპაში. 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის არმია რუმინეთის მხარდაჭერით თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და სტალინგრადისკენ დაიძრა. ომის დროს ანტონესკუს რეჟიმი სასტიკად ჩაგრავდა რუმინეთის უმცირესობებს. წითელმა არმიამ ბუქარესტი 1944 წლის 31 აგვისტოს დაიპყრო. 1945 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირმა მეფე აიძულა მთავრობის მეთაურად კომუნისტების მხარდამჭერი პეტრუ გროზას დანიშვნა. 1946 წლის 19 ნოემბერს რუმინელებმა მონაწილეობა მიიღეს ერთპარტიულ არჩევნებში. გროზას მთავრობამ ამომრჩეველთა თითქმის 90

პროცენტიანი მხარდაჭერა მიიწერა. ოპოზიცური პარტიის კანონმდებლებმა მალევე ან თავიანთი ნებით მიატოვეს ახალი პარლამენტი ან აეკრძალათ პარლამენტში საქმიანობა. 1948 წლისთვის სახელმწიფო აკონტროლებდა რუმინეთის ინდუსტრიის 90 პროცენტს. 1948 წლის ივლისში მთავრობამ ეკონომიკის გასაკონტროლებლად შექმნა სახელმწიფო დაგეგმვის კომისია. შესაბამისად, რუმინეთს დამოუკიდებლობის 44 წელი ენიჭება 1900-დან 1944 წლამდე.

**ჩეხეთი და სლოვაკეთი (ჩეხოსლოვაკია)** 1526-დან 1918 წლამდე ჩეხეთისა და სლოვაკეთის ტერიტორიები (ბოჰემია და მორავია) ავსტრიის ჰაბსბურგების ხელში იყო, რასაც შემდეგ ავსტრია-უნგრეთის იმპერია ეწოდა. 1918 წელს გაჩნდა გაერთიანებული ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა. 1939 წელს ჩეხოსლოვაკია გერმანელებმა დაიპყრეს. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეხოსლოვაკია გაქრა ევროპის რუკიდან. 1945 წელს წითელმა არმიამ მოიპოვა ტერიტორიის კონტროლი და კვლავ გამოჩნდა გაერთიანებული ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ჩეხოსლოვაკია მრავალპარტიულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, სინამდვილეში კომუნისტები სრულ კონტროლს ფლობდნენ. კომუნისტური პარტია საზღვრავდა არამარქსისტული პარტიებისთვის დასაშვებ პროცენტულ წარმომადგენლობას პარლამენტში. 1948 წლის 9 მაისს ეროვნულმა ასამბლეამ ახალი კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ყველა იმ კომერციული და სამრეწველო საწარმოს ნაციონალიზაციას, რომლებსაც ორმოცდაათზე მეტი თანამშრომელი ჰყავდათ. სოფლის მეურნეობის კერძო სექტორი თითქმის აღარ არსებობდა. 1987 წლის აღწერის მონაცემებით, ჩეხები მოსახლეობის დაახლოებით 63 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო სლოვაკები - 31 პროცენტს. უნგრელები, უკრაინელები, პოლონელები, გერმანელები და ბოშები შეადგენდნენ ძირითად უმცირესობებს. ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებს ვანიჭებთ დამოუკიდებლობის 21 წელს 1918-დან 1939 წლამდე.

**სლოვენია, ხორვატია, მაკედონია (იუგოსლავია):** 1918 წლამდე სლოვენიის ტერიტორია ავსტრიულ ჰაბსბურგებს ეკუთვნოდათ, მაკედონიაში ოსმალეთი

ბატონობდა, ხოლო ხორვატია უნგრეთის ნაწილი იყო შეზღუდული ავტონომიით. 1918 წლის 1 დეკემბერს პრინცმა რეგენტმა ალექსანდრე ყარაჯორჯევიჩმა და ეროვნული საბჭოს, ბოსნია და ჰერცეგოვინისა და მონტენეგროს დელეგატებმა გამოაცხადეს სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფოს დაარსება, რომელსაც ალექსანდრე ჩაუდგებოდა სათავეში. პარიზის მშვიდობის კონფერენციამ სამეფო 1919 წლის მაისში აღიარა. ცენტრალური ძალები ქვეყანაში 1941 წელს შეიჭრნენ. გერმანიამ, იტალიამ, უნგრეთმა და ბულგარეთმა დაინაწილეს იუგოსლავია. კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა საბოლოოდ იუგოსლავიის ყველაზე დიდი და აქტიური წინააღმდეგობის მოძრაობა შექმნეს ქვეყანაში. ომის შემდეგ იუგოსლავიის მმართველები კომუნისტები იყვნენ ტიტოს ხელმძღვანელობით. 1944 წლის ბოლოს  მეფე პეტარმა თავისი უფლებამოსილებები სამკაციან საბჭოს გადასცა. 1945 წლის 7 მარტს იუგოსლავიის დროებითი მთავრობა დაინიშნა. ტიტო გახდა პრემიერ მინისტრი და ომის მინისტრი, სუბაშიჩი კი საგარეო საქმეთა მინისტრი. დანარჩენი კაბინეტები ტიტოს მომხრეებმა დაიკავეს. დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებში სახალხო ფრონტის კანდიდატებმა ხმების 90 პროცენტი მიიღეს. ახლად არჩეული დამფუძნებელმა ასამბლეამ გააუქმა მონარქია და 1945 წლის 29 ნოემბერს დააარსა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. ორი თვის შემდეგ მათ მიიღეს საბჭოთა სტილის კონსტიტუცია. ტიტოს მთავრობამ წამოიწყო მიწის რეფორმა და ჩამოაყალიბა საბჭოთა სტილის ეკონომიკური სისტემა.

1981 წლის აღწერით სერბები მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენდნენ. მათ მოსდევდნენ ხორვატები (19,7%), მაჰმადიანი სლავები (8,9%), სლოვენიელები (7,8%), ალბანელები (7,7%), მაკედონელები (6,0%), მონტენეგროელები (2,6%) და უნგრელები (1,9%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სლოვენიას, ხორვატიასა და მაკედონიას ვანიჭებთ დამოუკიდებლობის 23 წელს 1918 წლიდან 1941 წლამდე.

**სომხეთი:** პირველ მსოფლიო ომამდე სომხეთის ტერიტორია ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იყო მოქცეული. 1917 წელს სომხეთმა,

აზერბაიჯანმა და საქართველომ ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაცია. 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების გამო, დამოუკიდებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოები გამოჩნდნენ. 1920 წელს აზერბაიჯანსა და სომხეთში წითელი არმია შეიჭრა და იძულებით ჩამოაყალიბა კომუნისტური მთავრობა. 1922 წელს სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო საბჭოთა კავშირში ერთ სახელმწიფოდ - ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად შევიდა. შესაბამისად, სომხეთს დამოუკიდებლობის 2 წელი უფიქსირდება 1918-დან 1920 წლამდე. თუმცა რადგან მათ ამ პერიოდის მანძილზე ვერ მოახერხეს კონსტიტუციის მიღება არ ვანიჭებთ ინსტიტუციურ გამოცდილებას.

**აზერბაიჯანი:** აზერბაიჯანის უცხოური მმართველობა სპარსეთიდან რუსეთს გადაეცა და 1918 წლამდე გაგრძელდა. 1917 წელს სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაცია ჩამოაყალიბეს. 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების გამო, დამოუკიდებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოები გამოჩნდნენ. 1920 წელს აზერბაიჯანსა და სომხეთში წითელი არმია შეიჭრა და იძულებით ჩამოაყალიბა კომუნისტური მთავრობა. 1922 წელს სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო საბჭოთა კავშირში ერთ სახელმწიფოდ - ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად შევიდა. შესაბამისად, აზერბაიჯანს დამოუკიდებლობის 2 წელი უფიქსირდება 1918-დან 1920 წლამდე. თუმცა რადგან მათ ამ პერიოდის მანძილზე ვერ მოახერხეს კონსტიტუციის მიღება არ ვანიჭებთ ინსტიტუციურ გამოცდილებას.

**საქართველო:** 1801 წელს, რუსეთი იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ბაგრატიონთა მემკვიდრე იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე. შემდეგ ათწლეულში, რუსეთის იმპერიამ ეტაპობრივად დაიმორჩილა საქართველოს მთელი ტერიტორია. უცხოური მმართველობა 1918

წლამდე გაგრძელდა. 1917 წელს, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაცია ჩამოაყალიბა. 1918 წელს, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების გამო, დამოუკიდებელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფოები გამოჩნდნენ. 1921 წელს, საქართველოში წითელი არმია შეიჭრა და განდევნა ჟორდანიას მთავრობა. 1922 წელს სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო საბჭოთა კავშირში ერთ სახელმწიფოდ - ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად შევიდა. საქართველომ მოახერხა კონსტიტუციის მიღება დამოუკიდებლობის დაკარგვამდე რამდენიმე დღით ადრე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ენიჭება დამოუკიდებლობის 3 წელი 1918 წლიდან 1921 წლამდე.

**ბელარუსი:** 1795 წელისთვის რუსეთი სრულად აკონტროლებდა ქვეყნის მთლიანი ტერიტორია. 1919 წელს, ბელარუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა და შემდეგ რუსეთმა მას თანდათან გადასცა ტერიტორიები. 1921 წელს, რიგის ხელშეკრულების თანახმად, ქვეყანა პოლონეთსა და რუსეთს შორის გაიყო. 1939 წელს პოლონეთის ტერიტორია დაემატა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. შესაბამისად, ბელორუსიას დამოუკიდებლობის 0 წელი უფიქსირდება.

**მოლდოვა:** 1513 წლიდან ქვეყნის ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდათ. 1812 წელს, ბუქარესტის ხელშეკრულებით, რუსეთმა ბესარაბიას (მოლდოვა) თურქეთს გადასცა. 1918 წელს ბესარაბია გაერთიანდა რუმინეთთან. 1940 წელს ბესარაბია საბჭოთა ძალებმა დაიკავეს. ერთი წლის შემდეგ, 1941 წელს, რუმინეთმა კვლავ დაიკავა ტერიტორია. 1944 წელს, პროვინცია საბჭოთა კავშირში ინტეგრირდა როგორც მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აქედან გამომდინარე, მოლდოვას ენიჭება დამოუკიდებლობის 0 წელი.

**ესტონეთი:** 1629 წელს, ალტმარკის ზავით ესტონეთის მთლიანი ტერიტორია შვედეთის კონტროლის ქვეშ მოექცა. 1721 წელს შვედეთმა მიწა რუსეთს გადასცა. 1918 წელს ესტონეთმა, ლიეტუვამ და ლატვიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1940 წელს ესტონეთი გაწევრიანდა საბჭოთა კავშირში. 1941-1944 წლებში ტერიტორია გერმანელებმა დაიპყრეს, მაგრამ საბჭოთა ძალებმა კონტროლი აღადგინეს 1944 წელს. შესაბამისად, ესტონეთის დამოუკიდებლობა 22 წელს ითვლის 1918 წლიდან 1940 წლამდე.

**ლატვია:** 1795 წელს რუსეთმა ლატვიის მთიანი ტერიტორია დაისაკუთრა. ლატვიამ დამოუკიდებლობა 1918 წლის 18 ნოემბერს გამოაცხადა. 1940 წელს ქვეყანაში წითელი არმია შეიჭრა და ლატვია საბჭოთა კავშირში გაწევრიანდა. 1941-1944 წლებში ტერიტორია გერმანელებმა დაიკავეს, მაგრამ საბჭოთა ჯარებმა კონტროლი 1944 წელს აღადგინეს. შესაბამისად, ლატვიას ენიჭება დამოუკიდებლობის 22 წელი 1918-დან 1940 წლამდე.

**ლიეტუვა:** 1795 წელს ლიეტუვის ტერიტორია რუსეთის კონტროლში მოექცა. 1918 წელს ლიეტუვის არჩეულმა საბჭომ რუსეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1940 წელს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ძალები შევიდნენ და ლიეტუვა იძულებით გააწევრიანეს კავშირში.1941-1944 წლებში ქვეყანა გერმანელებმა დაიკავეს, მაგრამ 1944 წელს საბჭოთა ჯარებმა აღადგინეს ტერიტორიის კონტროლი. შესაბამისად, ლიეტუვა ითვლის დამოუკიდებლობის 22 წელს 1918-დან 1940 წლამდე.

**ყაზახეთი:** ყაზახეთის ტერიტორია მეოცე საუკუნემდე რუსეთის იმპერიას ექვემდებარებოდა. 1917 წელს საერო ნაციონალისტთა ჯგუფმა, სახელწოდებით ალაშ ორდა (Horde of Alash) ყაზახი ხალხის ლეგენდარული დამფუძნებლის საპატივსაცემოდ, სცადა დამოუკიდებელი ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბება. თუმცა საბოლოოდ ხელისუფლება ბოლშევიკების ხელში მოექცა. ბოლშევიკები ახალი

პოლიტიკური სისტემით რუსეთის კონტროლის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ყირგიზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1920 წელს შეიქმნა. 1925 წელს, როცა ყაზახი და ყირგიზი ხალხი ოფიციალურად განასხვავეს, რესპუბლიკას სახელი გადაერქვა და დაერქვა ყაზახეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. (რუსეთის იმპერიამ აღიარა ეთნიკური განსხვავებები ორ ჯგუფს შორის; თუმცა ორივე ჯგუფს "ყირგიზს" უწოდებდა, რათა თავიდან აერიდებინა ტერმინებით "ყაზახი"("Kazak") და "კაზაკი" ("Cossack") გამოწვეული დაბნეულობა.) შესაბამისად, ყაზახეთს ენიჭება დამოუკიდებლობის 0 წელი.

**ყირგიზეთი:** 1855 წელს, ყირგიზეთის ტერიტორია გაყოფილი იყო კოკანდსა და რუსეთს შორის. 1916 წლისთვის რუსეთმა თანდათანობით მთელი ყირგიზეთის ტერიტორიის კონტროლი მოიპოვა. 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის (იხ. ტერმინები) შემდეგ დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდი დაფიქსირდა. 1924 წელს ყირგიზეთის დღევანდელ ტერიტორიას ეწოდა კარა-ყირგიზეთის ავტონომიური რეგიონი და გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წევრი ქვეყანა. 1926 წელს ოფიციალური სახელი შეიცვალა და გახდა ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. 1936 წელს კი ქვეყანამ მოიპოვა სრულად საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსი. შესაბამისად, ყირგიზეთს ენიჭება დამოუკიდებლობის 0 წელი.

**ტაჯიკეთი:** 1868 წელს, ბუხარა, რომელიც ტაჯიკეთის დღევანდელი ტერიტორიის უმეტეს ნაწილს მოიცავდა, გახდა რუსეთის პროტექტორატი. 1920 წელს ბუხარანის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა. 1924 წელს ტაჯიკეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაარსდა. შესაბამისად, ტაჯიკეთს დამოუკიდებლობის 0 წელი ენიჭება.

**თურქმენეთი:** 1881 წელს შეიქმნა ტრანსკასპიის პროვინცია და თურქმენეთის მთლიანი დღევანდელი ტერიტორია რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. იმის გამო,

რომ თურქმენები 1917 წელს საბჭოთა მმართველობის გაძლიერების მიმართ ზოგადი გულგრილობით ხასიათდებოდნენ, მომდევნო წლებში მცირე რევოლუციური აქტივობა დაფიქსირდა. თუმცა, ოქტომბრის რევოლუციამდელ წლებში აღსანიშნავი იყო რუსული მმართველობის წინააღმდეგ თურქმენეთის ქაოსური აჯანყებები. აღსანიშნავია 1916 წლის ანტიცარისტური აჯანყება, რომელიც თურქმენეთის მთელ ტერიტორიას მოედო. მათი შეიარაღებული დაუმორჩილებლობა საბჭოთა მმართველობისადმი 1920-იან და 1930-იან წლებში ცენტრალური აზიის მასშტაბით ბასმაჩის დიდი აჯანყების ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წყაროები ამ პერიოდს მოკლედ აღწერს რესპუბლიკის ისტორიაში, ნათელია, რომ აჯანყება მტკიცე იყო და მას ბევრი თურქმენი ემსხვერპლა. თურქმენეთს დამოუკიდებლობის 0 წელი უფიქსირდება.

**უზბეკეთი:** 1873 წლისთვის, ორივე ბუხარა და ხივი რუსეთის პროტექტორატები გახდნენ. მათ რიგს მალე კოკანდიც შეუერთდა. 1924 წელს ჩამოყალიბდა უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირში გაწევრიანდა. შესაბამისად, უზბეკეთს ენიჭება დამოუკიდებლობის 0 წელი.

**უკრაინა:** 1795 წელს, რუსეთმა მიიღო ქვეყნის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი. 1922 წელს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გაწევრიანდა საბჭოთა კავშირში. ბოლშევიკური კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები ოფიციალურად ორგანიზებული იყო როგორც უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა 1937 წლიდან. ბოლშევიკების გავლენით, 1917 წლის დეკემბერში, მთლიანად უკრაინულმა საბჭოთა კონგრესმა ჯერ ჩამოაყალიბა უკრაინის საბჭოური მთავრობა. შემდეგ, 1918 წლის მარტში, კონგრესმა საბჭოური უკრაინის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. და ბოლოს, 1919 წლის მარტში, საბჭოური უკრაინის პირველი კონსტიტუცია მიიღო. თუმცა, ეს ნაბიჯები ძირითადად იყო უკრაინული ნაციონალიზმის აშკარა გაძლიერების ტაქტიკური პასუხი. ბოლშევიკური მმართველობის კონსოლიდაციით, საბჭოთა უკრაინამ თავისი უფლებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა საგარეო

ურთიერთობები და საგარეო ვაჭრობა, თანდათან გადასცა რუსეთს. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) - რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობით - გამოცხადდა. აქედან გამომდინარე, უკრაინას დამოუკიდებლობის 0 წელი აქვს მინიჭებული.

**რუსეთი:** 1894 წელს ნიკოლოზ II გახდა იმპერატორი. 1898 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ჩამოყალიბდა და მარტში პირველი კონგრესი ჩაატარა. 1903 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გამოიყო ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციები. იანვრის სისხლიანმა კვირამ ბიძგი მისაცა 1905 წლის რევოლუციას. შედეგად მთავრობამ გამოსცა ე.წ. ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. 1906 წელს აირჩიეს პირველი დუმა (პარლამენტი) და პრემიერ-მინისტრად პეტრე სტოლიპინი დაინიშნა. 1911 წელს პეტრე სტოლიპინი მოკლეს. 1917 წელს მოხდა თებერვლის რევოლუცია, რომლის დროსაც პეტროგრადში აჯანყდნენ მუშები. ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა და იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ტახტზე უარი თქვა. დემონსტრაციების შედეგად ხელისუფლების ხელმძღვანელი გახდა ალექსანდრე კერენსკი. ლენინი შვეიცარიიდან პეტროგრადში დაბრუნდა. ბოლშევიკური ფრაქცია ხელისუფლების ჩამოშორების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ აიკრძალა. შემდეგ, ბოლშევიკებმა ხელისუფლება წაართვეს დროებითი მთავრობას. ლენინი, როგორც ბოლშევიკების ლიდერი, გახდა სახელმწიფოს მეთაური და ჩამოყალიბდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა; შეირჩა დამფუძნებელი ასამბლეა; შეიქმნა ჩეკა (საიდუმლო პოლიცია); რუსეთს 1900-დან 1917 წლამდე დამოუკიდებლობის 17 წელი ენიჭება.

| ინდექსის შეჯამება | |
|---|---|
| **ქვეყანა** | **ინსტიტუციური გამოცდილება** |
| ალბანეთი | 23 |
| სომხეთი | 0 |
| აზერბაიჯანი | 0 |
| ბელარუსი | 0 |

| | |
|---|---|
| ბულგარეთი | 36 |
| ხორვატია | 23 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 21 |
| ესტონეთი | 22 |
| საქართველო | 3 |
| უნგრეთი | 25 |
| ყაზახეთი | 0 |
| ყირგიზეთის | 0 |
| ლატვია | 22 |
| ლიეტუვა | 22 |
| მაკედონია | 23 |
| მოლდოვა | 0 |
| პოლონეთი | 21 |
| რუმინეთი | 44 |
| რუსეთის ფედერაცია | 17 |
| სლოვაკეთის რესპუბლიკა | 21 |
| სლოვენია | 23 |
| ტაჯიკეთი | 0 |
| თურქმენეთი | 0 |
| უკრაინა | 0 |
| უზბეკეთი | 0 |

# გამოქვეყნებული ნაშრომები


გაბრიაძე, ი. (2018). ინსტიტუციები და განვითარება: პოსტ-საბჭოთა სივრცის გამოცდილება. ეკონომისტი, 140-151.

Gabriadze, I., & Eydam, U. (2020). Institutional development in transition economies – the role of institutional experience. Post-Soviet Affairs, 1-20. doi:10.1080/1060586X.2020.1848171

Gabriadze, I., & Eydam, U. (2021). Legal Institutions, Financial Liberalization and Financial Development in Transition Economies. In T. T. Moldogaziev, G. A. Brewer, E. J. Kellough, & A. Umland (Ed.), Public Policy and Politics in Georgia Lessons from Post-Soviet Transition (Vol. 228, pp. 221-256). Stuttgart, Germany: ibidem.

Labadze, L., Babych, Y., & Gabriadze, I. (2020). Estimating Capital Stock and Return on Capital for Georgia. Economics and Business, 1-25.

გაბრიაძე, ი. (2020). საკუთრების უფლება, ინსტიტუციების ხარისხი და ფინანსური სექტორის განვითარება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში (pp. 89-100). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. Retrieved from http://bit.do/Proceeding